ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

1 აპრილიდან!

ახალ თაობასთან“ ერთად

დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია

წიგნი 2

№ კფჰბ ლფ №) სტსჰბ



js[if,fsb7 @ fghbkb7 @)!$ | 177 (6388) | afcb5 #) stshb

# ნანა დევდარიანი: მარგველაშვილი ოპოზიციაში თუ გადავა, თავს დაილუპავს!“



გვ.6

## პეტრე მამრაძე: სააკაშვილის დაჭერა რომ სდომებოდათ, აქამდე დაიჭერდნენ“

გვ.3



## მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები მცხეთაში გადაასვენეს

გვ.3



გვ.4

## ვალერი გელაშვილი მასზე განხორციელებული თავდასხმის დამკვეთებს ასახელებს

ნუგზარ წიკლაურზე თავდასხმას პროკურატურა იძიებს





## კახა ქაგანია: ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების ოპონენტი არ არის“

გვ.5

## ირაკლი ღარიბაშვილი სამეგრელოსა და აჭარას ესტუმრება

გვ. 2





## თეა წულუკიანი: იუსტიციის სამინისტრომ მაქსიმუმი გააკეთა“

გვ. 3



გვ.2

## გიორგი ვაშაძე აირაი-ის კვლევაც ადასტურებს, რომ ნარმანიას დაბალი რეიტინგი აქვს“

ISSN 1987-9385

**2** ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ჩვენს ხარჯზე მოვიდა!“

**3** დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების მიზნით მოქალაქეების განაცხადების შევსება დაიწყო

**2** პირველ ქვეით ბრიგადას დაარსებიდან 22 წელი შეუსრულდა

**5** შალვა თათუხაშვილის ოჯახი გამოძიებასთან მხოლოდ მისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ ითანამშრომლებს

კეჰ]ბ ობსტკბ .ლბსტკბ იფლბ

# ირაკლი ღარიბაშვილი სამეგრელოსა და აჭარას ესტუმრება



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, დღეიდან ორდღიან რეგიონულ ტურნეს იწყებს. დღეს ირაკლი ღარიბაშვილი სენაკის სამხედრო ბაზას დაათვალიერებს, რის შემდეგაც ანაკლიაში ნაპირსამაგრი სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნობა.

პრემიერი სოფელ ხურჩაში ახლად დაგებულ გზას გახსნის, ესტუმრება სასაზღვრო საგუშაგოს და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდება. დღის მეორე ნახევარში, ირაკლი ღარიბაშვილი ზუგდიდში დევნილებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობასაც დაათვალიერებს, ხოლო სოფელ რუხში, იმ ტერიტორიას, სადაც რეგიონალური საავადმყოფო აშენდება. იგი ზუგდიდში დადიანების სასახლესაც ესტუმრება, რის შემდეგაც დაგეგმილია შეხვედრა მოსახლეობასთან.

საქართველოს მთავრობის მეთაური ქობულეთის შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოებს გაეცნობა და ციტრუსის დამხარისხებელ-შემფუთავ საწარმოს დაათვალიერებს. დღის ბოლოს ირაკლი ღარიბაშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებთან სამუშაო შეხვედრას გამართავს.

3 აპრილს, ბათუმში დაგეგმილია შეხვედრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან, რის შემდეგაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბათუმის საზღვაო აკადემიასა და ახალგახსნილ მუსიკალურ სასწავლებელს დაათვალიერებს და სარფში ნაპირსამაგრი სამუშაოების მიმდინარეობასაც გაეცნობა.

ირაკლი ღარიბაშვილის რეგიონული ტურნეს პარალელურად, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე რეგიონის უმაღლეს სასწავლებლებში პრემიერის საგანმანათლებლო ინიციატივების პრეზენტაციას გამართავს.

ზუგდიდში, სტუდენტებთან შეხვედრა – შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტში, ხოლო ბათუმში შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართება.

ნიუსპრესი

# პირველ ქვეით ბრიგადას დაარსებიდან 22 წელი შეუსრულდა

პირველ ქვეით ბრიგადას დაარსებიდან 22 წელი შეუსრულდა. გუშინ ბრიგადის შტაბს იუბილე შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ და მისმა მოადგილემ პოლკოვნიკმა რომან ჯოხაძემ მიულოცეს.

„ეს არის მნიშვნელოვანი დღე არამარტო პირველი ბრიგადისთვის არამედ მთელი შეიარაღებული ძალებისთვის. ვინაიდან ეს ბრიგადა ნამდვილად თავისი ჩამოყალიბების დღიდან ოფიცერთა კადრების სამჭედლო იყო. თუკი საქართველოში რაიმე სასიქადულო განხორციელებულა შეიარაღებული ძალების მიერ – ერთ-ერთი პირველი ბრიგადა იყო. ის თავის თავში ისეთ დანაყოფებს აერთიანებდა, როგორიც არის შავნაბადას ბატალიონი, ავაზას ბატალიონი, თეთრი არწივის ნაწილი და ასე შემდეგ. ბევრმა ოფიცერმა ფეხი აქ აიდგა, რომელიც შეიარაღებულ ძალებში დღეს წარმატებით მსახურობს"– განაცხადა გენერალ-მაიორმა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პირველი ქვეითი ბრიგადა ქართულ შეიარაღებულ ძალებში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიის მქონე დანაყოფია. ბრიგადას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში აქვს მონაწილეობა მიღებული. ასევე, წვრთნისა და აღჭურვის) და სტაბილურობის შენარჩუნების ოპერატიული პროგრამა საბრძოლო მომზადების პროგრამები აქვს გავლილი. ბრიგადის პირადი შემადგენლობა მონაწილეობას სამშვიდობო ოპერაციებში კოსოვოში, ერაყში და ავღანეთში იღებდა. ამჟამად, პირველი ქვეითი ბრიგადის შტაბი და პირადი შემადგენლობა საერთაშორისო სამეთურო-საშტაბო სწავლება „ვიკინგი 2014"-ში მონაწილეობს.

ნიუსპრესი

# გიორგი ვაშაძე აირაი-ის კვლევაც ადასტურებს, რომ ნარმანიას დაბალი რეიტინგი აქვს"



„ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ვაშაძის განცხადებით, „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის" კვლევა ადასტურებს, რომ რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მოქმედი მინისტრი დავით ნარმანია თვითმმართველობის არჩევნებში 50%-იან ბარიერს ვერ გადალახავს.

„ნარმანიას დაბალი რეიტინგი აქვს. პირდაპირ ვთქვათ, ის 50%-იან ბარიერს ამ არჩევნებში ვერ გადალახავს. ამას Iრ-ის კვლევაც ადასტურებს. სწორედ ამიტომაა, რომ ხელისუფლება აგონიაშია და მათი მხრიდან აგონიურ მოქმედებებს ყოველდღიურად ვხედავთ. ლოგიკაში აბსოლუტურად არ ჯდება მათი მოქმედებები სხვადასხვა მიმართულებით. ძალიან ბევრმა ადამიანმა დასვა კითხვა – რატომ სჭირდებათ ეს ყველაფერი?! სამწუხაროდ, ეს ყველაფერი სჭირდებათ იმისთვის, რომ ემოციური ფონი შექმნან ქვეყანაში და ამომრჩეველმა გადაწყვეტილება ემოციურ ფონზე მიიღოს"-განაცხადა ვაშაძემ.

აირაი-ის მიერ გამოკითხულთა 35% ამბობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია თბილისის მერი თბილისელი იყოს; 24%-სთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს; 22%-სთვის ეს ნაწილობრივ მნიშვნელოვანია და 18%-სთვის კი, ძალიან მნიშვნელოვანი არ არის.

ნიუსპრესი

# „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში ჩვენს ხარჯზე მოვიდა!"

## რას ითხოვენ ყოფილი პოლიტპატიმრები

მარიკა მჭედლიშვილი

პოლიტპატიმრები და პოლიტრეპრესირებულები, რომლებმაც 26 მარტს უწყვეტი საპროტესტო აქცია წამოიწყეს პარლამენტის თბილისის შენობასთან, ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობას უჩივიან. მათი თქმით, ხელისუფლება, რომელიც ხალხს გვერდით დგომას ჰპირდებოდა, ახლა „ნაციონალების" მიერ რეპრესირებულებს და წამებულებს აგდებულად ექცევა, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას კი არ აპირებს. ოთხშაბათს პარლამენტის შენობასთან მიტინგი იგეგმება. მიტინგს შეუერთდებიან იპოთეკით დაზარალებულებიც, რომლებსაც პოლიტპატიმრები გვერდით დგომას ჰპირდებიან. აქციის მონაწილეთა მოთხოვნები ასეთია:

1. გადაისინჯოს პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების საქმეები;

2. შეჩერდეს სააღსრულებო წარმოება მათ დაყადაღებულ ქონებაზე;

3. შეუჩერდეს თანამდებობრივი უფლებამოსილება იმ გამომძიებლებს, პროკურორებსა და მოსამართლეებს, რომლებიც მონაწილეობდნენ პოლიტრეპრესირებულების საქმეების გაყალბებაში;

4. განახლდეს საქართველოს პარლამენტში პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სტატუსის დამდგენი კომისიის საქმიანობა;

5. დაიწყოს მუშაობა, რათა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ აღიაროს საქართველოში პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სტატუსი.

„ახალი თაობა" აქციის მონაწილეებს ესაუბრა.

ჯემალ გუნდიშვილი:

– ჩვენი აქცია უწყვეტი და სადღეღამისოა. ოთხშაბათს, 3 საათზე მიტინგიც იგეგმება. ვისაც გული შესტკივა და ვისაც თავისი გასაპროტესტებელიც აქვს, ალბათ, მოვა. სამწუხაროდ, ადამიანები მიეჩვივნენ, რომ მათ მაგივრად სხვები გამოთქვამენ პროტესტს. აქ ის ხალხი დგას, რომელიც წლების განმავლობაში უსამართლობისა და არაადამიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში წინა ხაზზე იბრძოდა. მთელმა ქარცეცხლმა ამ ადამიანების კისერზე გადაიარა. ჩემ თავს ყველაზე ბოლოს დავაყენებ და სხვებზე ვისაუბრებ. ნუთუ ამ ადამიანების გაგება არ შეიძლება?

*– ხელისუფლებიდან არავინ გამოგხმაურებიათ?*

– ხელისუფლება არც კი კითხულობს, როგორ არიან ეს ადამიანები. არადა, ისინი უმძიმეს დღეში არიან. აქციის მონაწილენი სოციალურ პრობლემებზე საუბარს ერიდებიან. მაგრამ, ფაქტია, რომ ძალიან ბევრი ოჯახი დგას სოციალური კატასტროფის წინაშე. საქართველოში სხვებსაც არ ულხინთ, მაგრამ ყოფილ პოლიტპატიმრებსა და პოლიტდევნილებს სხვანაირი მიხედვა სჭირდება. ეს ადამიანები არ უნდა ჩააყენო სამუშაოს მაძიებელთა საერთო რიგში. თუ მათ გადამზადება ესაჭიროებათ, ამაშიც უნდა შეეწყოთ ხელი. ვინც სამსახურიდან გამოუშვეს, ის უნდა აღადგინონ. სახელმწიფო პოლიტრეპრესირებულებთან ვალშია, მაგრამ, ისინი ვალის დაბრუნებას კი არა, უბრალო გაგებას და ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებას ელიან. რომ გვარწმუნებენ, ეკონომიკაში უკეთესობააო. ჰკითხონ ამის შესახებ ტაქსის შოფერს, მაღაზიის გამყიდველს და ბაზრის მოვაჭრეს. ესაა ყველაზე კარგი ინდიკატორი. გამოჰკითხონ ისინი და გაიგებენ, არის თუ არა უკეთესობა.

*– დასაქმების პრობლემაც გაწუხებთ?*

– ჩვენ მგლის ბილეთი გამოგვიწერეს. ყველა სამსახურში, ყველა უწყებაში უარს გვეუბნებიან. პირად საუბრებში გვეუბნებიან, ზემოდან ისეთი დირექტივა გვაქვს, რომ თქვენ სამსახურში არ უნდა მიგიღოთო. უწყებები რომ ვაკანსიებზე კონკურსებს აცხადებენ, ეს საერთოდ ბლეფია. ერთი ორგანიზაციის სამეურნეო სამსახურში ერთ ვაკანსიაზე განვაცხადე პრეტენზია.

*– რომელ ორგანიზაციაზეა საუბარი?*

– არ დავასახელებ, იმიტომ, რომ სხვა უწყებებზე უკეთესია, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სიძნელეები დახვდათ. იქ მომუშავე ნაცნობმა მითხრა, პირდაპირ გვითხრეს, რომ თქვენი სამსახურში მიღება არ შეიძლება და კონკურსებში ტყუილად დროს ნუ დაკარგავო. სამსახურებში უარს ეუბნებიან, მოთხოვნებს არ უკმაყოფილებენ. რა ქნან ამ ადამიანებმა? ისინი ქვიშაზე ამოყრილი თევზებივით არიან. ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ თქვა, ციხიდან ხომ გამოვუშვით პოლიტპატიმრები, ეს სამართლიანობის აღდგენა არ არისო? სადაა სამართალი, როცა ჩვენი საქმეების პროკურორები და მწამებლები დაუსჯელნი არიან.

*– მწამებლებიც?*

– ნაციონალური მოძრაობა დაღუპულ შალვა თათუხაშვილს გმირად და წამებულად აცხადებს. თათუხაშვილმა გვაწამა მე და ჩემი მეგობრები, როცა ყინწვისის საქმეზე დაგვაკავეს. ამით არ ვსპეკულირებ, მაგრამ ეს მართლაც ასეა. თათუხაშვილი ჩვენი წამებისთვის რომ დაეჭირათ, ალბათ, დღეს ცოცხალი იქნებოდა. ღმერთმა შეუნდოს, რაც მიუქარია, მაგრამ, რომ დაეჭირათ ჩვენ საქმეზე, რომლის გამოძიებასაც ვითხოვთ, სხვაგან იქნებოდა და სიკვდილს გადარჩებოდა.

*– ყინწვისის საქმე ერთ-ერთი ყველაზე აბსურდული და გახმაურებულია...*

– ყინწვისის საქმე თავიდან ბოლომდე თან სასაცილო და თან სატირალი იყო. პროცედურულადაც ძალიან უცნაური აღმოჩნდა. მაგალითად, 26 -ში დაგვიჭირეს და 27-ში დაჭერილებად გაგვაფორმეს, იმიტომ, რომ სასამართლოში წაყვანის დრო გადააცილეს. სხვა პროცესუალური ნორმებიც დაირღვა. ისიც უცნაურია, რომ ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს აღიძრა საქმე ჩვენ მიმართ დარღვევებსა და არაადამიანურ მოპყრობაზე. იმდენად ნაწამები ვიყავით, რომ ყველაფერზე ხელი მოგვაწერინეს.

*– დაკავებისას გაწამეს?*

– დაკავებისასაც და მერე, თბილისის სამმართველოსა და მოდულის შენობებშიც. საქმე მაშინ აღიძრა ძალაუფლების გადამეტებაზე. რომელ გამომძიებელსაც მისცეს ეს საქმე, იმავეს აწერია დღესაც. დაკითხულია ყველა მოწმე, საქმე კი თაროზეა შემოდებული. საქმე სასამართლომდე რომ მივიდეს, იძულებული გახდებიან, გამოგვაცხადონ უკანონო პატიმრებად.

*– პოლიტპატიმრის სტატუსი ხომ გაქვთ?*

– პოლიტპატიმრის სტატუსი მოგვანიჭეს, მაგრამ არ გამოგვაცხადეს უკანონო პატიმრებად. მოხდა იურიდიული კაზუსი. მაშინ მინისტრი იყო ღარიბაშვილი. არ ვიცი, ვინ ჰყავდა რეფერენტად. კანცელარიას დაევალა, ჩვენთვის მოეცათ ცნობა, რომ არა ვართ ნასამართლევი. ნასამართლეობა ასე არ იხსნება. მერე რომ გვითხრან, ეს ბრძანება შეცდომა იყოო, რა ვქნათ? ეს ბრძანება იყო არამართლზომიერი, არ იყო სამართლებრივად გამართული. ზოგიერთმა აიღო ცნობა, რომ არ არის ნასამართლევი. შსს-ს ბაზაში კი ეს პირი შეტანილია, როგორც ნასამართლევი. ხდება აბსურდი. ახლა გამოდიან და გვეუბნებიან, რომ სამართლიანობა აღდგა ჩვენი ციხიდან გამოშვებით. მათ, ვინც ამას ამბობს „ქართული ოცნებიდან" და „ნაციონალებსაც", რომლებიც „ოცნებასთან" კოაბიტირებენ, უნდა ახსოვდეთ, რომ ის გზა, რომლითაც ისინი მივიდნენ ხელისუფლებაში, ჩვენი დამტვრეული ძვლებითაა მოკირწყლული და ჩვენი სისხლით მორწყული.

*– როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება თქვენი აქციისა და მოთხოვნების იგნორირება?*

– სიმართლე გითხრათ, ამასთან დაკავშირებით ცუდი აზრები მომდის. ეჭვი მაქვს, რომ ვილაცა შეიძლება პროვოკაციებს ელოდეს. შეიძლება ელოდებიან, რომ გამწარებულ ხალხს ნერვები უმტყუნებს და „ნაციონალებს" ფიზიკურად გაუსწორდება. ეს იქნება საბაბი ამ ადამიანების ციხეებში დასაბრუნებლად. არ მესმის, რატომ ხდება ჩვენი უგულებელყოფა. ნუთუ ჩვენთან დასალაპარაკებლადაც ვერ მოიცალეს?

**ლევან ჩაჩუა:**

– აქციას ვაგრძელებთ. უამინდობაშიც აქ ვართ. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან ყურადღებას ვერ ვეღირსეთ. ოთხშაბათს მიტინგს ვგეგმავთ. ალბათ, სხვა ადამიანებიც შემოგვიერთდებიან. სააკაშვილის რეჟიმის დროს ცხრა წლის განმავლობაში მარტო ჩვენ ხომ არ ვიყავით რეპრესირებული? რამდენი გააუბედურა იმ რეჟიმმა? რამდენი გრძნობს თავს დაჩაგრულად, მერე რა, რომ პოლიტპატიმრის სტატუსი არა აქვს? იმდენი ღირსეული იჯდა ჩვენთან ერთად ციხეში! ჩემთან ერთად სასჯელს იხდიდა ადამიანი, რომელმაც სხვა არ გააუბედურა. პირდაპირ ეუბნებოდნენ, თუ ამას ხელს დაადებ, გაგიშვებთ, თუ არა და, იჯდებიო. ასეთი ადამიანები უამრავია. ჩემი საკნიდან ჩანდა გლდანის ციხის ადმინისტრაცია, სადაც ღამე მოჰყავდათ ბიზნესმენები, ნოტარიუსები და ხდებოდა ქონების გადაფორმება.

*– მიტინგზე ეს ხალხიც მოვა?*

– რა თქმა უნდა. ჩვენ გვერდში ვუდგავართ იპოთეკით დაზარალებულებსაც. ბევრია ისეთი ადამიანი, ვინც იპოთეკით ბინა დატვირთა იმის გამო, რომ ახლობელი არ დაეჭირათ. ახლა მათ გამოსახლებით ემუქრებიან. მზად ვართ, ასეთი პირების უფლებები დავიცვათ. არავის მივცემთ უფლებას, ისინი გამოასახლონ, სანამ არ გადაიხედება მათი საქმეები. გვინდა კიდევ ერთხელ მოვუწოდოთ ხელისუფლებას, რომელიც ყრუ ხდება საზოგადოების მოთხოვნების მიმართ, გონს მოვიდეს და ნუ დაემსგავსება „ცოცხების" პარტიას. აუცილებლად მივაღწევთ სამართლიანობას და მინიმუმ, დამნაშავე რეჟიმის პოლიტიკურ შეფასებას.

**ნუგზარ შავთვალაძე:**

– სულ უფრო ნაკლებად მრჩება იმის იმედი, რომ ხელისუფლება ყურად იღებს ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს. 31 მარტს პარლამენტში მიმიწვიეს ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, როგორც უზენაესი საბჭოს წევრი. იქ ქალბატონ ეკა ბესელიას, ბატომ ვახტანგ ხმალაძეს ვუთხარი, გარეთ რომ ხალხი ზის, რატომ პასუხს არ სცემთმეთქი. ქალბატონმა ეკა ბესელიამ მიპასუხა, სამართალს 300 ათასი ადამიანი ითხოვს და ყველა როგორ დავაკმაყოფილოთ, სახელმწიფო მაგას როგორ გასწვდება, თუ ახალი გარემოება გამოჩნდა, მარტო იმ შემთხვევაში დავკავდებით ამ საქმითო. რა ახალი გარემოება უნდა იყოს? ახალი გარემოება მარტო ის შეიძლება იყოს, თუ სინდისი შეაწუხებს პროკურორს, გამომძიებელს ან მოსამართლეს.

*– გამოდის, რომ საქმეები არ გადაიხედება?*

– მე არა მაქვს ამის იმედი. როგორც ჩანს, ამაზე აღარ ფიქრობენ. 31 მარტს ამაში დავრწმუნდი.

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

## შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული ბორის გ. ნარკოდანაშაულისთვის სამტრედიაში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 20 შეკვრად დაფასოებული 5,41 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ნარკოტიკი 3,6788 გრ ჰეროინს შეიცავს. შსს-ს ინფორმაციით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს – საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

**ნიუსპრესი**

## მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები მცხეთაში გადაასვენეს

მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში დაასვენეს. მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები მცხეთის ხიდამდე ტრანსპორტით მიაბრძანეს, ხიდიდან ტაძრამდე კი ხელით. სამების საპატრიარქო ტაძრიდან მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებს მრევლი მიაცილებდა.

მამა გაბრიელის წმინდა ნაწილების სამების საკათედრო ტაძრიდან გამობრძანებას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ესწრებოდა.

**მედიანიუსი**

## ირაკლი ღარიბაშვილმა თომას ჰამარბერგი მიიღო

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში თომას ჰამარბერგს შეხვდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა ადამიანის უფლებათა კუთხით საქართველოს ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. საუბარი ასევე შეეხო ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივ პროცესებს.

როგორც შეხვედრაზე პრემიერმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი ადამიანის უფლებების დაცვაა და კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა თომას ჰამარბერგს ამ მიმართულებით საქართველოსადმი გაწეული დახმარებისთვის.

**მედიანიუსი**

## თეა წულუკიანი: იუსტიციის სამინისტრომ მაქსიმუმი გააკეთა“



გუშინ იუსტიციის მინისტრი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტში მოხსენებით წარდგა. თეა წულუკიანმა ადამიანის უფლებების სფეროში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ისაუბრა, რომლებიც იუსტიციის სამინისტროს მიერ იყო ინიცირებული. კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილეები - ალექსანდრე ბარამიძე, გოჩა ლორთქიფანიძე და მიხეილ სარჯველაძე, აგრეთვე, დანაშაულის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელი ჯონი კვინიკაძე.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, განვლილი წელიწად-ნახევრის განმავლობაში იუსტიციის სამინისტრომ გააკეთა მაქსიმუმი იმისათვის, რომ საქართველოში სახელმწიფოებრივი განვითარება შეუქცევადი პროცესი გამხდარიყო ნებისმიერი მთავრობის პირობებში, რაც, პირველ რიგში, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას გულისხმობს.

„გასული 18 თვის განმავლობაში ჩვენ მთავარი აქცენტი გავაკეთეთ ადამიანის შემდეგ უფლებებზე - სამართლიანი სასამართლოს უფლება, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უფლება, ინდივიდთა თანასწორობის უფლება, შრომის უფლება, საკუთრების უფლება, ინფორმაციის თავისუფლება და სტრუქტურის ღიაობა, სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა და მათი ხარისხი“, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

თეა წულუკიანის თქმით, იუსტიციის სამინისტრო განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს სასჯელთა უპირობო შეკრებითობის პრინციპის გადახედვას, იურიდიული დახმარების ინსტიტუციურ რეფორმას, საპროცესო გარიგების ინსტიტუტის გარდაქმნას,განაჩენის აღსრულების გადავადების ახლებური მექანიზმების დანერგვას,დაცვის მხარის უფლებების ზრდას, სასამართლოში მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დამკვიდრებას. მინისტრმა ხაზი გაუსვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე მუშაობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტრო არაერთ სიახლეს გეგმავს საარბიტრაჟო სამართლის, სანოტარო სამართლის, ადამიანის უფლებების სტრატეგიის კუთხით.

თეა წულუკიანმა ანტინარკოტიკული საბჭოსა და ტრეფიკინგის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში ჩატარებული სამუშაოებიც მიმოიხილა. მისი თქმით, 40%-ითაა გაზრდილი ტრეფიკინგის ფაქტების გამოძიება, დამდგარია 5-ჯერ მეტი განაჩენი, დაგეგმილია საკანონმდებლო ცვლილებები ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისათვის. თეა წულუკიანმა ანტინარკოტიკული სტრატეგიის შემუშავებაში იუსტიციის სამინისტროს მონაწილეობაზეც ისაუბრა და ბიონარკოტიკის აკრძალვის საკითხსაც შეეხო.

იუსტიციის მინისტრმა პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტრო იყო პირველი სახელმწიფო უწყება, რომელმაც ყოფილ პატიმრებს დახმარების მიზნით სხვადასხვა სერვისი შესთავაზა, რითაც მათ საშუალება მისცა, საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად დაბრუნებოდნენ.

**მედიანიუსი**

## დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების მიზნით მოქალაქეების განაცხადების შევსება დაიწყო

ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე 1 აპრილიდან დეკლარირების სპეციალური ფორმა გააქტიურდება, რომლის შევსებითაც დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების პროცედურა დაიწყება.

დაუბეგრავი მინიმუმის დასაბრუნებლად მოქალაქე, შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე, განთავსებულ შესაბამის ფორმაში, მხოლოდ პირადი ნომრისა და საკუთარი საბანკო რეკვიზიტის მითითებით, ელექტრონულ დეკლარაციას შეავსებს და იქვე მიიღებს ინფორმაციას მისთვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობის შესახებ.

შემოსავლების სამსახურის ცნობით, დეკლარაციის შესავსებად მოქალაქეებს ასევე შეეძლებათ ბანკ „რესპუბლიკას“, „პრივატბანკს“, „თიბისი ბანკს“, „საქართველოს ბანკს“, „ლიბერთი ბანკს“, „ბაზისბანკს“, „ქართუ ბანკს“, „კორსტანდარტ ბანკს“, „ბანკ კონსტანტას“ და „ფინკა ბანკი საქართველოს“ მიმართონ. აღნიშნულ ბანკებთან გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, დეკლარაციებს საგადასახადო ორგანოში ბანკი თავად წარადგენს.

ელექტრონული დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, მაქსიმუმ 3 თვის განმავლობაში, მოქალაქეს, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისი თანხა დაერიცხება.

თუ 2013 წელს, ხელფასის სახით, მოქალაქეს 6000 ლარი აქვს დარიცხული (ანუ „ხელზე“ წლის განმავლობაში აღებული აქვს 4800 ლარი), სახელმწიფო უკან დაუბრუნებს 360 ლარს (ანუ დაუბეგრავი მინიმუმის – 1800 ლარის – 20 პროცენტს), თუ მოქალაქეს 1800 ლარზე ნაკლები ერიცხება, მაშინ უკან დაიბრუნებს იმ თანხის 20%-ს, რაც წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიიღო.

**ნიუსპრესი**

## მოქალაქემ დედოფლისწყაროში იარაღი ნებაყოფლობით ჩააბარა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოში დედოფლისწყაროში მცხოვრებმა, 1960 წელს დაბადებულმა შალვა მ-მ ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით წარადგინა და ჩააბარა.

შსს-ს ინფორმაციით, მათ შორის იყო – ქარხნული წესით დამზადებული 23 მმ-იანი 1 ცალი ჭურვი, „პე-გე 7“-ის ტიპის 2 ცალი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი, „ტოზ 8 ემ“-ის მოდელის მცირეკალიბრიანი შაშხანა, სხვადასხვა სისტემის იარაღისთვის განკუთვნილი 130 საბრძოლო ვაზნა, „ერ-გე-დე 5“-ის ტიპის მსხვრევადი ხელყუმბარა და მსხვრევადი ხელყუმბარის 7 ცალი ფალია.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს – საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

**ნიუსპრესი**

# პეტრე მამრაძე: სააკაშვილის დაჭერა რომ სდომებოდათ, აქამდე დაიჭერდნენ“

გულიკო ბალაძე

სააკაშვილი კიევში ტიმოშენკოსთან ერთად პოზიორობს და იქიდან გვითვლის, ვერც დამკითხავთ და, მით უმეტეს, ვერც დამაპატიმრებთო. პარლამენტის ყოფილ წევრ პეტრე მამრაძეს იმედი არ აქვს, რომ პროკურატურა შეძლებს სააკაშვილისთვის პასუხის მოთხოვნას ჩადენილი დანაშაულების გამო.

– იმედი არ მაქვს, რომ სააკაშვილის დაპატიმრებას შეძლებენ. ახალ ხელისუფლებას საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა, რომ სააკაშვილისთვის პასუხი მოეთხოვა ჩადენილი დანაშაულების გამო. გამოქვეყნებული იყო დოკუმენტები სააკაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, მაგრამ საქმეც კი არ აღძრეს. ახლა ის ამერიკაში ცხოვრობს, მაგრამ თავის პირად კონტაქტებს უკრაინის ზოგიერთ ახალ ლიდერთან იყენებს რუსეთის სასარგებლოდ, – განაცხადა პეტრე მამრაძემ.

კაცმა რომ თქვას, სააკაშვილი ქართველ ერს პატივს არასოდეს სცემდა. ეს ყოველთვის ჩანდა და მისი პრეზიდენტობის დროსაც გამოვლინდა, როცა ადამიანები ციხეში უსამართლოდ გამოამწყვდიეს, რამდენიმე ასეული – ქუჩაში დახვრიტეს, რამდენიმე ათასი აწამეს და წამებაში ამოხადეს სული. ფაქტობრივად, მთელი საქართველო ერთ დიდ ციხედ აქციეს, სადაც ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცა.

აბა, ვაჟკაცი იყავი და დაკითხვაზე არ მისულიყავი, სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის მიერ შექმნილი შავბნელი რეჟიმი თავბედს გაწყევლინებდა. დადგა დრო, როცა სააკაშვილიც დაიბარეს დაკითხვაზე, მაგრამ, ნურას უკაცრავად. სააკაშვილი კიევიდან გვპასუხობს, პოლიტიკური დაკვეთაა და ამიტომ ვერ ეღირსებით ჩემს დაკითხვასო.

როგორც ჩანს, ტიმოშენკო ვერ მიხვდა, რა მოუტანა სააკაშვილის „დახმარებამ“, როცა წლების წინ, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, სპეცსამსახურების დესანტი გადასხა უკრაინაში.

დიდი ეჭვია, რომ სააკაშვილმა მაშინ რუსეთის საიდუმლო დავალება შეასრულა, რომ უკრაინელ ხალხში ტიმოშენკოსთვის სახელი გაეტეხა და არჩევნები წაეგებინებინა.

ახლაც სააკაშვილის გამოჩენა მაიდანზე რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს.

ყოველთვის ვეჭვობდი, რომ პუტინს მაიდანზე აუცილებლად ეყოლებოდა შეგზავნილი პროვოკატორები ან მსროლელები, რომლებიც ვითარების დესტაბილიზაციას მოახდენდნენ.

გაირკვა, რომ, თუ არ ვცდები, ამერიკისა და ინგლისის დაზვერვამ დაადგინა, სნაიპერები, რომლებიც ხალხს ესროდნენ, რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლები იყვნენ.

თუმცა, სააკაშვილის იქ ყოფნაც გარკვეული სახის პროვოკაციაა. ვითომდა რუსეთთან დაპირისპირებული და რუსეთისთვის საჭირო საქმეების მკეთებელი სააკაშვილი პუტინისთვის ისეა, ხარს წითელი ნაჭერი რომ აუფრიალო.

***– ბატონო პეტრე, მოგეხსენებათ, მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში ხშირად ჩადის. ასევე ყოფილმა მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ განაცხადა, რომ უკრაინელებს პროკურატურის რეფორმირებაში ეხმარება. კარგად იცით, დღეს უკრაინა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. რა შეიძლება ასწავლონ ღირებული უკრაინის ახლანდელ ხელისუფლებას სააკაშვილმა და მისი დროის მაღალჩინოსნებმა?***

– სააკაშვილი ყოველთვის ასრულებს იმას, რაც სჭირდება პუტინს. რას აკეთებს შეგნებულად, რას – შეუგნებლად – სხვა საქმეა. ამასთან დაკავშირებით საზოგადოების ეჭვები დიდი ხანია ცნობილია. სააკაშვილის ბიძა რუსეთის კვოტით გაეროს სამხედრო შესყიდვების დეპარტამენტში მუშაობდა. ყველამ იცის, რომ რუსეთის კვოტით თავის მოქალაქეს არ გაუშვებდა გაეროს სამ-



ხედრო შესყიდვების დეპარტამენტში, გარდა კგბ-ს თანამშრომლისა.

***– სხვათა შორის, 2008 წლის არჩევნების დროს ფოტო მომიტანეს, სადაც ასახულია სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრა, მათ ფონზე კი თემურ ალასანია ჩანს. ისინი ფეხზე დგანან.***

– აი, თუნდაც – რა უფლება აქვს სააკაშვილის ბიძას, როცა პირველი პირები ხვდებიან, იქაც კი იყოს.

***– გარკვეული პროვოკაციები არ იყო, დროდადრო სააკაშვილის უკრაინაში გამოჩენა?***

– პუტინს ყოველთვის სჭირდებოდა და დღესაც სჭირდება, რომ კიევის ახალი ხელისუფლების მხრიდან იყოს რაც შეიძლება მეტი რადიკალური ექსტრემისტული მოქმედება. ეს მას ძალიან სჭირდება, რომ მთელ მსოფლიოს აუხსნას: აი, მოვიდნენ რადიკალები, მოვიდნენ ექსტრემისტები, ვინც ლახავს ადამიანის უფლებებს. ამიტომ ჩემი მოქმედება გამართლებულია, იმიტომ რომ, იძულებული ვარ, დავიცვა რუსეთის მოქალაქეები უკრაინაშიო. პუტინის ვერსიაა, რომ ყველაფერი დასავლეთის სპეცსამსახურების ხელით არის გაკეთებული, რათა მაიდანი მოეწყოთ და იანუკოვიჩი მოეშორებინათ. ამიტომ პუტინი სააკაშვილის უკრაინაში ყოფნას სათავისოდ იყენებს: აი, სააკაშვილი, ცხადია, გაჩნდებოდა მაიდანზე. ის ხომ ამერიკელების კაციაო.

***– სააკაშვილიც და ნაციონალებიც ხომ ჩანდნენ მაიდანზე.***

– ამით პუტინს არგუმენტი ეძლევა. სააკაშვილი ხომ ამერიკაშია. კაცი, რომელიც თითქოს ამერიკის პოლიტიკას ატარებდა, სინამდვილეში ყოველთვის ატარებდა პუტინის პოლიტიკას, მაგრამ პუტინს, ამავე დროს, სჭირდება სააკაშვილი. ლინკოლნ ლინჩელმა სამართლიანად დაწერა, რომ სააკაშვილმა პუტინს გაუკეთა ყველაფერი ის, რასაც პირადი აგენტიც კი ვერ გაუკეთებდა.

***– ისე, გარკვეული პროვოკაცია არ იყო ასევე ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე რუსული ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის გაუქმებაზე განცხადება? ნეტა, სააკაშვილმა ხომ არ ურჩია?***

– ამაზე ილაპარაკეს, მაგრამ არ გაუქმებულა. ჭკუა ეყოთ, რომ ეს არ გაეკეთებინათ. პირიქით, რუსული ენის კვირეული ჩაატარეს, „ყველამ ვილაპარაკოთ რუსულად“. კვირეული ჩაატარეს იმის საჩვენებლად, რომ პირიქით რუსულ ენას იცავენ, მაგრამ სააკაშვილისნაირი ექსტრემისტები პუტინს სჭირდება ისევე, როგორც თავისი პროვოკატორები მისთვის ხელსაყრელი სურათის დასახატად – დასავლეთში იწერება პუბლიკაციები, რომ უკრაინაში ფაშისტური რეჟიმია მოსული ახალი ხელისუფლების სახით. რა თქმა უნდა, სააკაშვილის იქ ყოფნა პუტინისთვისაა საჭირო. უკრაინის ხელისუფლებამ აქამდე იმით გაიმარჯვა პოლიტიკურად, რომ არ შეასრულეს პუტინის პროვოკატორების რჩევები. როდესაც კიევში ყველაფერი დასრულებული იყო, პუტინს მათ შორის არ ჰყავდა თავისი სააკაშვილი. სწორედ ამიტომ დამარცხდა პუტინი საერთაშორისო ასპარეზზე. ამერიკა და მთელი ევროპა გმობს პუტინის მოქმედებას უკრაინაში. ზოგიერთ მათგანს, ვისაც ეკონომიკურად სჭირდება რუსეთთან კარგი ურთიერთობა, ისინიც კი იძულებული არიან, დაგმონ პუტინის მოქმედება. სხვა გზა არ აქვთ. ამას უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ მიაღწია სტრატეგიული მოთმინებით. ამით არ მისცა არც პუტინს და არც დასავლეთის ზოგიერთ ლიდერს ხელჩასაჭიდი.

***– ამ ფონზე რას აძლევთ იმავე კლიჩკოსა და სხვებს სახელშელახულ სააკაშვილთან მეგობრობა, რომელიც, არ არის გამორიცხული, საქართველოში ჩადენილი მკვლელობისა თუ სხვადასხვა დანაშაულებისთვის დააპატიმრონ?***

– სააკაშვილის დაპატიმრების იმედი არ მაქვს. საქართველოს ახალ ხელისუფლებას საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა, რომ ეს გაეკეთებინა. გამოქვეყნებული იყო დოკუმენტები სააკაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, მაგრამ საქმეც კი არ აღძრეს. ახლა სააკაშვილი ამერიკაში ცხოვრობს, მაგრამ „ახალი ასპარეზისთვის“ ის იყენებს თავის პირად კონტაქტს უკრაინის ზოგიერთ ახალ ლიდერთან. გავიხსენოთ, ტიმოშენკოს როგორ გაუგზავნა 1500-ზე მეტი სპეცრაზმელი და პოლიციელი, ზოგიერთთან ერთად სწავლობდა კიევში. ის გარემოება, რომ სააკაშვილი ამერიკისთვის მისაღები კაცია, ეს მას ინახავს. ასე ჰგონიათ და, ეტყობა, ამის გამოც დადიან სააკაშვილთან ერთად. თუ სააკაშვილს დაუჯერებენ, პირადად ისინი და უკრაინა არაფერს მიიღებს.

***– ტიმოშენკომ რატომ ვერ გააანალიზა ის, რაც გაუკეთა სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების დროს?***

– ეს ტიმოშენკოს უნდა ჰკითხოთ. ტიმოშენკოს ისიც უნდა ჰკითხოთ, როგორ მართეს იუშჩენკომ და ტიმოშენკომ უკრაინა ისე, რომ მათი ხუთწლიანი მმართველობის შემდეგ ხალხმა ისევ იანუკოვიჩს მისცა ხმა. იმ იანუკოვიჩს მისცა ხალხმა ხმა, რომელიც თავის დროზე, როცა გაყალბდა არჩევნები, პრემიერი იყო და ამის გამო რევოლუცია მოხდა. როგორ უნდა გამოსწორებინათ 5 წლიანში საკუთარი ხალხი ისე, რომ ხუთი წლის შემდეგ ისევ იანუკოვიჩი აერჩიათ.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

☎ 599-90-54-78, 234-02-38

2014, 2 აპრილი, №77

# „რადიაცია გადაშენებით გვემუქრება!“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში ეკოლოგიური მდგომარეობა კატასტროფულია. ამ მძიმე ფონს კიდევ უფრო ამძიმებს რადიაცია, რომელსაც სათანადო ყურადღება არ ექცევა. არადა, ამან შესაძლოა ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანოს. ამ საფრთხეებზე „ახალ თაობას“ ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ კავილაძე ესაუბრება.

**მიხეილ კავილაძე:**

— სიტყვა „რადიაცია“ ყველასათვის ცნობილია, მაგრამ, სამწუხაროდ, მას სერიოზულად თითქმის არავინ აღიქვამს, რადგან მის ქმედებას ადამიანის ვერც ერთი ორგანო ვერ შეიგრძნობს. რადიოაქტივობის აღმოჩენამ კაცობრიობას მოუტანა არაერთი სიკეთე, მაგრამ, სამწუხაროდ, ბირთვული ენერგია თავიდანვე გახდა სამხედროების მონოპოლია, ამან კი კაცობრიობას მოუტანა დიდი უბედურება. ცოცხალ ორგანიზმს, მათ შორის ადამიანის რაობას განსაზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ მისი გენური ჩანაწერი, რომელიც არ უნდა შეიცვალოს. ღმერთმა უკვდავი სწორედ გენები შექმნა, ადამიანს კი დაავალა, განსაკუთრებით გაუფრთხილდეს მათ. ატომების ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების ენერგია, რომლებიც დიდი რაოდენობით მიმდინარეობს ორგანიზმში, ფაქტობრივად, ვერ შეცვლის მათ. სამწუხაროდ, დედამიწის წარმოქმნის დღიდან მასში არსებობს რადიოაქტიური ბირთვები, რომლებიც ასხივებენ (ალფა და ბეტა) ნაწილაკებს და (გამა) კვანტს, რომელთა ენერგია დაახლოებით 1 000 000-ჯერ მეტია ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე. სწორედ ეს არის საშიში გენებისათვის, რადგან იგი ანგრევს მათ, იწვევს რა მთელ რიგ მძიმე დაავადებებს. ასეთ პირობებში სიცოცხლე არ იარსებებდა, ამიტომ ღმერთმა შექმნა იმუნური სისტემა. ორგანიზმში მიდის ნგრევისა და აღდგენის უწყვეტი პროცესი, რომელსაც ადამიანი ვერ გრძნობს. იგი მთავრდებოდა, როგორც წესი, სიცოცხლის გამარჯვებით. ადამიანმა რადიოაქტივობის შესახებ ინფორმაცია მიიღო 1896 წელს. 1939 წელს აღმოჩენილ იქნა მძიმე ბირთვების გაყოფის მოვლენა, 1942 წელს ამუშავდა პირველი ატომური რეაქტორი, ხოლო 1945 დაიბომბა ხიროსიმა და ნაგასაკი, რომლის შედეგად ატმოსფეროში გაიბნა ორი კგ ხელოვნური რადიოაქტიური ნამსხვრევები, შემდეგ აფეთქებების მთელი სერია, ხოლო 1962 წელს ყველაზე მძლავრი ატომური ბომბის გამოცდის შედეგად გაიბნა უკვე 150 ტონა. ფუკოსიმას 6 რეაქტორი ყოველწლიურად იძლევა 6000 კგ-ს. მედიცინის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა დოზის შემცირების პროცესი. იგი დადგენილ იქნა 1931 წელს ამერიკაში გენეტიკოსების კონგრესზე, 60 რენტგენი/წელიწადში. შემდეგ დოზა შეამცირეს 4-ჯერ, გახდა 15 რ/წ.

— ***ეს დოზა სახიფათო არ არის?***

— არც ეგაა უვნებელი. მაგრამ, ვიდრე მიმდინარეობდა ბომბების შექმნის პროცესი, წინააღმდეგნი იყვნენ მისი შემცირების. განსაკუთრებით საბჭოთა კავშირი, რომელსაც 1950 წელს ჰქონდა 5 ბომბი, მაშინ როცა აშშ 380. მხოლოდ 1952 წელს უამრავი სხივური დაავადების გამო დოზა შეამცირეს ერთბაშად 10-ჯერ, გახდა 1,5 რ/წ. 7 წლის შემდეგ შეამცირეს კიდევ 3-ჯერ, ხოლო 1990 წლიდან გაეროს რადიაციულმა კომიტეტმა, ახალი მძიმე ფაქტების გამო, მიიღო დოზის კიდევ 5-ჯერ შემცირების გადაწყვეტილება. ამდენად დღეს მოქმედებს ნორმა — 0.1 რ/წ ე.ი. 1931 წლიდან დოზა შემცირდა დაახლოებით 600-ჯერ. ზოგიერთმა ქვეყანამ კიდევ დამატებით შეამცირა. თუ ადრე მხოლოდ ერთეულები იყვნენ დაავადებულნი და მალავდნენ, სამწუხაროდ, დღეისთვის გამრავლდნენ და უკვე მოითხოვენ უფლებებს. ამის მაგალითებია ერთსქესიანთა შეუღლება. დღეს თითქმის ყველა ლაპარაკობს, რომ ნარკომანია გახდა წარმოუდგენლად მასობრივი. შეინიშნება სიმსივნეების განსაკუთრებით მკვეთრი მატება. სამწუხაროდ, გაჩნდა ახალი მძიმე დაავადებებიც. ბავშვის დასხივება იწყება ორსულობის დაწყებიდან. ცნობილია, რომ იგი განსაკუთრებით მოქმედებს მზარდ ორგანიზმზე. ამიტომ მომავალი დედა აუცილებლად უნდა შემოწმდეს. ჩვენ მეზობელი ქვეყნებიდან ყველაზე ადრე დავიწყეთ რადიაციული სამუშაოები. ამდენად, ყველა დაავადება მკვეთრად გაიზარდა. სამწუხაროდ, რადიაციას არც კი ასახელებენ. იგივე თამბაქოსთან დასავლეთში სერიოზული ბრძოლა დაიწყეს მას შემდეგ, რაც მასში 1964 წელს აღმოაჩინეს რადიოაქტივობა. ჩერნობილის შემდეგ, 90-იან წლებიდან რეგულარულად ვწერდი, რომ საჭიროა, რადიაციას მივაქციოთ სერიოზული ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიქმნება უმძიმესი მდგომარეობა. უკანასკნელ დროს ძალზე აქტუალური გახდა გამდიდრებული ურანის ბომბები, რომლებიც ამერიკამ გამოიყენა ერაყისა და ავღანეთის წინააღმდეგ. 500 000 ბომბის აფეთქების შედეგად დიდი რაოდენობის ურანი-238 გაიფანტა. ცხადია, ეს ურანი დედამიწაზე იყო, მაგრამ იყო შეკრული და მიწის ქვეშ, სიღრმეში. აფეთქების, შემდეგ იგი გაიბნა ატომების სახით. ქარმა იგი მეზობელ ქვეყნებშიც მოიტანა.

— ***საქართველომდეც მოაღწია?***

— მთელ ამიერკავკასიაშიაც მოხვდა. არავინ იფიქროს, რომ ბირთვული ენერგიის მიღება თითქოს შესაძლებელი იყოს რადიოაქტივობის წარმოქმნის გარეშე. დასხივება თუ დიდია, დიაგნოზის დასმა შედარებით ადვილია. ნაკლები დასხივება იწვევს ავადმყოფობების მთელ კასკადს, რასაც, როგორც პირველადს, ექიმები ძნელად აღიქვამენ. იგი რომ ძალზე მნიშვნელოვანია, იქიდანაც ჩანს, რომ ელცინმა ჯერ კიდევ 19.10. 1990 წელს გამოსცა განკარგულება და არა ბრძანება, რომელიც, ალბათ, შეუმჩნეველი უნდა დარჩენილიყო, რომლის ერთ-ერთი პუნქტია: „მოსახლეობისათვის, რომლებმაც 50-იან წლებში მიიღეს გაზრდილი დასხივება, მათი შვილებისათვის და შვილიშვილებისათვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკური მეთოდების შექმნა“. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელი ელემენტი მოხვდა ორგანიზმში, რადგან, ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, რადიოაქტიურობა გადანაწილდება სხვადასხვა ორგანოში.

— ***როგორ ხდება გადანაწილება?***

— მაგალითად, პლუტონიუმი, რადიუმი, სტრონციუმი გროვდება ძვლებში და იქიდან არ გამოიდევნება. მათი უმცირესი რაოდენობაც კი ძალზე ეფექტურად აზიანებს ძვლის ტვინს, ე.ი. ანადგურებს იმუნური სისტემის შემადგენელ ნაწილებს, რომელთა გარეშე ნებისმიერმა ვირუსულმა დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი. ცეზიუმ–137, რომელიც ქიმიურად კალიუმის მსგავსია, გროვდება რბილ ქსოვილებში, განსაკუთრებით მგრძნობიარეა სასქესო ორგანოები, ამდენად, დიდ ზიანს აყენებს გენებს. ასევე საშიშია იოდი–131, რადგან მისი 50% თავს იყრის, მცირე მოცულობის, ფარისებრ ჯირკვალში და იწვევს ძალზე საშიშ პროცესებს, განსაკუთრებით ბავშვებში. რადიოაქტიური რადონი, რომელიც ყოველთვის იყო ცოტა თუ ბევრი ჩვენს ბინებში, კარგად იხსნება სისხლში და დიდი რაოდენობით გროვდება თავში, კონკრეტულად გიპოფიზში, რომელიც გამოიმუშავებს ორგანიზმისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ჰორმონებს, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას და ა.შ. იგი გროვდება ჩვენს ბინებში. ჩვენ კი მას არ ვზომავთ. ყოველი ჩვენგანი რადიოაქტიურია, გამონაკლისი არ არსებობს, ოღონდ ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. ამ მხრივ რადიაციამ არ იცის არც თანამდებობა და არც გვარიშვილობა, არც პოზიცია და არც ოპოზიცია. რადიაცია გამოიყენება როგორც სამკურნალო, ისე დიაგნოსტიკური მიზნებით. მედიკოსები ზომაზე მეტად მოიხმარენ რადიაციას, ეს კი ხელს უწყობს დაავადებათა განვითარებას. უცხოეთის სპეციალისტები თვლიან, რომ 3 ყოველი 10-დან დასხივებას არ საჭიროებდა. როგორი თანაფარდობაა ჩვენთან, არც კი ვიცით. მართალია, დასხივების მიზანია ავადმყოფობისაგან განკურნება, მაგრამ ვაჭარბებთ არა სრული ცოდნის გამო. ჯანმრთელობის სამინისტრო კმაყოფილია თავისი მუშაობით, მაგრამ ნამდვილად თავს იტყუებენ. მათ არ აქვთ რადიაციის ღრმა ცოდნა. ამის თქმის უფლებას მაძლევს არაერთი ფაქტი. მათ შორის; ონკოლოგთა დისპანსერი ყაზბეგის ქუჩიდან 1978 წელს გადავიდა ახლად აშენებულ ონკოლოგიურ ცენტრში, ხოლო შენობაში 1980 წელს შეიყვანეს ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი. ამ დასუსტებულ ბავშვებს ონკოლოგებმა დაუტოვეს საშინლად რადიოაქტიური ეზო. საბედნიეროდ, მათ იტოვებდნენ მხოლოდ ერთი თვით. ეზოს რადიაცია დავადგინეთ მხოლოდ 1990 წელს, ე.ი. 10 წლის შემდეგ. შეიქმნა კომისია, რომელშიაც შევიდა რადიაციასთან დაკავშირებული ოთხი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, მცხეთის რეაქტორის რადიაციული სამსახურის უფროსი და მე. რადგან ეზოს გამოვლენა მოხდა ჩემი ინიციატივით, ვერტმფრენიდან. რამდენიმე შეკრების შემდეგ ბატონმა ირაკლი ფალავამ კომისიის თავმჯდომარედ მე დამასახელა. ძალზე განცვიფრებული ვიყავი, კომისიის წევრები ნაკლებად ფიქრობდნენ ობიექტური მიზეზის დადგენაზე. მათთვის მთავარი აღმოჩნდა, რომ ეს უმძიმესი ფაქტი არ დაბრალებოდათ ონკოლოგებს, ამისათვის იგონებდნენ რაღაც უღიმღამო არგუმენტებს. ეზო რომ რადიონუკლიდებით იყო დასვრილი, სამინისტროს თანამშრომლებმა, ცხადია, გარკვეულმა ნაწილმა, კარგად იცოდა, რადგან მიზანდასახულად ჩაატარეს „აღდგენითი“ სამუშაო. თუმცა ეს იყო სრულიად გაუმართლებელი გადაწყვეტილება. ვისი რჩევით, გაუგებარი დარჩა. ეზო, გაწმენდის ნაცვლად, ფაქტობრივად, გადააქციეს სამარხად. ეზოში გააკეთეს გზები, რისთვისაც ამოთხარეს მიწა, ჩაყარეს რადიონუკლიდები, დააყარეს ხრეში, დააცემენტეს, ზევიდან კი დააფინეს, მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოტანილი 5 სმ სისქის ფილები. როგორც ამბობდნენ, ეზო აღარ გადაუმოწმებიათ, თუმცა მანამდე ამას თურმე აკეთებდნენ სისტემატურად. ამ დროს ეზოსა და სანეპიდსადგურს მხოლოდ ერთი ღობე ყოფდა. ისიც დიდი დანაშაულია, თუ არ გადაამოწმეს და ისიც თუ ნახეს მიწიდან მომავალი გამოსხივება და ჩუმად იყვნენ. ჩვენ კი გამოსხივება დავაფიქსირეთ 100 მეტრის სიმაღლიდან, მიუხედავად იმისა, რომ ვერტმფრენი მიფრინავდა 100 კმ საათში სიჩქარით. ბავშვები კი, როგორც წესი, თამაშობდნენ ეზოში და სხივდებოდნენ. ცხადია, შედეგიც შესაბამისი იქნებოდა. გნებავთ, მარტო ამ ფაქტის უშუალო მონაწილე და, რაც კი მაშინ მოვისმინე, შეიძლება დაჯერება, რომ რადიაციის თვალსაზრისით ჯანმრთელობის, ან გარემოს დაცვის, ან განათლების სამინისტროში საქმე ნორმალურად არის! მეეჭვება, რადგან მსგავსი ფაქტი არაერთია, მათზე რეაქცია კი არ ჩანს. პარლამენტშიც, არა მარტო, არ ესმოდათ, სამწუხაროდ, არც კი უნდოდათ გაგება. იაპონიამ რადიაციას გზა გაუხსნა ოკეანისკენ. ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ ბირთვული ენერგია, ძალზე უდიერად ექცეოდნენ ზღვებს. მათ წარმოუდგენლად დიდი რაოდენობის რადიაცია, ფოლადის კასრებით, ჩაძირეს ოკეანეს ფსკერზე. რუსეთმა ამისათვის შავი ზღვაც გამოიყენა.

— ***ეს სახიფათო არ არის?***

— როგორ არა, კაცობრიობა ამ ქმედების შედეგს მოიმკის, როდესაც კასრები დაიწყებს დაშლას. მაგატე ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ რადიაცია არც ისე საშიშია. მისი მეცნიერები ადვილად ახდენდნენ გავლენას სხვა ორგანიზაციებზე. მაგალითად, 1959 წელს მათ გააფორმეს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მათი ნებართვის გარეშე არ გამოაქვეყნებენ რადიაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. საბჭოთა კავშირში, ჩერნობილის შემდეგ ექიმებს ხელსაც კი აწერინებდნენ, რომ დაავადებას არ დაუკავშირებდნენ რადიაციას. როდესაც ბირთვული იარაღის გამოცდები დაიწყო, ცნობილ ფიზიკოსებსაც ეგონათ, რომ მსოფლიოში რადიაციული ფონი მცირედ მოიმატებდა. გამოქვეყნებული მაქვს დიდი რაოდენობით საგაზეთო წერილი და 2 წიგნი, მაგრამ არავითარი რეაქცია. ვის არ მივმართე, მაგრამ ალბათ ერიდებიან მოსალოდნელ დიდ ხარჯებს, მაგრამ უფრო ხშირად მიზეზია საკითხის არცოდნა. თვლიან, რომ „რადიაციისგან არავითარი საშიშროება არ არის.“ მოტივაცია გასაგებია, მხოლოდ ასეთ „სპეციალისტებს“ აფასებს ხელისუფლება, რადგან ამით იხსნის დარგის სერიოზული დაფინანსების ვალდებულებას. ასეთი დამოკიდებულებით, ცხადია, ვერც დემოგრაფიას გამოვასწორებთ და საერთოდ ვერც ჯანმრთელ თაობებს შევინარჩუნებთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ აკადემია მაინც დაინტერესდებოდა, ამიტომ წერილები მათაც მივწერე. მართლაც დამიბარეს, მითხრეს, რომ შეადგინეს საბჭო, რომლის წევრი მეც უნდა ვყოფილიყავი. საბჭო დაიწყებს მუშაობას, როგორც კი აკადემია მას დაამტკიცებსო. სხვა საკითხზე კიდევ მივწერე. ვიცი, ვის დააწერეს, მაგრამ პასუხი არც ერთზე არ მიმიღია, თუმცა გავიდა დიდი დრო. გვახსოვდეს, რომ რადიაცია კაცობრიობის ყველაზე დიდი მტერია, რომელიც სულ უფრო მატულობს, შესაბამისად, დაავადებებიც. ცხადია, გადარჩებიან მხოლოდ ის ერები, რომლებსაც ეყოლებათ რადიობიოლოგიისა და მასთან დაკავშირებული საგნების მცოდნე მაღალკვალიფიციური კადრები. ამ დროს რამდენი დანაშაულის ჩამოთვლა შეიძლება, რომლებიც რადიაციის საკითხების არცოდნისა და განსაკუთრებით მასთან მუშაობის დაბალი კულტურის გამო ხდება. მაგალითად, რადიაციული სამარხი მცხეთასთან ან „სამარხი“ მარტყოფში. ეს ხომ დანაშაულია. ეს ხომ სამარხები არ არის, რომელმაც ათასობით წელი უნდა გაძლოს. ან რა უნდოდა პლუტონიუმის წყაროს სკოლებში, ან რატომ არ გვაღელვებს შენობებში რადონის გაზრდილი კონცენტრაცია, ხოლო დაწესებულებებში — პლუტონიუმის ბოლის მრიცხველები და სხვა მრავალი.

# ვალერი გელაშვილი მასზე განხორციელებული თავდასხმის დამკვეთებს ასახელებს

## ნუგზარ წიკლაურზე თავდასხმას პროკურატურა იძიებს

შორენა მარსაგიშვილი



ნუგზარ წიკლაურზე თავდასხმის ფაქტი გუშინაც მთავარი სალაპარაკო თემა იყო. ამ ინციდენტის გამო საპარლამენტო ოპოზიცია პარლამენტის დღევანდელ სხდომაზეც გაინერვიულებს თავს. „ქართული ოცნება“ კი დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტს გაიხსენებს.

დეპუტატ ვალერი გელაშვილს თავს 2005 წლის ივლისში დაესხნენ. ის სასიკვდილოდ სცემეს. ნაციონალებს ამ ამბის გახსენება არ სურთ. თუმცა მაინც მოუწევთ. გუშინ ვალერი გელაშვილმა განაცხადა, რომ ამ საქმის გამოძიება რამდენიმე დღეში დასრულდება.

— ამ საქმეზე პროკურატურას სერიოზული მტკიცებულებები აქვს. პროკურატურას ირაკლი ოქრუაშვილმაც მისცა. ჩემზე განხორციელებული თავდასხმის უკან მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი და ერეკლე კოდუა დგანან, — განაცხადა დეპუტატმა გელაშვილმა.



წინა ხელისუფლებამ ეს საქმე არ გამოიძია. საქმის გამოძიებას ვინ ჩივის, ნაციონალებმა ვალერი გელაშვილს დეპუტატის უფლებამოსილებაც შეუჩერეს. სამაგიეროდ ახლა ხმამაღლა გაჰყვირიან ნუგზარ წიკლაურზე მომხდარი თავდასხმა გამოიძიეთო. არადა გელაშვილს თუ შევადარებთ წიკლაურს ცემის კვალი ფაქტიურად არ ეტყობა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქმე გამოძიებული არ იყოს. იმედია, ეს საქმე მალე გაიხსნება. წიკლაური ამბობს, რომ მასზე თავდასხმა ქუჩაში მდგარმა ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას განცხადებით, წიკლაურის ცემის ფაქტს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი იძიებს.

— ძალადობა ნებისმიერი მოქალაქის მიმართ და მით უფრო მაშინ, როცა საქმე ეხება პარლამენტის წევრს, არის სრულიად მოუთმენელი, მიუღებელი, დაუშვებელი. მე მქონდა საუბარი მთავარ პროკურორთან და გუშინწინ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საქმე დაიქვემდებაროს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა. ჩვენ ველოდებით, რომ ძალიან მოკლე დროში გვეცოდინება პასუხი რა მოხდა, რატომ მოხდა და ვის მიერ მოხდა. მე იმედი მაქვს, რომ გამოძიება მალე დასრულდება ძალიან მალე და კონკრეტული შედეგით და ეს კონკრეტული ფაქტი იქნება რეაგირებული თანაზომადად, ადეკვატუად და ამის შემდეგ შეფასებების გაკეთება უფრო რეალური და შესაძლებელი იქნება, — აღნიშნა ბესელიამ.

ნაცემმა დეპუტატმა პროკურატურას ჩვენება უკვე მისცა. ის საკუთარ სახლში 31 მარტს დაკითხეს. წიკლაური დარწმუნებულია რომ მასზე თავდასხმა შალვა თათუხაშვილზე გაკეთებულ განცხადებას უკავშირდება. რამდენიმე დღის წინ მან „რუსთავი 2“-ის ეთერში იმ ადამიანების გვარები დაასახელა, რომლებიც თათუხაშვილის მკვლელობაში მონაწილეობდნენ.

— ჯერ-ჯერობით გამოძიებამ მიიღო მხოლოდ ჩემი დაკითხვის ოქმი. ეს არის, რაც მე მოვყევი, დეტალურად აღვწერე თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი. რვა ადამიანი დამესხა თავს ყოველგვარი საუბრის გარეშე. მათი მთავარი ამოცანა იყო მანქანაში როგორმე შეტენვა, რა დროსაც გამოიყენეს ელექტროშოკი, იმიტომ, რომ ჩემი მხრიდანაც იყო დიდი წინააღმდეგობა და დაახლოებით ორი წუთის ბრძოლის შემდეგ ერთ-ერთმა მეზობელმა, მეორე სართულზე მცხოვრებმა, გაიგონა ეს ხმაური, გადმოიხედა და მისი ყვირილის შემდეგ გაიქცნენ ეს ადამიანები. მათ ჰქონდათ სახეები დაფარული. ისინი საერთოდ ხმას არ იღებდნენ მთელი ამ დროის განმავლობაში. როდესაც მანქანაში ვერ ჩამაგდეს ვერაფრით, ამ დროს ერთის ხმა გავიგონე, რომელმაც უთხრა, რომ ვერ ვტენით მანქანაში, ელექტროშოკი. ამ სიტყვების გაგონებიდან რამდენიმე წამში ჯერ თავის არეში დარტყმა ვიგრძენი, შემდეგ მარჯვენა ფეხის არეში, რაც აგრეთვე ეს დაზიანებები არსებობს ახლა, — განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

# კახა ძაგანია: ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების ოპონენტი არ არის“

შორენა კოწოწაშვილი

„მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი კახა ძაგანია დარწმუნებულია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის ის გაერთიანება, რომელიც ნინო ბურჯანაძის გარშემო იკვრება, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე სერიოზულ შედეგს დადებს და ეს იქნება ხმების ორჯერ და სამჯერ მეტი რაოდენობა, ვიდრე ნაციონალები მიიღებენ.

ძაგანია უარყოფს გავრცელებულ ხმებს იმის თაობაზე, თითქოს ნინო ბურჯანაძე და მისი „დემოკრატიული საქართველო“ არასაპარლამენტო პარტიების „შეჭმვა-შესრუტვას“ ახორციელებს და ამით წინასაარჩევნოდ ძალთა ახალ ბალანსს ქმნის.

ყოფილი ლეიბორისტი ფიქრობს, რომ „შავი პიარი“ – ბურჯანაძის პრორუსულ პოლიტიკოსობასთან დაკავშირებით არ მუშაობს და ეს ბრალდება სასაცილოა.

არის თუ არა ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტი პოლიტიკური ანგარიშსწორების შედეგი და რა საქმეზე უნდა დაიკითხოს მიხეილ სააკაშვილი აუცილებლად? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „მემარცხენე ალიანსის“ წევრ კახა ძაგანიასთან.

***– ბატონო კახა, ბოლო დღეებში ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიდან და ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტიდან გამომდინარე საპარლამენტო ოპოზიცია პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე ალაპარაკდა. მართლაც, პოლიტიკურ რეპრესიებს მიმართავს ხელისუფლება ოპონენტებთან მიმართებაში?***

– წიკლაურს მაშინ უნდა ეფიქრა, როდესაც პროლეტარებს უშვერი სიტყვებით აგინებდა საჯარო და ღია ეთერით მთელი ქვეყნის გასაგონად. ალბათ, სავარაუდოდ, რამდენიმე მშრომელი, მუშა ან გლეხი დახვდა და კბილებში უთავაზეს ნაციონალ დეპუტატს აი, ამ სიტყვებისთვის. მუშის მუშტი, მოგეხსენებათ, ისეთი მძიმეა, რომ შეიძლება ელექტროშოკი ეგონა. რაც შეეხება დევნას, ნამდვილად არა მგონია, რომ რადგან წიკლაური გალახეს, ნაციონალურ მოძრაობას დევნიან. არც სააკაშვილი რომ დაიბარეს დაკითხვაზე, ესაა პოლიტიკური პარტიის დევნა. ასე რომ, მათი დაკითხვები და დაბარებები დევნას სულაც არ ნიშნავს. მაგრამ, რაც შეეხება პოლიტიკური ოპონენტების დევნას, ჩვენი პარტიის დამფუძნებელი არჩილ ბენიძე, რომელზეც სააკაშვილის პროკურატურამ სს საქმე აღძრა ფულის გათეთრების მუხლით, თითქოს ბენიძე ბადრი პატარკაციშვილის ფულს – 15.000 დოლარს ათეთრებდა, ეს საქმე ჯერ არ დასრულებულა და სასამართლოში არის გადაცემული და ყოველგვარი ვადების დარღვევით მიმდინარეობს ამ საქმის განხილვა და რამდენი წელია პროცესი იწელება. სასამართლო განხილვის ყველა სტადია გავლილია, მაგრამ სასამართლოს საბოლოო ვერდიქტი ვერ გამოუტანია. აი, ეს ტენდენცია ნამდვილად არის და ეს არის პოლიტიკური დევნა. ასე რომ, წიკლაურისა და სააკაშვილის გამო, იმის გამო, რომ ისინი ნამდვილად ჩადენილი დანაშაულების გამო კანონის წინაშე უნდა წარდგნენ, ამის გამო უნდა ჩაითვალონ ისინი პოლიტიკურად დევნილებად?!

***– ანუ პოლიტიკურად არაკორექტულად იქცევა ხელისუფლება პოლიტიკური ოპონენტების მიმართ?***

– პოლიტიკურად არაკორექტულად იქცევა პოლიტიკური ოპონენტების მიმართ, მაგრამ არა ნაციონალებთან მიმართებაში. ნაციონალური მოძრაობა არ შეიძლება ჩავთვალოთ ხელისუფლების ოპონენტად. იმ კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე რომ ვთქვათ, რომ ნაციონალური მოძრაობა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო სდევნიან, არასწორი იქნება. სააკაშვილს ძალიან ბევრი ცუდი რამ აქვს ჩადენილი და მან ამისთვის პასუხი უნდა აგოს. მე, პირადად, ძალიან მიკვირს და ჩვენმა პარტიამ მოვუწოდეთ კიდეც პროკურატურას, რომ სვანეთში, აფრასიძეების ოჯახში ჩატარებული სამხედრო ოპერაცია, რომელზეც სააკაშვილმა თქვა, რომ მისი დავალებით ჩატარდა და ასე უმოწყალოდ ჩახოცილი აფრასიძეების საქმე, არის აუცილებლად ობიექტურად გამოსაძიებელი. თან მაშინ ამ სპეცოპერაციას დაარქვეს, თითქოს კახი კალაძის ძმის გატაცებას უკავშირებდნენ და მისი მოძებნის გამო მოხდა ეს ყველაფერი. გამოვიდა სააკაშვილი პარლამენტის სხდომათა დარბაზში და განაცხადა, გია ბარამიძე არაფერ შუაშია, მე გავეცი დავალება აფრასიძეებთან დაკავშირებითო. აი, ამ უკანონო სამხედრო ოპერაციაზე და ჩახოცილ ადამიანებზე არ უნდა დაიკითხოს მიხეილ სააკაშვილი?! ჯერ ერთი, სამსახურებრივი გადამეტებაც არის, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. სააკაშვილს კონსტიტუციით არ ევალებოდა ბრძანება გაეცა აფრასიძეების ოჯახზე შეიარაღებული იერიშის მიტანის. ეს იყო უკანონო სამხედრო ოპერაცია და ამაზე მან პასუხი უნდა აგოს. თქვენი გაზეთის მეშვეობით კიდევ ერთხელ მოვუწოდებ პროკურატურას, რომ სააკაშვილი აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებითაც დაიკითხოს. გამოძიების სტადიაზე სააკაშვილის დაკითხვა არის სწორი და აუცილებელი. როცა ადამიანი დაკითხვაზე უარს იძახის, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება. ეს კანონში ძალიან მკაფიოდ წერია. რას ნიშნავს სააკაშვილის სიტყვები, მე როცა მინდა, მაშინ დამკითხეთ? ესეც ამ ხელისუფლების უსუსურობის შედეგია. როცა კანონს უნდა და კანონი თვლის საჭიროდ, რომ უნდა დაიკითხო, მაშინ უნდა მისცე ჩვენება. სულ რამდენიმე დღის წინ გაიმართა ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სასამართლო პროცესი იმის გამო, რომ ის კორუფციაში იყო შემჩნეული. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში მიუციათ სს პასუხისგებაში სხვადასხვა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები და ყველა მათგანი წარმდგარა სასამართლოს თუ პროკურატურის წინაშე. ასე რომ, არავითარი პოლიტიკური დევნა ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებაში არ ხდება. ჩვენი პარტიის დამფუძნებლის პოლიტიკური დევნა კი წლებია გრძელდება და ის სააკაშვილის პროკურატურის მიერ უკანონოდ შეკერილი საქმის გამო ისჯება და ქვეყნიდან არის წასული. დღევანდელ სასამართლოსაც ვერ გამოუტანია განაჩენი ამ საქმეზე, ბადაშვილის უწყებას კი შეუძლია უკან გაიწვიოს, როგორც შეთითხნილი ბრალდება და ამას არ აკეთებს. სასამართლომ ის მაინც თქვას, დამნაშავეაო. არც ამას იძახის და ვერც საბოლოო ვერდიქტი გამოაქვს უკვე რამდენი წელია.



***– თქვენ ბარამიძე ახსენეთ. ის, როგორც ჩანს. არც ჟვანიას საქმეზეა დაკითხული და არც აფრასიძეების. რატომ არ ხდება მისი დაკითხვა და რატომ ჩქარობს პროკურატურა ექსპრეზიდენტის დაკითხვას?***

– აფრასიძეების საქმე საერთოდ არ აქვთ გათვალისწინებული სააკაშვილის დაკითხვის დროს. ამიტომ მოვითხოვეთ საჯაროდ პროკურატურისგან, რომ სააკაშვილს კითხვები ამ გახმაურებულ საქმეზეც დაუსვან. რაც შეეხება ჟვანიას საქმეს, როცა ყოფილი პრემიერი გარდაიცვალა, მიშას შიშით თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები იყვნენ, ვინც ხმამაღლა იძახდა, რომ ზურაბ ჟვანია არის მოკლული. ჩვენი პოლიტიკური სამეგობრო ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც განაცხადა, რომ ჟვანია მოკლულია და არა შემთხვევით გაგუდული, რასაც ხელისუფლება აცხადებდა. დღეს გამოძიება უკვე იმ სტადიაზეა მისული, რასაც ჟვანიას ოჯახი ამბობს, სავარაუდოდ, ამ დასაბუთებული ვარაუდით უკვე შეიძლება ითქვას, რომ ჟვანია არის მოკლული. უბრალოდ, გამოკვეთა იქნება საჭირო, ვისი დავალებით მოხდა და ვინ იყო შემსრულებელი. შეიძლება შემთხვევითაც შემოაკვდათ. ესეც შესაძლებელია. ამიტომ ვამბობ, რომ ყველაფერი დასადგენია და ეს გამოძიების საქმეა. თორემ ფაქტი იმისა, რომ არის მოკლული, ამაზე უკვე აღარც ოჯახი დავობს და აღარც საზოგადოება. იმიტომ, რომ მტკიცებულებებიდან გამომდინარე არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჟვანია არის მოკლული. ბარამიძის დაკითხვას რაც შეეხება, ვფიქრობ, მისი ჩვენება მთავარი მტკიცებულება არ იქნება. პოსტფაქტუმ მიიყვანეს ბარამიძე და მისი ჩვენება შეიძლება მეორეხარისხოვანი იყოს. მისი ჩვენება ჟვანიას საქმეზე, ვფიქრობ, არაარსებითია. აფრასიძეების საქმეზე თუ დაკითხავდნენ, ეს კი მნიშვნელოვანი იქნებოდა.

***– დევნილის და დაჩაგრულის მანტია უნდათ ნაციონალებს მოირგონ წინასაარჩევნოდ?***

– მთავარ ოპოზიციურ ძალას რომ ეძახიან თავიანთ თავს, მათ ამის საფუძველი აქვთ. იმიტომ, რომ საპარლამენტო არჩევნებში ნაცმოძრაობამ მეორე შედეგი აჩვენა და სირცხვილი ამომრჩეველს, რომ ეს მოძალადე და კრიმინალური პარტია, მეორე ადგილზე გაიყვანა. ახლა რაც არ უნდა მოხდეს, ყველაფერზე ყვირიან, რომ ხელისუფლება ებრძვის მთავარ ოპოზიციურ ძალას და ეს კარგად იყიდება საერთაშორისო არენაზე. დასავლელი პოლიტიკოსები შესაბამის განცხადებებს აკეთებენ, ისევე, როგორც ნაციონალების და სააკაშვილის ლობისტები, რომლებიც ჯერ კიდევ ჰყავთ. ამით სათქმელი ეძლევათ, რომ „ქართული ოცნება“ დევნის პოლიტიკურ ძალას, რომელმაც არჩევნებზე 20% აიღო. ეს კი ცოტა ნამდვილად არ არის. მესამე ადგილზე ის კანდიდატი გავიდა, რომელმაც 10% მიიღო. ასეთი შეცდომა ამომრჩეველმა აღარ უნდა დაუშვას. ისეთი ძალა არ უნდა მოვიდეს თვითმმართველობის არჩევნებზე ადგილობრივ დონეზე, როგორიც ახლა უგულავას ჰყავს. ისევ უგულავასნაირი ხალხის დატოვება უნდათ საკრებულოში? თუ ეს ამომრჩეველს უნდა, ღმერთმა შეარგოს, ისევ შიხიაშვილები და ნაციონალები იქნებიან დედაქალაქის მმართველები. უგულავას და შიხიაშვილის კინკლაობას გადააყოლონ ისევ ადგილობრივი არჩევნები და დედაქალაქის საკრებულო, როცა მათი პირადი უთანხმოების გამო დედაქალაქში ორმოები გაჩნდა. ასეთი ორმოები შევარდნაძის დროს იყო. თუ უნდათ ასეთი ორმოები პოლიტიკაშიც და დედაქალაქშიც, მაშინ ადგილობრივ თვითმმართველობაში ჰყავდეთ უგულავა და შიხიაშვილი ანუ დატოვონ ეს ხალხი და როგორც საპრეზიდენტო არჩევნების დროს გააკეთა ამომრჩეველმა, ახლაც მათ გამოუცხადოს ნდობა.

***– ვრცელდება ინფორმაცია, რომ უახლოეს მომავალში შეიძლება გიგა ბოკერიაც დააპატიმრონ...***

– ვერ გეტყვით, კონკრეტულ ინფორმაციას არ ვფლობ. ისე მას თანამდებობაზე ანუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ უმუშავია. ის არის პოლიტიკოსი და თუ ვინმეს მისი შეხედულებები არ მოსწონს, სხვათა შორის, არც მე მომწონს, ამის გამო მისი დაჭერა დაუშვებელია.

## შალვა თათუხაშვილის ოჯახი გამოძიებასთან მხოლოდ მისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ ითანამშრომლებს

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლის, აწგარდაცვლილი შალვა თათუხაშვილის ოჯახის წევრებმა და თანასოფლელებმა მთავარ პროკურატურასთან გუშინ საინფორმაციო აქცია გამართეს. ისინი გამოძიებას უნდობლობას უცხადებენ, ასევე, დამნაშავეების დასჯასა და საქმეში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას ითხოვენ. აქციის მონაწილეებმა პროკურატურასთან შალვა თათუხაშვილის ფოტოები და ტრანსფარანტები მიიტანეს, რომლებზეც ეწერა, რომ ისინი თათუხაშვილის მკვლელების დასჯას მოითხოვენ. მათივე თქმით, ამ ეტაპზე, მთავარი მოთხოვნა პროკურატურის იმ თანამშრომლების დასჯაა, რომლებსაც შალვა თათუხაშვილის გარდაცვალებაში ადანაშაულებენ. ოჯახი თათუხაშვილის გარდაცვალებაში ბრალს პროკურორებს დავით ძნელაშვილსა და გურგენ გილაურს სდებს. შალვა თათუხაშვილის დის ნატო თათუხაშვილის განცხადებით, ოჯახი გამოძიებასთან მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ ითანამშრომლებს.

„ჩამოსულია სოფელ თელეთის მოსახლეობა და ჩვენ შალვას მკვლელების, ძნელაშვილის და გილაურის დასჯას ვითხოვთ. მოვითხოვთ საქმეში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას და ამის შემდეგ ოჯახი გამოძიებასთან თანამშრომლობას დაიწყებს“ – განაცხადა მან.

შალვა თათუხაშვილი რამდენიმე დღის წინ საკუთარ სახლში გარდაიცვალა. ის დათა ახალაიას საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო.

ნიუსპრესი

## ახალი მემარჯვენეები“ ხელისუფლებას თათუხაშვილის გარდაცვალების გარემოებების გამოძიებისკენ მოუწოდებს

პარტია „ახალი მემარჯვენეები“ ხელისუფლებას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლის შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების გარემოებების დროულად და ობიექტურად გამოძიების მოთხოვნით მიმართავს. „ახალი მემარჯვენეების“ განცხადებით, თათუხაშვილის გარდაცვალება უმძიმესი ფაქტია, რადგან მისი სიკვდილი საგამოძიებო ორგანოებთან ურთიერთობას მოჰყვა. პარტიაში მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებას ძალიან ბევრი თემა დაუგროვდა, რომლის გარშემოც კითხვები მეტია, ვიდრე დამაჯერებელი პასუხები. „ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, რომ დაახლოებით ამგვარად იწყებოდა „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც დანაშაულებრივი ხელისუფლების შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და მოვუწოდებთ გაითვალისწინონ ქვეყნის უახლესი წარსულის გამოცდილება. შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების ფაქტზე განცხადებები გააკეთეს და ობიექტური გამოძიების პირობა დადეს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებმა, მაგრამ ბევრი მოგვისმენია ისეთი განცხადებები, რომელთაც პრაქტიკული ქმედებები არ მოჰყოლია. საზოგადოებას სჭირდება მიუმხრობელი გამოძიება, დროული რეაგირება და კონკრეტული პასუხები“– აცხადებენ „ახალი მემარჯვენეები“ და მიიჩნევენ, რომ არ შეიძლება ვინმეს სიცოცხლე სამართალდამცავი ორგანოების უკანონო ქმედებებს, თავგასულობას შეეწიროს. შალვა თათუხაშვილი რამდენიმე დღის წინ საკუთარ სახლში გარდაიცვალა. ადვოკატი და ოჯახი მის დაღუპვაში პროკურატურას ადანაშაულებს. თათუხაშვილი დათა ახალაიას საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო. გამოძიება გარდაცვალების ფაქტზე უკვე დაწყებულია, თუმცა, ოჯახი გამოძიებას უნდობლობას უცხადებს და საქმეში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას მოითხოვს.

ნიუსპრესი

## შინაგან საქმეთა მინისტრი ერაყის ელჩს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ერაყის ელჩ ბაქირ აჰმედ ალ-ჯაფს შეხვდა. შსს-ს ინფორმაციით, საუბარი ურთიერთთანამშრომლობის საკითხებსა და სამომავლო გეგმებს შეეხო.

მხარეებმა, ასევე, ერაყისა და საქართველოს სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის გაძლიერების იმედი გამოთქვეს.

ნიუსპრესი

## პარლამენტი ნოდარ გრიგალაშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს

საქართველოს პარლამენტი მწუხარებას გამოთქვამს ყოფილი დეპუტატისა და მწერლის ნოდარ გრიგალაშვილის გარდაცვალების გამო და მის ოჯახს თანაგრძნობას უცხადებს. ნოდარ გრიგალაშვილი 1999-2004 და 2004-2008 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი იყო.

იგი ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში 1958 წლის 3 მაისს დაიბადა. იყო გაზეთ „საქართველოს“ და „ახალი საქართველოს“ მთავარი რედაქტორი.

1981 წელს მესტიის სკოლა-ინტერნატის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, 1981-1987წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და I საშუალო სკოლის პედაგოგი, 1984-1988წწ. ალმანახ „კრიტიკის“ განყოფილების გამგე იყო.

იგი ავტორია ლექსების კრებულის „ზრუნვის საგანი“ და ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების „სამწუხარო პარალელები“. ნოდარ გრიგალაშვილი 55 წლის ასაკში, გუშინწინ გარდაიცვალა.

ნიუსპრესი



## შინაგან საქმეთა მინისტრი ადამიანის უფლებათა ექსპერტ ტომას ჰამერბერგს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ადამიანის უფლებათა ექსპერტ თომას ჰამერბერგს შეხვდა. ოფიციალური ცნობით, საუბარი ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს და სამომავლო გეგმებს შეეხო. მხარეებმა პოლიციის საქმიანობის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები და ამ მიმართულებით ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს.

მედიანიუსი

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:

ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

2014, 2 აპრილი, №77

# ნანა დევდარიანი: მარგველაშვილი ოპოზიციაში თუ გადავა, თავს დაიღუპავს!“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანთან

***– ქალბატონო ნანა, თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ ნაციონალურ მოძრაობას ახალი ხელისუფლება თავის მართლების რეჟიმში ჰყავს ჩაყენებული და, ბოლო პერიოდის პროცესებს თუ გადავხედავთ, მართლაც ასეა... ადანაშაულებენ წამებაში, კაცის მკვლელობაში, დეპუტატებზე თავდასხმაში... თუმცა საზოგადოების ნაწილი ამას არ იჯერებს. როგორც ყოფილი სახალხო დამცველი, რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

– ჯერ ერთი, დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ მიგვაჩვიეს 9 წელიწადი, რომ აგრესიული ხელისუფლების რეჟიმში ვცხოვრობდით. ახლა სიტუაცია აღარ არის ასეთი აგრესიული, ხალხმა ამოისუნთქა, მაგრამ, აგრესიასთან ერთად, ეს იმიტაცია აქტიური მოქმედების ასევე გაქრა, რაც აძლევს საშუალებას ნაციონალებს, რომ თქვან – არაფერს არ აკეთებს ახალი ხელისუფლება, ხომ ხედავთ, არაფერი არ ხდება, თუმცა ყველას კარგად გვახსოვს, რომ მათი მთელი ეს გამოსვლები და გადაჭარბებული პიარი, აი, მაგალითად, გახსნიდნენ საწარმოს, მერე გატრიალდებოდნენ და ის სასტუმრო ჩერდებოდა, აღარ მუშაობდა და უამრავი ასეთი. ამიტომ ყველა შემთხვევით სარგებლობენ იმისთვის, რომ ავტორიტეტი დასცენ ახალი ხელისუფლების, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ვერ მიჰყვებიან ამ ტემპში. ისინი სულ დასწრებაზე არიან, ხომ ვატყობთ, არა? აი, ეს ვითარებაა შექმნილი. მუდმივად ინიციატივა აქვს ნაციონალურ მოძრაობას. მერე, მათ ძალიან კარგად იციან ეს პოლიტიკური ტექნოლოგიები და პიარტექნოლოგიები და ამით სარგებლობენ მაქსიმალურად, მაშინ, როდესაც ახალმა ხელისუფლება თქვა, რომ ჩვენ პიარი არ გვინდა. კაცო, როგორ არ გინდა? უამრავი რამე გაკეთდა და ადამიანები უბრალოდ ვერც კი იგებენ ამას. ეს გაპიარება კი არ არის, ეს არის ის, რომ საზოგადოებას უნდა მისცე ინფორმაცია. ხშირ შემთხვევაში კი ეს ინფორმაცია მოქალაქეებამდე არ მიდის. სამაგიეროდ, გავსებულია სტრუქტურები ნაციონალური მოძრაობის დროს მიღებული კადრებით, რომლებსაც ყველა ინფორმაცია გამოაქვთ გარეთ. ჩვენ ხომ გვახსოვს, რომ 9 წელიწადი ამბის გამომტანი არ იყო გარეთ. ვერ გაიგებდი, რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურაში რა ხდებოდა. ახლა კი მუდმივად გამოაქვთ ეს ინფორმაცია. შემდეგ ეს ინფორმაცია განიცდის ტრანსფორმაციას, მახინჯდება და მიდის მოსახლეობამდე იმ სახით, რა სახითაც აწყობს ყოფილ მმართველ პარტიას.

***– კადრები – ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ამ ხელისუფლების. ყველა მიუთითებს იმაზე, რომ უნდა მომხდარიყო სერიოზული წმენდა, ცვლილება, თუნდაც იმავე ძალოვან უწყებებში მაინც, რომ საბოტაჟი შემცირებულიყო...***

– რა თქმა უნდა, სულ ამაზეა ლაპარაკი. პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ეძებს კვალიფიციურ კადრებს, მაგრამ უბედურება რაშია, როდესაც უცებ მოდიხარ ხელისუფლებაში, როცა მანამდე საჯარო სივრცეში არ ტრიალებდი და კონტაქტები არ გქონდა, ძალიან ძნელია... ამ დროს უამრავი კვალიფიციური კადრია, რომელიც ხელოვნურად ჩამოაშორეს სახელმწიფო სამსახურს, სხვადასხვა სტრუქტურებს, რომლებიც, ფაქტობრივად, ქმნიან პოლიტიკას ქვეყანაში. ამიტომ, რადგან თვითონ პირადად არ იცნობენ, ალბათ, საზოგადოების წარმომადგენლებს მაინც უნდა დაეკითხონ, რომ მერე რაღაცა შეაჯერონ და საერთო აზრი გამოიტანონ აქედან.

***– ამბობენ, რომ მარტო საახლობლო წრით შემოიფარგლებიან და ძალიან მაღალი მაჩვენებელია ნეპოტიზმის...***

– მე ამას ვერ ვიტყვი დარწმუნებით, ეს ნეპოტიზმია თუ სხვა რამ. სხვათა შორის, არც იმას არ გამოვრიცხავ, რომ რიგი კანდიდატურების ლობირება ხდებოდეს ნაციონალებისგან, ოღონდ ისე, რომ თვითონ არ ჩანან. კაცი შენ თვითონ რომ დაასაქმე ძალოვან სტრუქტურაში, მაღალ თანამდებობებზე დააწინაურე და მერე ახალი ხელისუფლების დროს აღმოაჩინე, რომ თურმე ყაჩაღობაში იყო ეჭვმიტანილი, ახლა აქედან დასკვნის გაკეთება რთული არ არის. ძალიან კარგადაც იცოდნენ და შეიძლება ყველანაირად შეუწყვეს ხელი, რომ ეს კანდიდატურა წამოტივტივებულიყო და მერე დაერტყათ. 9 წელიწადი და მეტი კომპრომატებს აგროვებდნენ სხვებზეც და თავიანთ თანამებრძოლებზეც, მეტი ხომ არაფრით არ იყვნენ დაკავებული!

***– ქალბატონო ნანა, ახლოვდება ადგილობრივი არჩევნები, ასეა თუ ისე, მაინცდამაინც კარგ მდგომარეობაში არ არის ახალი ხელისუფლება. სამართლიანობის აღდგენის საკითხი და სხვა უამრავი პრობლემაა ქვეყანაში. როგორ ფიქრობთ, რას უნდა ველოდეთ?***

– ადგილობრივი არჩევნები ცოტა სპეციფიკური არჩევნებია, იმიტომ რომ უშუალოდ ადგილებზე ირჩევენ ადამიანებს და ეს არ არის რაღაცა ერთიანი პარტიული სია, როგორც საპარლამენტო არჩევნებში, როდესაც შეიძლება პირველი ათი კაცი იცოდე და აი ამ ათი კაცის ხათრით მისცე ხმა. ადგილზე უნდ იყვნენ ის ადამიანები ავტორიტეტული, მათ უნდა ენდობოდნენ და ხმა უნდა მისცენ. ამდენად, ახალ ხელისუფლებას შედარებით გაუჭირდება, იმიტომ რომ ეს უკვე რიგით მესამე არჩევნებია და წელიწადნახევარზე მეტი დროა გასული პირველი არჩევნებიდან 2012 წლის, მაგრამ მათ მაინც აქვთ რესურსი იმისთვის, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობით დეპუტატები გაიყვანონ. ახლა ნაციონალები იბრძვიან იმისთვის, რომ მეორე ადგილზე ისინი არავინ ჩაანაცვლოს, რომ დაიმაგრონ ეს მეორე ადგილი და ყველაფერს აკეთებენ ამისთვის. ვისაც კი დაიჭერენ, ყველაზე იძახიან, აი, ეს უნდა ყოფილიყო ჩვენი კანდიდატიო. წადი და იანგარიშე ახლა, უნდა ყოფილიყო თუ არა. ვინ გაარკვევს მაგას. ახლა გლდანში წამოაყენეს გოგა ონიანის კანდიდატურა... მე არ ვიცი ახლა, თუ ადამიანს ჩადენილი აქვს დანაშაული, მე ვერაფრის მტკიცებას ვერ დავიწყებ, არსებობს მაინც პრეზუმფცია უდანაშაულობის, თუ კაცს ჩადენილი აქვს დანაშაული, გლდანში კი არა, ვესპრინტენის სააბატოში რომ დააყენო კანდიდატურა, ამას კანონისთვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ გაწაფულები არიან ნაციონალები პოლიტიკური ტექნოლოგიების თვალსაზრისით და მაქსიმალურად იყენებენ.

***– ე.ი. თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას ისეთი მაღალი მაჩვენებელი აღარ ექნება?***

– 63% მარგველაშვილის და მერე რამდენიმე თვეში იმის მოსმენა, რომ ის მთლად ისეთი არ ყოფილა, მე როგორიც მეგონაო, ივანიშვილმა რომ თქვა, გაფიქრებინებს, რომ, რა თქმა უნდა, ასეთი მაღალი მაჩვენებელი არ ექნება...

***– თქვენვე ახსენეთ მარგველაშვილი და ივანიშვილი, ითქვა, რომ მათ შორის სერიოზული დაპირისპირება იყო... როგორ ფიქრობთ, ასეთი რა მოხდა? რატომ განაცხადა ივანიშვილმა, რომ შეცდა მარგველაშვილში?***



– მან ახსენა სიტყვა „ხასიათი“, რომ ხასიათი აღმოაჩნდა. ხასიათი ყველა ადამიანს აქვს მეტ-ნაკლებად. შეიძლება მან უბრალოდ დაინახა ისეთი რამ, რასაც ადრე ვერ ხედავდა. თუმცა უამრავი ექსპერტი ჩემი ჩათვლით ამბობდა, რომ არ არის ეს ის კანდიდატურა, რომელიც უნდა დააყენო საპრეზიდენტოდ. თუ მაინცდამაინც ამომრჩევლის გამოცდა არ გინდა, რომ შენს სიტყვაზე აირჩევს თუ არა. არაფერი ისეთი, კატასტროფულად მე ამას არ ვუყურებ. როგორც ჩანს, ივანიშვილს რაღაცა არ მოეწონა, ეს ხდება ხოლმე.

***– თუმცა გამოვიდა ასეთი ხმები, რომ შესაძლოა ოპოზიციაში გადავიდეს პრეზიდენტი... თქვენ რამდენად გამორიცხავთ ან არ გამორიცხავთ ამ ფაქტს?***

– სად, რომელ ოპოზიციაში უნდა გადავიდეს? დღეს ჩვენ ოცნებამ გაგვიფორმა ერთადერთი ოპოზიცია ნაცმოძრაობის სახით. ახლა დაღუპვა თუ უნდა მარგველაშვილს, მაშინ გადავიდეს ნაცებში და თუ სხვა რაღაცის გაკეთებას აპირებს. მარგველაშვილი, ისევე, როგორც „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლები, მაინცდამაინც საჯარო სივრცეში არასოდეს არ იყო. მისთვის პარტიის შექმნა ამ ვითარებაში ცოტა არარეალურად მეჩვენება, თან ეს ასე არ ხდება ერთ დღეში და ორ დღეში. თუ შენ პრეზიდენტი ხარ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მართლაც სერიოზული პოლიტიკური ლიდერი ხარ, მით უმეტეს, ყველამ კარგად ვიცით, როგორ მოხდა მისი გაპრეზიდენტება. ეს წლების ამბავია, პარტია ერთ დღეში არ იქმნება. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა „ქართულმა ოცნებამ“, როდესაც 2011 წლის ოქტომბერში გააკეთა განცხადება ბიძინა ივანიშვილმა და პრაქტიკულად ერთი წლის მერე შეიქმნა პარტია. მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი ნდობის მანდატი ჰქონდა ივანიშვილს, ერთ წელზე ადრე პარტიის შექმნა ვერ მოახერხა ანუ კოალიცია კი შეიქმნა სხვადასხვა შემადგენლობისგან, მარა თავისი პარტია ვერ შექმნა ერთ წელიწადში ბიძინა ივანიშვილმა და მარგველაშვილი რამდენად მოახერხებს ამას!

***– აღიარა, რომ შეცდა მარგველაშვილში. იგივე რომ მოხდეს ნარმანიას შემთხვევაშიც?***

– არც ეგ არის გამორიცხული. შესაძლოა, კიდევ გამოვიდეს რამდენიმე თვეში და განაცხადოს, ნარმანია არ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც მე მეგონაო. უბრალოდ, ეს ცოტა არასერიოზულია... ამ ფონზე რა შანსები აქვს არასაპარლამენტო ოპოზიციას? ვხედავთ, რომ დაიწყო ბლოკის შექმნა და ასე შემდეგ... დიახ, ეს ლოგიკური პროცესია, რაღაც ძალების კონსოლიდაცია მოხდება და ესენი დაიწყებენ ბლოკის თუ კოალიციის სახით არჩევნებისთვის მზადებას. თბილისი ძალიან სპეციფიკური ქალაქია და, მგონი, მსოფლიოს ყველა ქალაქისგან განსხვავდება, მაგრამ ადგილობრივ არჩევნებში გარკვეული წარმატების მოპოვების შანსი არასაპარლამენტო ოპოზიციას აქვს.

***– მოდით, ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზეც ვისაუბროთ. ამბობენ, რომ ობამას მიერ გაკეთებული განცხადება იყო პუტინისთვის კოჭის გაგორება, ამ განცხადებით მან რუსეთის პრესიდენტს ასიამოვნა... რამდენად არის ასე და რა გველოდება ამ ნატოსთან ინტეგრაციის კუთხით?***

– ე.ი. ჩვენი ნატოში ინტეგრაციაზე მოწყობილი პოლიტიკოსები ყველანაირ ახსნას მოუძებნიან ხოლმე. დღეს ნამდვილად არ არის ის ვითარება, ობამა იმაზე ფიქრობდეს, როგორ გაუგოროს კოჭი პუტინს. ეს ასე არ არის, ობამამ თქვა, ის, რაც რეალურად არის. მარტო მე, თქვენი გაზეთის მეშვეობით რამდენჯერ მითქვამს, რომ არავითარი ნატოში გაწევრიანება ახლო პერსპექტივაში და საერთოდაც არ არსებობს. უბრალოდ, ახლა ეს ითქვა ხმამაღლა და თუ შეამჩნევდით, ვინც ნატო-ნატოს გაიძახის ეს წლებია, ყველაზე მეტად იყო ნირწამხდარი, თუ ხელისუფლების მხარდამჭერები და თუ ნაცმოძრაობის. ეს არის რეალობა. მერე მეორეც არის, ერთხელ ირაკლი სესიაშვილმა თქვა, მაშინ ის არასამთავრობოში იყო, დღეს არის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. მაშინ თქვა აბსოლუტურად სწორი რამ, რომ რატომ მიგვიღებენ ნატოში, როდესაც ჩვენ ისედაც ყველაფერს ვაკეთებთ, რაც ევალება ნატოს წევრს. იმაზე გაცილებით მეტს ვაკეთებთ, ვიდრე ნატოს წევრი ზოგიერთი სახელმწიფო. მეორე სალაპარაკოა და მეორე საკითხია კიდევ, საერთოდ რაში გვჭირდება ეს ნატო? რას გვაძლევს? იმ ვითარებაში, როდესაც პირდაპირ ღიად ამბობენ, რომ მეხუთე მუხლი ნატოს წესდების და ეს მეხუთე მუხლია კოლექტიური თავდაცვა, არ უნდა გავრცელდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. ჩვენთვის პირველი პრობლემა ეგ არის ზუსტად და იმაზე თუ არ გავრცელდება მეხუთე მუხლი, ახლა ავლაბრის რეზიდენციაზე გინდა გავრცელებულა და გინდა რა, ჩვენ ამით ნამდვილად არაფერი მოგვემატება.

***– რაც შეეხება ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, უკრაინის მოვლენების შემდეგ სულ იყო საუბარი, ჩვენც სერიოზული საფრთხის წინაშე ვდგავართო, მით უმეტეს ახლა დაჩქარდა ასოცირების პარაფირებაზე ხელმოწერა. ეს რამდენად გააღიზიანებს რუსეთს და რა საფრთხეებს ველით?***

– ეს ასოცირების ხელშეკრულება უკრაინის შემთხვევაში იმიტომ გახდა განხეთქილების ვაშლი, რომ უკრაინაში არის ძალიან სერიოზული მრეწველობა, რომელიც პირდაპირ არის მიბმული რუსეთზე. მარტო უკრაინის კი არა, ამას წინათ ანგელა მერკელმა თქვა, რუსეთის ჩვენ რომ ეკონომიკური სანქციები დავაწესოთ, გერმანიაში 300 ათასი სამუშაო ადგილი პირდაპირ რუსულ ბაზარზეა მიბმული და დაიკარგება ეს სამუშაო ადგილებიო. რომელ სახელმწიფოს ხელმძღვანელს უნდა 300 ათასი უმუშევარი?! არავის! ახლა ჩვენს შემთხვევაშიც არის გარკვეული ეკონომიკური საფრთხეები. ამ ორიოდე დღის წინ გლობალურ ცენტრს სწორედ ამ თემაზე გვქონდა კონფერენცია და ეკონომიკური ექსპერტები მიმოიხილავდნენ ამ ხელშეკრულების შეთანხმებას. ირკვევა, რომ რუსეთის ბაზრის გახსნიდან სულ მოკლე ვადაში ეკონომიკური ზრდა იყო 24% და თვითონ ევროკომისიის გათვლით, ამ ასოციაციის ამოქმედებიდან პირველ წლებში, ზრდა იქნება 2-3%, მეტი არა. ახლა დასკვნების გამოტანა რთული არ არის, ხომ? ჩვენმა ხელისუფლებამ დაანებოს თავი ამ პოლიტიკას. ჩვენი სახელმწიფო აქციეს სხვა სახელმწიფოების ინტერესების განხორციელების პოლიგონად. აქ ლაპარაკი იმაზე კი არ არის, რუსეთი ვის უყვარს და ვის არ უყვარს, ამერიკა ვის მოსწონს და ვის არ მოსწონს, ლაპარაკია იმაზე, რომ ნებისმიერი ხელშეკრულება, კავშირი, შეთანხმება, ყველაფერს ამას უნდა შეხედო შენი სახელმწიფოს და შენი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე. რომ ამბობენ, ევროკავშირის ბაზარი გაიხსნება ჩვენთვისო, ეს არის ზღაპარი. იმიტომ რომ ჩვენი პროდუქცია ევროპულ სტანდარტს არ აკმაყოფილებს. ნატოს ღია კარის არ იყოს, თან ღიაა ეს კარი, მაგრამ შიგნით არავინ შეგიშვებს. აი, ამ ილუზიებით ცხოვრება ჩვენმა პოლიტიკურმა კლასმა უნდა დაამთავროს.

***– ეს ხელისუფლებაც ძველი ხელისუფლების გზას აგრძელებს, საზოგადოებას კვებავენ ილუზიებით...***

– ზუსტადაც. ზუსტად იმ გზას აგრძელებენ. საგარეო ორიენტირების თვალსაზრისით არაფერი შეცვლილი არ არის. ერთადერთი კაცი, რომელიც ამბობდა, ჩვენ ყველაფერი უნდა განვიხილოთ, რაც ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო იქნებაო, ისიც წავიდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან. მე მაინც იმედი მაქვს ირაკლი ღარიბაშვილის, იმიტომ რომ ზოგიერთ მის გამოსვლაში ეს იმპულსები ისმის. ის, სხვებისგან განსხვავებით, უფრო სწორ აქცენტებს სვამს ხოლმე, როცა განცხადებებს აკეთებს, მათ შორის იმაზე, რომ ადამიანებს არ უნდა შევუქმნათ გადაჭარბებული მოლოდინები. დღეს აქტიურად საუბრობენ საგარეო საქმეთა მინისტრის შეცვლაზე და მე ვფიქრობ, რომ ესეც დიდი საქმეა, რადგან საგარეო საქმეთა მინისტრი არის პირველი დიპლომატი და მასზე ძალიან ბევრი რამე არის დამოკიდებული, მათ შორის მის სხვადასხვა ზეპირ განცხადებებზე. თუმცა, ამის გარდა, მიდგომებიც უნდა შეიცვალოს ძირეულად. ჩვენთან როგორი ვითარებაა, იცით? რასაც დასავლეთიდან ვილაცა ჩააწვეთებს ან უკარნახებს, მიჰყვებიან იმ ხაზს. არაფერს არ უნდა მიჰყვე გულდასმითი ანალიზის გარეშე! უნდა დაჯდე კვალიფიციურ და საიმედო კადრებთან ერთად და ყველა საკითხი უნდა გაიარო. განცხადებები, რომ კარგად ვიქნებით, მაგრად ვიქნებით და ევროკავშირში ვიქნებით, აგერ მეზობელ თურქეთს შეხედონ, რომელშიც ეკონომიკური დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოში, რომელიც თავის ინტერესებს რეგიონში სულ უფრო აფართოებს საქართველოს ჩათვლით და რომელიც ნატოს წევრი კი არის, მაგრამ 50 წელიწადია ევროკავშირში მიღებას ელოდება. ზუსტად 50 წლის წინ მოაწერეს იმ ასოცირებულ ხელშეკრულებას ხელი, რასაც ჩვენ ახლა უნდა მოვაწეროთ, 1963 წელს მოაწერა ამას თურქეთმა ხელი. ჩვენ შემთხვევაშიც რომ ასე იქნება, ზუსტად იცის იმ ხალხმა, ვინც ჩვენს მოსახლეობას ამას ჰპირდება.

# გოგონათა გასხვისება ცხოველების სანაცვლოდ — 16 წლის გოგო 45 წლის კაცზე 10 ძროხად გაათხოვეს



ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში 16 წლის გოგონა მამამ 45 წლის მამაკაცზე 10 ძროხის სანაცვლოდ გაათხოვა, თუმცა იმის გამო, რომ გოგონა ამ გარიგების წინააღმდეგი იყო, სახლიდან გაიპარა და ცოლად სხვას გაჰყვა. საქართველოს სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ თემებში გოგონათა გასხვისება შინაური ცხოველებისა და ფულის სანაცვლოდ, დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში 18 წელს მიუღწეველი დაახლოებით 14 მილიონი გოგო ქორწინდება ერთი წლის განმავლობაში, 38 000 ერთ დღეს, 13 გოგონა კი 30 წამში. საქართველოში არსებული სიტუაცია არანაკლებ მძიმეა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე განათლების მიღება 7 367-მა გოგონამ შეწყვიტა.

სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ინფორმაციით, შესწავლის შედეგების მიხედვით, გოგონათა მიერ სკოლის მიტოვების ძირითადი მიზეზი გათხოვებაა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლის თანახმად, ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან. 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

სტატისტიკური მონაცემებით, განათლების შეწყვეტის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ქვემო ქართლის რეგიონში, ასევე კახეთში, ეთნიკური აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში, კაბალში (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი); ყარაჯალასა (თელავის მუნიციპალიტეტი) და იორმუღანლოში (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი);

საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დამამთავრებელი კლასების მოსწავლე გოგონები მაგალითად, კაბალის საჯარო სკოლაში არ დადიან, რადგან დიდია მათი მოტაცების რისკი.

სკოლის დირექტორმა ალიშან ისმაილოვმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს უთხრა, რომ 2014 წლის იანვარ-თებერვალში მოტაცების 3 ფაქტი, ბოლო პერიოდში კი 20-ზე მეტი ადრეული ქორწინების შემთხვევა დაფიქსირდა.

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ამბობს, რომ განსაკუთრებით მაღალია იძულებითი ქორწინების შემთხვევები, გოგონათა მოტაცება და გარიგებით ქორწინება.

ომბუდსმენი განათლების შეწყვეტის და ადრეული ქორწინების მაღალი მაჩვენებლის შესახებ 2012 წლის ანგარიშშიც საუბრობდა, თუმცა უჩა ნანუაშვილი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები, სამწუხაროდ, არ გადადგმულა.

„მთავარ პრობლემას წარმოადგენს შესაბამისი უწყებების მხრიდან არასათანადო ყურადღება. კაბალის თემში არ იციან, ვის უნდა მიმართონ ბავშვის უფლების დარღვევის შემთხვევაში. გოგონათა გასხვისება შინაური ცხოველებისა და ფულის სანაცვლოდ ამ თემში დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია უწყებათაშორისი კოორდინაცია. მნიშვნელოვანია გააქტიურდეს სოციალური სამსახური, პოლიცია და საგანმანათლებლო დაწესებულებები“, — აცხადებს სახალხო დამცველი.

2014 წლის 18 მარტს, თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში, 16 წლის გოგონამ თავი იმის გამო მოიკლა, რომ არ დაეთანხმა მამის გადაწყვეტილებას მის გათხოვებასთან დაკავშირებით და ვერც წინააღმდეგობის გაწევა შეძლო.

აი, რა გვიამბო სკოლის დირექტორმა ელზა აშიროვამ: „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გოგონას ძალით ათხოვებდა მამა, რომელიც ყაზახეთში ცხოვრობს. გოგონა არ იყო თანახმა, ვერ შეძლო მამისთვის წინააღმდეგობის გაწევა და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ჩვენი თანასოფლელებისთვის მთავარია მატერიალური მდგომარეობა. თუ ბიჭი შეძლებულია, ან საშუალოდ შეძლებული, გოგოს თანხმობას მშობლისთვის მნიშვნელობა არ აქვს, უნდა გათხოვდეს. იმდენად მორიდებული იყო, ვერ მოვიდა ჩემთან. იქვე ახლოს ცხოვრობს ბებია, მასთან მისულა, მაგრამ სამწუხაროდ, ბებიამ ვერ შეძლო ეტყობა დახმარება. ჩვენთან გათხოვება მასობრივად ხდება სწორედ მშობლების ზეწოლით. ზოგიერთი შემთხვევა ასე მთავრდება, ასე გამოხატავენ თავიანთ ემოციებს, განცდებს და უკმაყოფილებას“.

სკოლის დირექტორის ინფორმაციით, ზუსტად იგივე მიზეზით, სოფელში თვითმკვლელობა 2013 წელსაც მოხდა. ამ შემთხვევაშიც მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ ბავშვი თანასოფლელ მამაკაცზე გაეთხოვებინათ. გოგონა, რომელიც მე-10 კლასის მოსწავლე იყო, გათხოვებაზე უარს ამბობდა.

2012 წელს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მე-8 კლასის მოსწავლის გადარჩენა შეძლეს. 13 წლის გოგონამ თვითმკვლელობის მიზნით დიდი რაოდენობით მედიკამენტები დალია. გოგონას შეყვარებული ჰყავდა, მშობლებს კი მისი გათხოვება სხვა, ეკონომიურად შეძლებულ მამაკაცზე უნდოდათ.

„თუ ბიჭი შეძლებულია, მე-8, მე-9 კლასის მოსწავლეების სათხოვნელადაც რომ მივიდნენ, მშობელი თანხმდება და ათხოვებს. გასულ წელს გვქონდა ასეთი შემთხვევა, 13 წლის გოგონა გაათხოვეს. ამ ასაკიდან იწყება. შარშან 5 გოგო არ გამოუშვეს სკოლაში, გათხოვების მიზნით“, — აღნიშნა ელზა აშიროვამ, ყარაჯალის სკოლის დირექტორმა.

თვითმკვლელობამდე მიყვანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დასჯადი დანაშაულია და ორიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ამის მიუხედავად, სტატიაში მოცემულ თვითმკვლელობის არცერთ ფაქტზე პოლიციას გარდაცვლილთა მშობლები პასუხისგებაში არ მიუცია.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ უნდა გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები. უმბუდსმენი რეკომენდაციას უწევს შს სამინისტროს, მოხდეს ადრეული ქორწინების შემთხვევაში არასრულწლოვანთა დაცვა მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან, ბავშვის უფლებების დამრღვევთა მიმართ ამოქმედდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები. ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ბავშვთა ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების შესახებ შესაბამის უწყებებს ინფორმაცია მიაწოდონ.

**თამარ მოდებაძე**

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# დავით სერგეენკო: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ვსარგებლობ“

ნათია ხურცილავა



ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში გარკვეული სიახლეების შესახებ ისაუბრა.

218-ე დადგენილების ბენეფიციარები სამედიცინო მომსახურებას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიიღებენ.

აღნიშნული ცვლილება შეეხებათ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, პედაგოგებს, დევნილებს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარებს, ტრეფიკინგის მსხვერპლად აღიარებულებს და გალის ტერიტორიაზე მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებს, რომლებიც ამ დრომდე კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ იყვნენ დაზღვეულები და რომელთა სრული რაოდენობა 400.000-მდეა. აღნიშნულ ადამიანებს შეეძლებათ თავად აირჩიონ სამედიცინო დაწესებულება სატარიფო არეალის გათვალისწინებით.

ცვლილება ეხება გეგმიურ ქირურგიულ ოპერაციებზე საგარანტიოს გაცემის წესსაც. თუკი დღემდე აღნიშნული დადგენილების მოსარგებლეთა მოცდის პერიოდი განისაზღვრებოდა 6 თვის ვადით, 1 აპრილიდან იგი 2 თვემდე შემცირდება.

რაც შეეხება მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლების ბენეფიციარებს, რომელთაც ხშირ შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის უქონლობის გამო სამედიცინო მომსახურება ვერ უტარდებოდათ, მსგავსი პრობლემა აღარ შეექმნებათ. მათ აღნიშნული დოკუმენტის წარსადგენად ხანგრძლივი ვადა მიეცემათ.

დავით სერგეენკომ ჟურნალისტის კითხვაზე — თუ რომელი სადაზღვევო პაკეტით სარგებლობს? განაცხადა, დაზღვეულია, თუმცა არა კერძო სადაზღვევო კომპანიაში. გაირკვა, რომ ჯანდაცვის მინისტრი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობს.

— დაზღვეული, რა თქმა უნდა, ვარ, ვსარგებლობ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და არა კერძო კომპანიის სადაზღვევო კომპანიის მომსახურებით. მადლობა ღმერთს, რაიმე სერიოზული პრობლემა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არ შემქმნია. ისე კი, ხშირად ჩემი ოჯახის წევრებისთვის ოჯახის ექიმის ფუნქციას მე ვასრულებ, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

# ალექსი პეტრიაშვილი: საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას ცდილობს“

ნათია ხურცილავა

ნატოს უელსის სამიტზე როგორ იქნება საქართველოს კონტრიბუცია დაფასებული? მოგვცემენ თუ არა მაპს? ეს არის კითხვა, რომელზე პასუხიც უფრო მეტად აქტუალური ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ცნობილი განცხადების შემდეგ გახდა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი ერთსულოვანია იმაში, რომ საქართველოსთვის არ იქნება საკმარისი ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების გამეორება.

— გვაქვს გარკვეული მოლოდინები ნატოს სამიტიდან, რომ საქართველოს მიერ განხორციელებული კონტრიბუცია და დემოკრატიის კონსოლიდირების მიზნით გადადგმული ნაბიჯები შესაბამისად შეფასდება ნატოს სამიტზე ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. როგორც ცნობილია, ძალიან მკაფიოდ გაცხადდა, რომ ივნისამდე გაგრძელდება პროგრესის ანგარიშის მომზადება ასპირანტი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის და ივნისში მინისტერიალზე მოხდება პროგრესის ანგარიშის განხილვა, სადაც მაღალი ალბათობით მიიღება გადაწყვეტილებები და საქართველოს საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი, თუ რა იქნება შემდგომი, პრინციპულად ახალი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციას ასახავს. უაღრესად მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს, რომ ნატო არის ერთსულოვანი იმაში, რომ საქართველოსთვის არ იქნება საკმარისი ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების გამეორება, ჩიკაგოს სამიტის გადაწყვეტილების გამეორება. უნდა მოხდეს ახალ, პრინციპულ გადაწყვეტილებაზე ჩამოყალიბება, რაზეც მიმდინარეობს მუშაობა ნატოს შიგნით, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

— როგორც ცნობილია, ძალიან მკაფიოდ ითქვა და გაცხადდა, რომ ივნისამდე გაგრძელდება პროგრესთან დაკავშირებით ანგარიშის მომზადება ასპირანტი ქვეყნებისთვის, მათ შორის — საქართველოში და ივნისში მინისტერიალზე პროგრეს-რეპორტის განხილვა მოხდება, სადაც ძალიან მაღალი ალბათობით მიიღება გადაწყვეტილებები, თუ რა იქნება ის შემდგომი პრინციპულად ახალი ნაბიჯი, რომელიც ნატოში საქართველოს ინტეგრაციას ასახავს. უაღრესად მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს, რომ ნატო ერთსულოვანია იმაში, რომ საქართველოსთვის არ იქნება საკმარისი ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების და ჩიკაგოს სამიტის გადაწყვეტილების გამეორება, — განაცხადა პეტრიაშვილმა.

მინისტრის განცხადებით, უნდა მოხდეს ახალ, პრინციპულ გადაწყვეტილებაზე ჩამოყალიბება, რაზეც ნატოს შიგნით მუშაობა მიმდინარეობს.

ალექსი პეტრიაშვილმა ასევე ისაუბრა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დალაგების შესახებ.

— მიუხედავად ყველა პროვოკაციისა, საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის ნორმალიზებას ცდილობს, — ბოლოს და ბოლოს, ის ჩვენი მეზობელია, — ამბობს პეტრიაშვილი.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, ოკუპანტებმა სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების მონტაჟი კვლავ განაგრძეს, რის გამოც ოჯახები დაზარალდნენ.

— საქართველოს მთავრობა არ იშურებს ძალ-ღონეს, რომ თავის მოქალაქეებს პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმაროს და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის კონსოლიდაცია მოახდინოს, მაგრამ მიუხედავად ყველა ამ პროვოკაციისა, ჩვენ ვცდილობთ, გავაგრძელოთ ძალისხმევა, რათა რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზება მოხდეს და პროვოკაციის მახეში კვლავ არ ამოვყოთ თავი. ბოლოს და ბოლოს, რუსეთი ჩვენი მეზობელია. არავისთვის არის საიდუმლო, რომ საქართველოს წინა მთავრობამ სწორედაც ვერ მოახერხა, ამ მახეში თავი არ შეეყო და ეს პროვოკაცია თავიდან აეცილებინა. ეს ვერ მოხერხდა



და ფაქტობრივად, რუსეთის ლიდერებმა რაც დაგეგმეს, გააკეთეს, — აცხადებს პეტრიაშვილი.

როგორია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის პოზიცია დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტზე?

მინისტრის აზრით, დეპუტატ ნუგზარ წიკლაურთან დაკავშირებით მომხდარი ფაქტი პოლიტიკური დევნის შედეგად ჩადენილი აქტი არაა.

პეტრიაშვილი ყოველგვარ ძალადობას გმობს, მათ შორის — პოლიტიკური ოპონენტების მიმართ.

— ჩემი აზრით, გამოძიების შედეგებს უნდა დაველოდოთ. მე არ ვიზიარებ ჩვენი ოპონენტების დაჟინებულ განცხადებებს, რომ ეს პოლიტიკური დევნაა და პოლიტიკური დევნის შედეგად ჩადენილი აქტი, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს დანაშაული ძალიან სწრაფად უნდა იქნას გამოძიებული და დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, — განაცხადა პეტრიაშვილმა.

ალექსი პეტრიაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლება ამ გამოძიებითა და სიმართლის დადგენით შესაძლოა, დაზარალებულსა და ოპონენტებზე მეტადაც კი არის დაინტერესებული.

# სკოლაში სწავლის დაწყების ასაკი 5-ის ნაცვლად 6 წელი იქნება

სკოლაში სწავლის დაწყების ასაკი 5-ის ნაცვლად 6 წელი იქნება. ამას ზოგადი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა გუშინ პირველი მოსმენით განიხილა. მის თანახმად, ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი 5-ის ნაცვლად, 6 წელი იქნება.

კანონპროექტი გარდამავალი პერიოდისთვის ითვალისწინებს დათქმას იმის თაობაზე, რომ 2014-2015 სასწავლო წელს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების უფლება იმ პირებსაც ექნებათ, რომელთაც 2015 წლის 1 იანვრამდე შეუსრულდებათ 6 წელი ან რომლებიც 2013-2014 სასწავლო წელს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სწავლის დაწყების მოსამზადებელ კლასში სწავლობენ.

**მედიანიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საიმედოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

# ნიკოლოზ რაჭველი უკრაინაშია

ეკა ირემაშვილი

**ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი უკრაინაშია. ის ნინო ქათამაძის უკრაინულ კონცერტებს დირიჟორობს. თბილისში კი ევგენი მიქელაძის ეროვნული მუსიკალური ცენტრი კონცერტებს მართავს ნიკოლოზ რაჭველის გარეშე.**

– სეზონი გრძელდება! კლასიკური მუსიკა ვისაც გიყვართ, არ გამოტოვოთ ჩვენი ორკესტრის კონცერტები. წელსაც, ისევე, როგორც გასულ წელს, არაერთ დაუვიწყარ საღამოს გპირდებით. პირველ მაისს კი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ანიტა რაჭველიშვილთან ერთად ნიუ იორკის პროგრამა ჩამოგვაქვს. ასევე საინტერესო ფესტივალი გვექნება მაისსა და ივნისში. ნელნელა ვუახლოვდებით ორკესტრის საიუბილეო 90-ე სეზონს, – აცხადებს ნიკოლოზ რაჭველი.

დირიჟორი ამერიკაში სწორედ ამ კონცერტის დასაგეგმად ჩავიდა. ხელოვანმა გულისწყრომა გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ქართულ კულტურას სათანადო ყურადღება არ ექცევა:

– ამერიკის შეერთებულ შტატებს საშუალო სტატისტიკური მონაცემებით 305 მილიონზე მეტი მოქალაქე ჰყავს, აქედან მხოლოდ ნიუ იორკში დაახლოებით 10 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, საქმიანობს, მოღვაწეობს. ნიუ იორკში ქუჩებს მეტწილად ნომრები აქვთ და არა სახელები, თუმცა ქალაქის შუაგულში, ბროდვეის კვეთაზე, 63 მესამე ქუჩის წარწერებს, აბრებსა და ნიშნულებს, რომელსაც ლინკოლნ-ცენტრთან მივყავართ, ქვეშ აწერია: ჯორჯ ბალანჩინ ვეი – ჯორჯ ბალანჩინის გზა. გზა, რომელსაც ის ყოველ დილით გადიოდა, რათა მის მიერ დაარსებულ „ნიუ იორკ სითი ბალეტის“ თეატრში მისულიყო. თეატრში, რომელიც „მეტროპოლიტენ ოპერასა“ და „ნიუ იორკ ფილარმონიკთან“ ერთად დღეს ლინკოლნ ცენტრის შემადგენლობაშია. ლინკოლნ ცენტრის დიდი სიმფონიური დარბაზის „ევერი ფიშერ ჰოლის“ ფოიეში დაკიდებული ფერადი პოსტერი გვეუბნება, რომ ნიუ იორკის ყველაზე დიდი ისტორიისა და საერთაშორისო სახელის მქონე ფილარმონიული ორკესტრის რეზიდენტ-სოლისტი მომდევნო სეზონზე მთელს მსოფლიოში აღიარებული ქართველი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი იქნება და ისევე, როგორც აქამდე, მომდევნო სეზონის განმავლობაშიც, ოდნავ უფრო ხშირად, საშუალოდ თვეში ერთხელ, მის კონცერტებს სადირიჟორო პულტთან დიდი მაესტროები წარუძღვებიან, ხოლო მეორე სართულზე, სადაც უშუალოდ დარბაზში უნდა შეაბიჯო, ცენტრალურ კედელზე XX საუკუნის უდიდეს, ლეგენდარულ კომპოზიტორთა შორის ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის ფოტოსურათი კიდია, იგორ სტრავინსკის, სერგეი რახმანინოვის, ჯონ კეიჯის, ოლივიერ მესიანის გვერდით. ამ დარბაზის შუშებიანი ფასადიდან დედამიწის ერთერთი წამყვანი თეატრის „მეტროპოლიტენ ოპერის“ ცენტრალური შესასვლელი მოჩანს და წინ გადმოკიდებულ უზარმაზარ პოსტერზე დიდი ასოებით გვაუწყებენ ქართველი წარმოშობის რუსი კომპოზიტორის ალექსანდრე ბოროდინის (გედევანიშვილის) ოპერის „თავადი იგორის“ პრემიერას ანიტა რაჭველიშვილის მონაწილეობით. შემოდგომაზე კი ნიუიორკელები მოუთმენლად ელიან ჟორჟ ბიზეს უკვდავ „კარმენს“ ქართველი კარმენით. ანიტა რაჭველიშვილი უკვე მესამედ უბრუნდება „მეტროპოლიტენს“, სადაც მისი „კარმენის“ ფასი იციან, უყვართ და ელოდებიან! „მეტროპოლიტენის“ მუსიკალურ მაღაზიაში შევდივარ და ნინო მაჩაიძის „სონი რეკორდსის“ მიერ ახლახან გამოსული მეორე ალბომია გამოფენილი და ჩემ წინ საშუალო ასაკის წყვილი ყიდულობს, ალბათ ისინიც დაესწრნენ მის არაერთ ტრიუმფს აღნიშნულ თეატრში. გამყიდველს ვეუბნები, რომ მეც ქართველი ვარ და გაბადრული მპასუხობს, ჩვენ გვიყვარს, ჩვენ ძალიან გვიყვარს და ნიუ იორკს უსაზღვროდ ენატრება ნინო ანანიაშვილი! ის აქ ლეგენდაა. ამავე მაღაზიაში პლაჩიდო დომინგო ავტოგრაფებს არიგებს, გრძელ რიგში ვდგები და როდესაც ვეუბნები ჩემს ვინაობას, გულითადად და სიყვარულით მესაუბრება პაატა ბურჭულაძეზე, რომელთან ერთად, ვინ მოთვლის, რამდენი სპექტაკლი მაქვს ამ სცენაზე ნამღერიო. ვსაუბრობთ აგრეთვე ახალი თაობის ქართველ მომღერლებზეც. გია გაგნიძე რომ „რიგოლეტოს“ მღერის, აქ სხვებს კი არა, ლადო ათანელის „რიგოლეტოს“ ადარებენ და ორივეთი აღფრთოვანებულები კვლავ ელიან მათ გამოჩენას. ცოტა ოდნავ მოშორებით კარნეგი ჰოლის აპრილის თვის კონცერტების სარეკლამო ფლაიერებს არიგებენ, მასში აქცენტით ხატია ბუნიათიშვილის სოლო კონცერტს აანონსებენ, იჩქარეთ, თორემ ვეღარ მოხვდებითო. ლიკა ევგენიძე საოცარ საბალეტო სპექტაკლზე იყო ეთერ ჭკადუასთან ერთად, რომლის ნამუშევრები უდიდესი მხატვრების ნამუშევრების გვერდითაა სნობურ გალერეებში და საოცარი ფასი აქვს, იქ ანდრო ვეკუაზე გამომელაპარაკნენ და თამარ კვესიტაძის ნამუშევრებზეც მკითხეს, მას მერე, რაც გაიგეს, რომ ქართველი ვარ. ჰოდა, თანამედროვე ბალეტის ერთ-ერთი გამორჩეული ქორეოგრაფი, რომლის წარმოდგენაზეც ზემოთ მოგახსენებდით, ბოლოს ლიკამ და ეთერმა გაიცნეს და მან მყისვე სუხიშვილებზე დაუწყო აღტაცებით საუბარი. მანჰეტენზე ქართველი დიზაინერის ნინი ქეის ქუდებსაც წავაწყდი და ჯულიარდის აკადემიაში ახალგაზრდა პიანისტის დათო ალადაშვილის მიმართ პროფესორ-მასწავლებლების აღმატებული დამოკიდებულებაც დავინახე, ჩვენი კონსერვატორიის და რადიო „მუზას“ ნინო ჟვანიას შევხვდი, სტიპენდია მოიპოვა და არა მხოლოდ სწავლობს, ლექციებსაც კითხულობს თანამედროვე აკადემიური მუსიკის შესახებ. ბექა გოჩიაშვილის დაბადების დღეზე ვერ წავედი, რადგან ჩვენს კონცერტს დაემთხვა, სამაგიეროდ მისი ალბომი შევიძინე და ჩიკ კორეას ინტერვიუც წავიკითხე, საოცრებებს წერს ქართველ პიანისტზე, აღტაცებას ვერ ფარავს. კიდევ რამდენი რამ მოგითხროთ? ამასწინათ „გრძელი ნათელი დღეები“ უჩვენებიათ ნიუ იორკის კინოთეატრებში და ოთარ იოსელიანის, მიშა კობახიძის, ნანა ჯორჯაძის შემდეგ ქართულ კინოს დღევანდელი დღე რომ აქვს, ამაშიც დარწმუნებულან, ჩემს მეგობარს ალექს ბოლდვინი შეხვდა სასტუმროს ლობიში, გამოელაპარაკა და მან რობერტ სტურუასა და რამაზ ჩხიკვაძეზე არ დაიშურა განმადიდებელი ეპითეტები. ალბათ კიდევ ბევრი წარმატებული ხელოვანი გამომრჩა ნიუ იორკის გადმოსახედიდან და ყოველივე ამის შემდეგ ვსვამ კითხვას: ნუთუ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ნაკლებ პრიორიტეტული, ნაკლებ დაფინანსებული და ნაკლებ ყურადღება მიქცეული უნდა იყოს კულტურა და მისი სამინისტრო?! აქვს ამას რაიმე სახის ახსნა?! კიდევ უფრო მძაფრი კითხვაც მაქვს: დარწმუნებული ვართ, რომ ჩემ მიერ ჩამოთვლილი ქართველი ხელოვანების ვინაობა და მიღწევები იციან სამინისტროს თანამშრომლებმა, რომლებსაც საკმაოდ მაღალი უფლებები აქვთ და გადაწყვეტილებების მიღებაში ან აქტიურ მონაწილეობას იღებენ, ან თავად წყვეტენ სხვა ხელოვანების პროექტებისა და შემოქმედებითი იდეების ბედს?! ნუთუ არასოდეს არ გავაცნობიერებთ, რომ მხოლოდ მაღალი კულტურა, რაც განათლებიდან მომდინარეობს, და ხელოვნებაა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო თუ ლოკალური წარმატების ერთადერთი საწინდარი და მტრებზე გამარჯვების უალტერნატივო იარაღი?! იქნებ გამაგებინოთ, ასე ძნელია ამის დანახვა?! აქვე უდიდესი პატივისცემით ბოდიშს ვუხდი ყველა იმ ხელოვანს, ვინც კონტექსტის ან არცოდნის გამო აღნიშნულ ტექსტში გამომრჩა, – აცხადებს ნიკოლოზ რაჭველი.



დირიჟორი აღფრთოვანებას ვერ მალავს ჩელსის თეატრის წარმოდგენაზე:

– რა პატარაა სამყარო ხანდახან. ახლა ვიყავი ნიუ იორკში, ჩელსიში ერთ-ერთ შესანიშნავ თეატრში, სადაც ბრწყინვალე წარმოდგენას დავესწარი, დასრულების შემდეგ ნელნელა ავდექი და შთაბეჭდილებებით სავსე გავეშურე გასასვლელისკენ, უცებ პარტერის რომელიღაც რიგიდან გაისმა ქალის ხმამაღალი, თითქმის განწირული ხმა: ნიკა! მაი სუით ენდ ლავლი ნიკა! ბუნებრივია ხმას გავაყოლე მზერა და შემრჩა ჩემი ძვირფასი კოლეგა, მომღერალი, გრემის მფლობელი ლიზა ფიშერი, რომელსაც ბათუმში ვუდირიჟორე სტინგთან და კრის ბოტისთან ერთად, შემდეგ კი ბლუ ნოუთში გავუწიე აკომპანიმენტი საშობაო ჯაზსერიაზე სამი წლის წინ. ლიზასთან შეხვედრა ძალიან ამაღელვებელი აღმოჩნდა, გულთან ახლოს მიიტანა დედას გარდაცვალება. უცებ ჩვენკენ გამოემართა ერთი ძალზე მოხდენილი ქალბატონი და გვეუბნება: ნუთუ ეს ის ნიკაა, თბილისში ბობი მაქფერენის კონცერტზე პირველ განყოფილებაში რომ უკრავდაო. მეც გავიხსენე, ბობის მენეჯერი გახლდათ და კულისებში გამოველაპარაკე კიდეც. ეს შეხვედრაც ძალიან ამაღელვებელი იყო. მოვდივარ ახლა და ვფიქრობ, ნუთუ შემთხვევითობაა ამოდენა ნიუ იორკში ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე თეატრში ჩემს ასეთ ნაცნობებთან ერთად ყოფნა და სრულიად მოულოდნელი შეხვედრა. კონტაქტები გავცვალეთ, ურთიერთობა განვაახლეთ და ლანჩიც დავგეგმეთ. თუ რაიმე შემოქმედებითად საინტერესო პროექტსაც დავგეგმავთ, მაშინ ეს ყველაფერი მართლაც არ აღმოჩნდება შემთხვევითი, – მიაჩნია დირიჟორს.



**წლის და 9 თვის ელისაბედ დარჩიას სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი მკურნალობა საზღვარგარეთ, შესაძლოა დასჭირდეს განმეორებითი ოპერაციაც. გოგონა დაიბადა შინაგანი ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, ჩატარებული აქვს თავის ტვინის შუნტირება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ელისაბედს ჰყავს სრულიად ჯანმრთელი ტყუპისცალი ძმა. უმორჩილესად გთხოვთ, თუნდაც მცირედით დავეხმაროთ პატარა ელისაბედს.**

**თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია „ლიბერთი ბანკის“ ანგარიშზე:**

**GE95LB0711154286819 40**

**☎ 577-544-222, 598-204-570**

# მერაბ კოკოჩაშვილი სტუდენტებს შეხვდება

ეკა ირემაშვილი



3 აპრილს შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოკლუბში კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი სტუდენტებს შეხვდება. მასთან ერთად თეატრალური უნივერსიტეტის კინოკლუბის სტუმარი იქნება ოპერატორი გია გერსამია. თავისუფალი დასწრების შეხვედრის ფარგლებში ნაჩვენები იქნება მერაბ კოკოჩაშვილის მხატვრული ფილმი „მიხა“.

როგორც რეჟისორმა „ახალ თაობას“ განუცხადა, მას სტუდენტებთან შეხვედრები უწევს და საკმაოდ კარგი და განათლებული ახალი თაობა მოდის.

**მერაბ კოკოჩაშვილი, რეჟისორი:**

– სტუდენტების თხოვნით დაინიშნა ეს შეხვედრა თეატრალურ უნივერსიტეტში. როგორც მითხრეს, ფილმის ნახვაც სურთ. ჩვენი ერთ-ერთი ადრეული ფილმი „მიხა“ იქნება ნაჩვენები და მიწვეული ვართ ამ ფილმის რეჟისორი, თქვენი მონამორჩილი და ოპერატორი გია გერსამია.

***– „მიხა“ თვითონ შეარჩიეს?***

– დიახ, თვითონ შეარჩიეს. ეს ფილმი არის მაინც კლასიკური ლიტერატურის ეკრანზე გადმოტანის ნიმუში და, აქედან გამომდინარე, ალბათ, ამასთან დაკავშირებით აინტერესებთ ჩვენთან შეხვედრა.

***– ხშირად ხვდებით სტუდენტებს?***

– თეატრალურში ვასწავლი მაგისტრანტებს, ასე რომ, კვირაში ერთხელ მათთან ლექცია მაქვს, მაგრამ ეს შემთხვევა სულ სხვაა. თვითონ სტუდენტების სურვილია, შევხვედროდით და გვესაუბრა. სულ სხვა მომენტია, როცა სტუდენტები გამოთქვამენ შეხვედრის სურვილს.

***– კითხვა-პასუხის რეჟიმისთვის მზად ხართ?***

– რა თქმა უნდა. რადგან „მიხა“ შეარჩიეს, მგონია, რომ ამ შემთხვევაში სწორედ ეკრანიზაციის პრობლემებზე იქნება საუბარი და ზოგადად კინოს ენაზე. მგონია, რომ საინტერესო შეხვედრა უნდა გამოვიდეს.

## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ვმკურნალობთ მცენარეული პრეპარატებით: გახდომა თვეში 8-20 კგ-ით, 3-ჯერადი კვებით, გასუქება 5 კგ-ით თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე. ტელ: 592-10-58-22 ნონა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

# ფიფა ფეხბურთელების გახშირებული სიკვდილიანობის წინააღმდეგ ორგანიზაციას ქმნის

საფეხბურთო ფედერაციების საერთაშორისო ასოციაციამ გადაწყვიტა, საარლანდის უნივერსიტეტთან (გერმანია) ერთად დაიწყოს მუშაობა ფეხბურთელების უეცარი სიკვდილის გამომწვევი მიზეზების დადგენის თაობაზე. კვლევის მიზანია გაირკვეს, თუ რატომ ხდება ასე ხშირად მსგავსი შემთხვევები. ორგანიზაცია ფეხბურთელების მოულოდნელ სიკვდილის მიზეზებს გამოიკვლევს. აღნიშნული გადაწყვეტილება ფიფამ მას შემდეგ მიიღო, რაც ბოლო პერიოდში მსგავსი ფაქტები გახშირდა.

უკანასკნელი შემთხვევა უკრაინის ჩემპიონატში „დინამო" კიევისა და „დნიპროს" შეხვედრის დროს მოხდა. 23-ე ტურის დაპირისპირებაში რიგითი სათამაშო ეპიზოდი იყო. დინამოელები სტანდარტული დარტყმისთვის ემზადებოდნენ. ბურთის ჩაწოდების შემდეგ, ხელსაყრელ პოზიციაში კიეველთა კაპიტანი ოლეგ გუსევი იმყოფებოდა და ბურთის მიღებასაც ცდილობდა, ამ დროს „დნიპროს" მეკარემ ჰაერში ახტომით დაიჭირა ბურთი და მთელი ძალით შეასკდა მეტოქეს. ფეხბურთელმა ჰაერშივე დაკარგა გონება და მიწაზე გონწასული დაეცა. რომ არა ჯაბა კანკავა და მისი მოხერხებულობა, უკრაინელი მოთამაშე სიცოცხლესაც გამოემშვიდობებოდა.

რა თქმა უნდა, გუსევმა თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო და მოედანი საკაცით დატოვა. ოლეგს ქალა-ტვინის დახურული ტრავმა აღმოაჩნდა, ასევე დაჟეჟილი აქვს სახის რბილი ქსოვილი და დაზიანებული მარჯვენა ქვედა ყბის სახსარი, ჩამტვრეული აქვს სამი კბილი.

მარტის დასაწყისში კიდევ ერთი უბედური შემთხვევა დაფიქსირდა. „დეფენს ფორსისა" და ტრინიდადი და ტობაგოს თავდამსხმელი კევ კარტერი 30 წლის ასაკში გარდაიცვალა. როგორც შემდეგ ექიმებმა განაცხადეს, გარდაცვალების მიზეზი ინფარქტი აღმოჩნდა.

2012 წლის მარტში, ინგლისის თასის თამაშის დროს, „ტოტენჰემისა" და „ბოლტონს" დაპირისპირებისას სტუმართა ფეხბურთელს ფაბრის მუამბას გული გაუჩერდა. იმავე წლის აგვისტოში კი, ექიმებმა მას ფეხბურთის თამაში აუკრძალეს და მანაც ნაადრევად დაასრულა კარიერა.

2007 წლის 25 აგვისტოს ესპანეთის ჩემპიონატში სევილია-ხეტაფეს მატჩისას, მასპინძელთა ფეხბურთელმა ანტონიო პუერტემ ცუდად იგრძნო თავი. მან თავისი ფეხით დატოვა მოედანი, მაგრამ გასახდელში კიდევ ერთი შეტევა მიიღო. ანტონიო მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ვერაფერი უშველეს. პუერტე 28 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მსგავსი ტრაგედიები ხშირად ხდება, ამიტომაც აუცილებელია ყურადღება მიექცეს ამ საკითხს და მომავალში აღარ განმეორდეს მოედანზე ადამიანის სიკვდილი. ორგანიზაციის შექმნის მიზეზი და მიზანიც უბედური შემთხვევების თავიდან აცილება იქნება.

# 17-წლამდელთა ბოლო ადგილი

საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა ელიტრაუნდის მეორე მატჩიც წააგო. ნოდარ აკობიას გუნდი ამჯერად მასპინძელ სერბებთან დამარცხდა.

არადა, პირველი ტაიმიდან გამომდინარე, ძნელად თუ იტყოდი, რომ ჩვენი გუნდი ამ შეხვედრას დათმობდა. საქართველოს ნაკრები პირველ ნომრად თამაშობდა და სერბები მხოლოდ კონტრშეტევებით ცდილობდნენ წარმატების მიღწევას.

მეორე ტაიმის შუაში კი, სიტუაცია შეიცვალა და სერბებმა ხუთწუთიან მონაკვეთში შეძლეს ორი გოლის გატანა.

ჯგუფის ბოლო მატჩი ირლანდიასთან ფორმალობად იქცა და 2:2 დასრულდა. ანგარიში 23-ე წუთზე ირლანდიელებმა გახსნეს. ავტოგოლი გიორგი თვარაძემ გაიტანა. 75-ე წუთზე ჰოლანდმა თავისი გუნდი კიდევ უფრო წინ გაიყვანა.

ზუსტად ორ წუთში გიორგი კიკნაძემ სხვაობა შეამცირა. მატჩის დამატებულ წუთებზე კამლაძემ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ამრიგად, ნოდარ აკობიას გაწვრთნილმა გუნდმა ელიტ რაუნდი ბოლო ადგილით დაასრულა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-1 | 7 |
| 2.სერბეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3.ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| 4.საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-ვესტ ჰემი ............. 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 32 | 22 | 5 | 5 | 88-39 | 71 |
| 2.ჩელსი | 32 | 21 | 6 | 5 | 62-24 | 69 |
| 3.სიტი | 30 | 21 | 4 | 5 | 80-28 | 67 |
| 4.არსენალი | 32 | 19 | 7 | 6 | 56-37 | 64 |
| 5.ევერტონი | 31 | 17 | 9 | 5 | 49-31 | 60 |
| 6.ტოტენჰემი | 32 | 17 | 5 | 10 | 40-44 | 56 |
| 7.მანჩესტერი | 32 | 16 | 6 | 10 | 52-38 | 54 |
| 8.საუთჰემპტონი | 32 | 13 | 9 | 10 | 49-40 | 48 |
| 9.ნიუკასლი | 32 | 14 | 4 | 14 | 38-47 | 46 |
| 10.სტოკი | 32 | 10 | 10 | 12 | 37-45 | 40 |
| 11.ვესტ ჰემი | 32 | 10 | 7 | 15 | 36-42 | 37 |
| 12.ასტონ ვილა | 31 | 9 | 7 | 15 | 34-46 | 34 |
| 13.სუონსი | 32 | 8 | 9 | 15 | 45-48 | 33 |
| 14.ჰალი | 32 | 9 | 6 | 17 | 33-40 | 33 |
| 15.ნორვიჩი | 32 | 8 | 8 | 16 | 26-51 | 32 |
| 16.კრ. პალასი | 31 | 9 | 4 | 18 | 20-39 | 31 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 31 | 5 | 14 | 12 | 36-48 | 29 |
| 18.კარდიფი | 32 | 6 | 8 | 18 | 29-61 | 26 |
| 19.სანდერლენდი | 30 | 6 | 7 | 17 | 28-48 | 25 |
| 20.ფულემი | 32 | 7 | 3 | 22 | 31-73 | 24 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

გრანადა-ლევანტე ........................ 0:2
ბეტისი-მალაგა ........................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 31 | 24 | 4 | 3 | 69-22 | 76 |
| 2.ბარსელონა | 31 | 24 | 3 | 4 | 89-25 | 75 |
| 3.რეალი | 31 | 23 | 4 | 4 | 86-32 | 73 |
| 4.ბილბაო | 31 | 16 | 8 | 7 | 53-34 | 56 |
| 5.სევილია | 31 | 14 | 8 | 9 | 55-46 | 50 |
| 6.სოსიედადი | 31 | 14 | 8 | 9 | 54-44 | 50 |
| 7.ვილიარეალი | 31 | 14 | 7 | 10 | 51-37 | 49 |
| 8.ესპანიოლი | 31 | 11 | 7 | 13 | 34-36 | 40 |
| 9.ვალენსია | 31 | 11 | 7 | 13 | 44-45 | 40 |
| 10.ლევანტე | 31 | 10 | 10 | 11 | 29-38 | 40 |
| 11.სელტა | 31 | 10 | 6 | 15 | 34-44 | 36 |
| 12.მალაგა | 31 | 9 | 8 | 14 | 31-39 | 35 |
| 13.გრანადა | 31 | 10 | 4 | 17 | 28-42 | 34 |
| 14.რაიო | 31 | 10 | 3 | 18 | 34-68 | 33 |
| 15.ელჩე | 31 | 7 | 11 | 13 | 25-42 | 32 |
| 16.ხეტაფე | 31 | 8 | 7 | 16 | 29-48 | 31 |
| 17.ვალიადოლიდი | 31 | 6 | 12 | 13 | 32-50 | 30 |
| 18.ალმერია | 31 | 8 | 6 | 17 | 33-58 | 30 |
| 19.ოსასუნა | 31 | 8 | 6 | 17 | 26-52 | 30 |
| 20.ბეტისი | 31 | 5 | 7 | 19 | 27-61 | 22 |

**იტალია. სერია ა**

უდინეზე-კატანია ........................ 1:0
ლივორნო-ინტერი ........................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 31 | 26 | 3 | 2 | 67-22 | 81 |
| 2.რომა | 30 | 21 | 7 | 2 | 58-15 | 70 |
| 3.ნაპოლი | 31 | 19 | 7 | 5 | 59-32 | 64 |
| 4.ფიორენტინა | 31 | 15 | 7 | 9 | 49-33 | 52 |
| 5.ინტერი | 31 | 12 | 13 | 6 | 49-33 | 49 |
| 6.პარმა | 30 | 12 | 11 | 7 | 49-37 | 47 |
| 7.ატალანტა | 31 | 14 | 4 | 13 | 37-39 | 46 |
| 8.ლაციო | 31 | 12 | 9 | 10 | 40-40 | 45 |
| 9.ვერონა | 31 | 13 | 4 | 14 | 46-52 | 43 |
| 10.ტორინო | 31 | 11 | 9 | 11 | 45-40 | 42 |
| 11.მილანი | 31 | 11 | 9 | 11 | 47-43 | 42 |
| 12.სამპდორია | 31 | 11 | 8 | 12 | 40-43 | 41 |
| 13.ჯენოა | 31 | 10 | 9 | 12 | 34-39 | 39 |
| 14.უდინეზე | 31 | 11 | 5 | 15 | 34-42 | 38 |
| 15.კალიარი | 31 | 7 | 11 | 13 | 29-41 | 32 |
| 16.კიევო | 31 | 7 | 6 | 18 | 26-46 | 27 |
| 17.ბოლონია | 31 | 5 | 11 | 15 | 24-48 | 26 |
| 18.ლივორნო | 31 | 6 | 7 | 18 | 34-58 | 25 |
| 19.სასუოლო | 31 | 5 | 6 | 20 | 29-61 | 21 |
| 20.კატანია | 31 | 4 | 8 | 19 | 23-55 | 20 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

უნიონი-კოტბუსი ......................... 2:0

**საფრანგეთი. მე-2 ბუნდესლიგა**

ლანსი-კლერმონი ......................... 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ცსკა-ვოლგა ................................... 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ანთალია ......................... 3:1
ფენერბახჩე-ბურსა ........................ 3:0
ესკიშეჰირი-გენჩლერი ................. 0:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ქსანთი-პლატანიასი ...................... 2:3

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბოლესლავი-სლავია ..................... 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-ვისლა .......................... 3:1

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ორხუსი .............. 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-გიოტებორგი ......................... 0:2
ჰეკენი-ნორჩიოპინგი .................... 2:0
ატვიდაბერგი-ელფსბორგი ........... 2:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# თავმდაბალი კანკავა: ყველა ასე მოიქცეოდა"

ბოლო დღეების გმირი საქართველოს ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავაა, რომელმაც დნეპროპეტროვსკის „დნიპროსა" და კიევის „დინამოს" შორის მატჩში მეტოქე გუნდის კაპიტანი სიკვდილს გადაარჩინა.

შეგახსენებთ რომ, კიეველი ოლეგ გუსევი მეკარესთან შეჯახების შემდეგ მოედანზე უგონოდ დაეცა. მასთან უმალ ჯაბა გაჩნდა, რომელმაც პირველადი დახმარება გაუწია დაშავებულს და ზოგიერთი სპეციალისტის თქმით, პრაქტიკულად, გადაარჩინა მისი სიცოცხლე.

ალსანიშნავია, რომ ჯაბა კანკავას გმირობა არამარტო უკრაინული და ქართული მედიის უმთავრესი თემაა, მასზე



უკვე უცხოეთშიც საუბრობენ და ინტერვიუებიც გამოჩნდა.

***– რამდენად საშინელი დასანახია თქვენთვის, რაც გუსევს დაემართა?***

– სიმართლე გითხრათ, ჩემთვის იქ საშინელი არაფერი ყოფილა. უბრალოდ, ისე გამოვიდა, რომ მე პირველმა დავინახე, რაც მოხდა და ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. ჩემს ადგილზე ნებისმიერი ასე მოიქცეოდა.

***– კონკრეტულად რა მოიმოქმედეთ?***

– გავაღებინე პირი და ვცდილობდი, ენა არ გადაეყლაპა. მერე უკვე სხვებმაც მოირბინეს და მომეშველნენ.

***– საიდან იცით, როგორ უნდა იმოქმედოს ადამიანმა მსგავს სიტუაციაში?***

– ადრე იყო მსგავსი შემთხვევა საქართველოში. ნაკრებში თანაგუნდელმა ასეთივე ტრავმა მიიღო და ვუყურე, როგორ აღმოუჩინეს მას პირველადი დახმარება.

***– ოლეგმა გიკბინათ კიდეც.***

– ისეთი არაფერი...

***– ბევრი ფიქრობს, რომ ბოიკოს შეეძლო აერიდებინა შეჯახება. თქვენ როგორ ფიქრობთ?***

– აბა, ამას განგებ ხომ არ იზამდა? ეს, უბრალოდ, შემთხვევა იყო. კარგია, რაც კარგად მთავრდება.

***– ცნობილი კომენტატორი ალექსეი ანდრონოვი მიიჩნევს, რომ თქვენ უკრაინის გმირის წოდებას იმსახურებთ.***

– მე არაფერი მინდა. ვიმეორებ, ასე მხოლოდ იმიტომ მოვიქეცი, რომ ახლოს ვიყავი. შენ რომ ყოფილიყავი ჩემს ადგილზე, იმავეს გააკეთებდი.

***– დაგვეთანხმებით, რომ იმ წამებში გუსევის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა?***

– არ ვიცი. მთავარია, რომ ყველაფერი კარგადაა.

# საარჩევნო მცდელობა თუ ცუდი ვერსია

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გვამცნობს, ქართულ საფეხბურთო სამყაროში უკანასკნელი დღეებია აქტიურად განიხილება უმაღლესი ლიგის კლუბების მიერ ინიცირებული იდეა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით.

16 გუნდიანი ჩემპიონატის შექმნის შესახებ წინადადებით მარტვილის „მერანის" პრეზიდენტი, ფრიდონ ინჯია გამოვიდა, რამაც კლუბების უმრავლესობაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ საკითხის განხილვის შესახებ კლუბებმა თხოვნით სფფ-ის მიმართეს.

სწორედ ამიტომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის, როგორც საქართველოში ფეხბურთის მმართველი ორგანოსათვის დღის წესრიგში დადგა ამ იდეის შესწავლა და მისი შესაძლო განხორციელების გეგმების დასახვა.

სფფ-ის სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც საშეჯიბრო, საკლუბო ლიცენზირების, იურიდიული და ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელები, ასევე გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელი შევიდა – იმსჯელა აღნიშნულ იდეასთან დაკავშირებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოებისათვის განსასჯელად შეეთავაზებინა ეროვნული ჩემპიონატის 16 და 18 გუნდიან სისტემაზე გადასვლის ორი მოდელი, რომელთა უარყოფით და დადებითი მხარეებზე მსჯელობაში კლუბებიც უნდა ჩაერთონ.

სფფ-ს მიერ შეიქმნა ორი მოდელი ეროვნული ჩემპიონატისა უმაღლესი ლიგის 18 და 16 გუნდამდე გასაზრდელად, რომელიც მიბმული ფაილების სახით არის წარმოდგენილი და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს მოდელები წარმოადგენენ უმაღლესი ლიგის კლუბების მიერ ინიცირებული იდეის სრულყოფილ, პროფესიულ დონეზე გაანგარიშებულ დოკუმენტებს, რომელთა შემდგომი ანალიზი და მსჯელობა მთლიანად ქართული საფეხბურთო სამყაროს საქმეა.

ამასთანავე დავსძენთ, რომ ამ ეტაპისათვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში არ იგეგმება ეროვნული ჩემპიონატის დებულებისა და რეგლამენტის ცვლილება, რამაც შესაძლოა მიმდინარე სეზონზე მოასპარეზე კლუბებს გარკვეული კითხვები გაუჩინოს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მზადაა ამ პროექტზე, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებთან ერთად იმსჯელოს, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება შემდგომი მოქმედების გეგმის დასახვა.

პ.ს. ეს სტატია გამოქვეყნდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე და იქვეა მითითებული ორივე მოდელის ჩასატარებელი რეგლამენტი. ჩვენ კი აღვნიშნავთ, რომ ყველა წესით მოდელებს ჩანასახშივე არ უწერიათ დიდი დღე.

ჯერ კიდევ 2 თვის წინ, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების 90 პროცენტი უფულობაზე წუწუნებდა და საკითხავი იყო, გაგრძელდებოდა თუ არა საქართველოს ჩემპიონატი. ეს მაშინ, როდესაც უჭირს 12 გუნდს და ამათ დამატებული კიდევ 6 გუნდი დამატებით რამდენ პრობლემას შექმნის, საკითხავია.

გუნდების გაზრდა კი არა, ამჟამინდელი მდგომარეობაც კრიტიკულია – გუნდებს თავის შესანახი ფინანსები არ აქვთ, საქართველოს სხვა ქალაქებში ჩასვლა უჭირთ და ამ დროს ახალი იდეა აშკარად უადგილოა.

ფედერაციას საპასუხოდ ექნება არგუმენტი – სახელმწიფო ხომ 3 წელიწადში 100 მილიონს ყოფს ფეხბურთისთვის, საიდანაც გუნდები ყოველწლიურად მიიღებენ გარკვეულ თანხას, რაც თავის შესანახად საკმარისი იქნება?

ამ არგუმენტსაც არ უწერია გამართლება – ის თანხა, როგორც ვიცით, ფეხბურთის განვითარებისთვის უნდა იქნეს გამოყოფილი და არა თავის შესანახად.

თუმცა, მალე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები მოდის...

# ახალგაზრდა ხელბურთელები საევროპოდ ემზადებიან

საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები, 4-6 აპრილს ესპანეთში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე ითამაშებს. ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები არიან ესპანეთის, ნორვეგიისა და მონტენეგროს 20-წლამდელთა გუნდები.

ფინალურ ეტაპზე, რომელიც 24 ივლისიდან 3 აგვისტომდე ავსტრიაში გაიმართება, 2 გუნდი გადის.

სამინისტროში ხელბურთის ფედერაციამ პრესკონფერენცია გამართა და მოახლოებული შესარჩევი ეტაპის შესახებ ჟურნალისტების შესახებ ისაუბრა. ახალგაზრდული ნაკრების მზადების და მოახლოებული მატჩების შესახებ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ კაკაბაძემ, ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბექა ორჯონიკიძემ და ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა და ასაკობრივი გუნდების კურატორმა ჯორჯე რაშიჩმა ისაუბრეს.

პრესკონფერენციას დაესწრო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე. ახალგაზრდული ნაკრები საწვრთნელ შეკრებაზეა – ჯერჯერობით 20 ხელბურთელი ვარჯიშობს, საიდანაც შეირჩევა საუკეთესო 14. გუნდი 3 აპრილს გაემგზავრება ესპანეთში.

**ხელბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები:**

**მეკარეები**: ჯონი ცერცვაძე (სტუ), არჩილ სამიტაშვილი (თელავი), ზურაბ ცინცაძე (პეგასი), ირაკლი ხიდეშელი (სტუ);

**უკანა სამეული:** ზურაბ სიმონია (სტუ), შალვა სტურუა (სტუ), თემურ ორჯონიკიძე (სტუ), ალექსანდრე ცხვარაშვილი (პეგასი), გივი გიორგაძე (იმედი), გიორგი ახალაძე (ქუთაისი), ირაკლი ჩაფიძე (სტუ);

**გარემარბები**: ზურაბ აბრამიშვილი (სტუ), ირაკლი გოგოლაძე (სტუ), ომიკო ალანია (იმედი), იოსებ სამიტაშვილი (თელავი), გიორგი დიხამინჯია (პეგასი), ვლადიმერ ბაძაღუა (პეგასი);

**ხაზი**: გიგა კოხრეიძე (პეგასი), ჯაბა ხაჟომია (სამტრედია), , ლაშა არსენაშვილი (სტუ)

**მწვრთნელები**: ბექა ორჯონიკიძე, ლევან გელაშვილი, ჯორჯე რაშიჩი, ამირან კომახიძე

**ევროპის 20წ ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კალენდარი:**

**4 აპრილი**: საქართველო – მონტენეგრო;
**5 აპრილი**: საქართველო – ნორვეგია;
**6 აპრილი**; საქართველო – ესპანეთი.

# ფაჩულიას მორიგი ორმაგი და სარეკორდო დაფარება

ზაზა ფაჩულიას მორიგი, სეზონის რიგით მე-4 ორმაგი დუბლი. „მილუოკის" ქართველმა ცენტრმა „დეტროიტ პისტონსთან" დაძაბულ მატჩში 12 ქულა და 13 მოხსნა მოაგროვა. ზაზას სხვა სტატისტიკური მაჩვენებლებიც ბლომად ჰქონდა, თუმცა თავისი გუნდი მარცხისგან მაინც ვერ იხსნა. მილუოკელებმა ბოლომდე იბრძოლეს, მოგების შანსიც ჰქონდათ, მაგრამ 111:116 დამარცხდნენ.

პირველი პერიოდის 4 ქულით წაგების შემდეგ „მილუოკიმ" მეორე მეოთხედი 31:18 მოიგო და დიდი შესვენებისთვის 7 ქულით გალიდერდა. მესამე 12-წუთეულის ბოლოს ფაჩულიას გუნდი ლიდერობას ინარჩუნებდა, თუმცა გადამწყვეტ პერიოდში მასპინძლებმა 12:0 გაქცევა მოაწყვეს და მილუოკელები ჩამოიტოვეს. ბოლო წუთზე დეტროიტელი ჯოშ სმიტის სამქულიანმა „მილუოკის" მოგების შანსი გადაუწურა.

სასტარტო ხუთეულის წევრმა ზაზა ფაჩულიამ 35 წუთი ითამაშა, რის განმავლობაშიც 13-დან 6 ორქულიანი ჩააგდო. 12 ქულასთან ერთად ზაზამ 13 მოხსნა, 6 პასი და სეზონში სარეკორდო 3 დაფარება მოაგროვა, ბურთი კი 3-ჯერ დაკარგა. რომ არა რამონ სეშენსის 20 ქულა და 11 პასი, ქართველი ლეგიონერის შედეგი მილუოკელთაგან საუკეთესო იქნებოდა. რაც შეეხებათ დეტროიტელებს, საუკეთესო ანდრე დრამონდი გახდა, რომელმაც 28 ქულითა და 14 მოხსნით სეზონის 49-ე ორმაგი დუბლი მიითვალა.

14 მოგებითა და 60 წაგებით „მილუოკი" აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლო ადგილზეა და 2 მოგებით ჩამორჩება „ფილადელფიას". შემდეგ მატჩს ფაჩულიას გუნდი ფლორიდაში, მოქმედ ჩემპიონ „მაიამისთან" გამართავს.

რიკი ჰიკმანის „მაკაბიმ" ისრაელის ჩემპიონატში ზედიზედ მეორედ დამარცხდა, რაც ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა. თელავიველები ჰაიფაში მოსახელე „მაკაბის" ესტუმრნენ და დაძაბულ ფინალში შეხვედრა 2 ქულის სხვაობით – 66:68 დათმეს.

ქართული პასპორტის მქონე რიკი ჰიკმანმა თელავიველთა სასტარტო ხუთეულში 26 წუთი ითამაშა და 5-დან 3 ორქულიანთან ერთად 6-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. 12 ქულას ჰიკმანმა 1 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაყოლა, ბურთი კი 3-ჯერ დაკარგა. ჰიკმანზე შედეგიანი მის თანაგუნდელთაგან იოგნევ ოჰაიონი იყო, რომელმაც 13 ქულა და 7 პასი მიითვალა.

19 მოგებითა და 6 მარცხით თელ ავივის „მაკაბი" ცხრილში მე-2 ადგილზეა, პირველზე კი 1 ქულით წინ მყოფი იერუსალიმის „ჰაპოელია". მომდევნო მატჩს ჰიკმანის გუნდი თანაქალაქელ „ჰაპოელთან" გამართავს.

# „თსუ გორდელა" ქველმოქმედებისთვის იმღერებს

ეკა ირემაშვილი



2 აპრილს „თსუ გორდელა" ქველმოქმედებისთვის იმღერებს. ივანე ჯავახიშვილის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში 2 წლის ელეს'დასახმარებელი სპექტაკლიზებული პერფორმანსული საღამო გაიმართება, რომელსაც ანსამბლი „გორდელა" მუსიკალურად გააფორმებს.

– ყველას უმორჩილესად გთხოვთ, რომ დაგვიდგეთ გვერდში უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ელესათვის, გავკადნიერდები და ვიტყვი, სულ მცირედი 1 ლარით ან 2 ლარითაც რომ შევეწიოთ ამ საქმეს, დიდ დახმარებას გავუწევთ პატარა ანგელოზს. თქვენი იმედი მაქვს, ადამიანებო, ყველას გელოდებით 2 აპრილს საქველმოქმედო ღონისძიებაზე. საღამოს ორგანიზება ხდება თსუ-ს თვითმმართველობის გვერდში დგომით, სადაც დასწრება თავისუფალია, – აცხადებენ „გორდელას" წევრები.

საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრის მსახიობები ირაკლი ბიბილური და ვასო კიპაროიძე, ბახვა წერედიანი, (მარიონეტების თეატრი ნიკოლო), მიშა კოჭაძე (მევიოლინე), ანრი ღუდუშაური და საღამოს წამყვანი და მონაწილე პოეტი ბარსელი. კონცერტის მსვლელობისას შეგროვდება თანხა, რომელიც პატარა გოგონას სიცოცხლის გადარჩენას მოხმარდება.

# გუჯა ბურდული იუბილარია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– ყველა მოვიდა, ვინც გაიგო. ჩვენ ძირითადად ჩავრთეთ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბავშვები, სასახლის ნორჩი დეკლამატორები, რომლებიც დიალოგში შევიდნენ გუჯისთან. სხვადასხვა ფილმები გაიხსენეს ბავშვებმა და სცენაზე გაითამაშეს, რომელიც ფილმის ნაწყვეტმა დააგვირგვინა. კინოსტუდიის სახელით მარინა კოლხიდაშვილი გვესტუმრა, რომელმაც აღნიშნა, მართალია, კინოსტუდია დაიშალა და დაიფუშა, მაგრამ ჩვენ მაინც სიმღერა მოგიძღვენითო. გვესტუმრნენ ტარიელ ხარხელაური, ერეკლე საღლიანი, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი მაყვალა გონაშვილი, მოვიწვიეთ ქორეოგრაფიული კავშირის წარმომადგენლები რეზო ჭანიშვილი, ომარ მხეიძე, თენგიზ უთმელიძე. ესენი ერთად ცეკვავდნენ სუხიშვილებში, კინოკავშირიდან მანანა ანასაშვილი, დოქტორი დავით სოლომნიშვილი. სპეციალურად ანანურიდან ჩამოვიდა ამ იუბილეზე ქორეოგრაფიული ანსამბლი „ანანური", ასევე თეა დარჩიას ანსამბლი, რომელმაც საგაზაფხულო ტანგო შეასრულა.

***– დაბადების დღეც საიუბილეო თარიღია?***

– არა, ამჯერად კინომოღვაწეობის იუბილეა, მას კინოში მოღვაწეობიდან 40 წელი შეუსრულდა. ისე კი 73 წლის გახდა.

***– ხელოვანმა შვილებმა როგორ მიულოცეს ეს იუბილე?***

– გუჯის 3 შვილი ჰყავს და 7 შვილიშვილი. ყველაზე დიდი მილოცვა და ჯილდო მისთვის ეს არის. მოვლენა ამ საღამოზე სწორედ ჩვენი შვილიშვილები იყვნენ: ჯერჯერობით ყველაზე უმცროსია ბაკურის ბიჭი, ერთი წლის ნიკოლოზ ბურდული, რომელსაც საოცრად აქვს ორატორობის ნიჭი, მაგრამ მხოლოდ ერთი წლისაა. ბოლოდან მეორეა ნანანო, რომელსაც უყვარს პომადა და მანიკიური. უმცროსი გუჯი ბურდულს მზეო ნათელოს ვეძახით, ესენი სამივე ბაკურისები არიან. მაკას ბიჭი აკაკი მაქაცარია კინოს სამყაროთია დაინტერესებული, ლადოს კი სამი გოგო ჰყავს. უფროსი თეჯი სასწავლებლად წავიდა ლონდონში და ახლა მიიღო ინგლისის მოქალაქეობა, ოქროსთმიანი დარია და ბარბარე ჰყავს ასევე ლადოს. დარია წელს მიდის სკოლაში, ხოლო ბარბარეს აქვს ხატვის ნიჭი. ბედნიერი კაცია გუჯი, 7 შვილიშვილი ჰყავს, უყვარს თავისი საქმე, სამშობლო და სიცოცხლე.

# მაია ფანჯიკიძე ბრიტანელ კოლეგას შეხვდა



საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ბრიუსელში ნატო-ს მინისტერიალის ფარგლებში, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს უილიამ ჰეიგს შეხვდა.

შეხვედრაზე განსახილველი მთავარი თემები საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი, საქართველოს აისაფ-ის მისიაში მონაწილეობა და ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების გაფორმება იყო.

როგორც უილიამ ჰეიგმა განაცხადა, ის მიესალმება ასოცირების შესახებ შეთანხმებას რამდენიმე თვით ადრე ხელმოწერას, ვიდრე დათქმული იყო. ფანჯიკიძის თქმით კი, უილიამ ჰეიგი საქართველოში მალე ჩამოვა.

„იგი შემპირდა, რომ საქართველოში მალე ჩამოვა, დიდი ხანია მოწვეულია. გარდა ამისა, ვისუაბრეთ როგორც ორმხირვ, ისე ნატო-სა და ევროკავშირის კუთხით ჩვენს ურთიერთობებზე"-განაცხადა ფანჯიკიძემ და აღნიშნა, რომ ხვალ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართება.

„ეს არის მეხუთე სხდომა მინისტრების დონეზე, ამ წელიწადნახევრის განმავლობაში, რაც ახალი ხელისუფლებაა მოსული. ეს ძალიან ინტენსიური ურთიერთობა ნატო-სთან"-განაცხადა ფანჯიკიძემ.

ნიუსპრესი

# მწერლები სასამართლოში იჩივლებენ

ეკა ირემაშვილი

**მწერალ ზურაბ ქარუმიძის მხარდასაჭერად ქართველი მწერლები სასამართლოში ჩივილს აპირებენ. პარლამენტის წევრმა სოსო ჯაჭვლიანმა მწერალი საკმაოდ უხამსი სიტყვებით „შეამკო" და ყველას მოუწოდა, მხარი არ დაუჭირონ მწერლის კანდიდატურას დიდ ბრიტანეთში ელჩად წარდგენის საკითხში.**

ზურაბ ქარუმიძის დიდი ბრიტანეთში ელჩად დანიშვნის საკითხის გარშემო ხმაური მას შემდეგ ატყდა, რაც საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრმა სოსო ჯაჭვლიანმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელია ზურაბ ქარუმიძის კანდიდატურა ელჩის პოზიციაზე და ამის მიზეზად მან დაასახელა ქარუმიძის ლიტერატურული ნამუშევარი, კერძოდ, რომანი „მელია-ტულეფია: ფოქსტროტ". თავის მხრივ, საგარეო საქმეთა სამინისტროში უარყვეს ინფორმაცია, რომ ზურაბ ქარუმიძის კანდიდატურა განიხილებოდა ელჩის პოზიციაზე. ზურაბ ქარუმიძის განცხადებით კი, მის კანდიდატურას ელჩის თანამდებობაზე მარტის დასაწყისიდან განიხილავენ. მწერლის მხარდასაჭერად რამდენიმე პოლიტიკოსმაც, მათ შორის მთავრობის წარმომადგენლებმაც, გამოთქვეს საჯაროდ თავისი მოსაზრება, რის შემდეგაც საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთში ელჩის თანამდებობაზე ზურაბ ქარუმიძის კანდიდატურა განიხილება. მისი თქმით, საკითხზე გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კი მწერლის კანდიდატურას მთავრობა განიხილავს და პრეზიდენტი ხელს მოაწერს.

მწერალთა სახლში მწერლებისა და მოქალაქეების ნაწილი შეიკრიბა და მწერალ ზურაბ ქარუმიძეს მხარდაჭერა გამოუცხადეს. როგორც შეკრებილმა საზოგადოებამ განაცხადა, მწერლებს სურთ, პროტესტი დააფიქსირონ მუქარის, დევნის, შეურაცხმყოფელი წერილებისა და გამოსვლების მიმართ, რომელიც მომრავლდა ქართულ ბეჭდურ მედიასა თუ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს შორის.

მწერლების თქმით, მათ სურთ, თავიანთ კოლეგას მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადონ და მეორე მხრივ, მათი მიზანია ხმა აღიმაღლონ ყველა იმ ტენდენციის მიმართ, რომელსაც არატოლერანტულობა, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთწაკიდება და დაპირისპირება უდევს მიზნად. ამ შეკრებას, მწერლების გარდა, ესწრებოდნენ რეჟისორები, რიგითი ადამიანები და ზურაბ ქარუმიძის შემოქმედების გულშემატკივრები. საღამოზე მწერლებმა წაიკითხეს განცხადება, პენცენტრის მიმართვა, დააფიქსირეს თავიანთი აზრი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიმართ.

შეხვედრის მონაწილეებმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მიმართვა საქართველოს საზოგადოების მიმართ:

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი ძირითადი, ფუძემდებლური პრინციპი და ფასეულობაა ცივილიზებულ სამყაროში. ნებისმიერ ადამიანს აქვს საკუთარი აზრისა და შეხედულების საჯაროდ გამოთქმის შეუზღუდავი უფლება, თუმცა კატეგორიულად დაუშვებელია ამ უფლების გამოყენება მეორე ადამიანის შეურაცხყოფისა და მისი ღირსების შელახვის მიზნით.

სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში, ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში გახშირებულია შეუწყნარებლობის, სიძულვილის, პიროვნების ღირსების შელახვისა და შეურაცხყოფის ფაქტები, რომელთა ტირაჟირება და გავრცელება მასმედიის საშუალებებით ხდება.

გამოვთქვამთ გულისტკივილს და პროტესტს ბოლო ხანს მომხდარი მსგავსი კონკრეტული შემთხვევის გამო, ვგულისხმობთ მწერალ ზურაბ ქარუმიძის რომანის გარშემო ატეხილ მოვლენებს, თუმცა ეს არ გახლავთ ერთეული და იზოლირებული ფაქტი, არამედ გარკვეული ტენდენციის მაჩვენებელია. მწერალი თავისუფალია შემოქმედებითად და ვერავინ აუკრძალავს მას სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი ნებისმიერი რიტუალის გამოყენებას.

საქმე ისაა, რომ ცალკეულ პიროვნებებს, ჯგუფებსა თუ მასმედიის საშუალებებს თავის თავზე აქვთ მორგებული არაფორმალური ცენზორის როლი, საკუთარ აზრს გამოხატავენ კატეგორიულად, უაპელაციოდ, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ფორმით. მსგავსი დამოკიდებულება საზოგადოების გახლეჩასა და დაპირისპირებას უწყობს ხელს, რაც სრულიად დაუშვებელია. „ცენზორთა" გაღიზიანება ხშირად გაუგებრობის, არაინფორმირებულობისა თუ არაკომპეტენტურობის მიზეზით ხდება.

მსგავსი მოქმედება მით უფრო დაუშვებელია პოლიტიკოსისგან, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატისგან, იგი კანონშემოქმედებით უნდა იყოს დაკავებული და, როგორც ხალხის რჩეული, ეთიკური ქცევის ნიმუშს იძლეოდეს", – წერია განცხადებაში.

**პაატა შამუგია, პოეტი:**

– ის, რაც ზურა ქარუმიძის გარშემო ტრიალებს ბოლო პერიოდში, ნამდვილად წარმოუდგენელი რამ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთი წრისთვის ეს მისაღებია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პარლამენტარმა საოცარი სიტყვებით შეამკო მწერალი. როცა კანონმდებელი ასეთი ტიპის განცხადებას აკეთებს და ასეთ საოცარ სიტყვებს ხმარობს მწერლის მიმართ, ეს არის ცენზურა, პირდაპირი ჩარევა. ჩემთვის ყოველ შემთხვევაში, ასეა. თუ ეს გავა, მაშინ უნდა ველოდოთ მასობრივ ცენზურას ლიტერატურაში.

**მერაბ კოკოჩაშვილი, რეჟისორი:**

– წარმართული პერიოდის რიტუალები, რომელიც გამოყენებული აქვს ბატონ ზურაბს თავის ნაწარმოებში, უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია, რადგან ის ძირეულ საკითხებს ეხება. ამის თაობაზე თავის დროზე ივანე ჯავახიშვილიც ლაპარაკობდა და ბევრი ეთნოგრაფიც და მეცნიერიც. 90-იანი წლების დასაწყისში გადაღებული მქონდა და სვანეთში და თვითონ სვანები არაჩვეულებრივად ინახავენ ამ ტრადიციებსა და რიტუალებს. ჩვენ ქვემო სვანეთში ვიყავით და ერთ-ერთი სოფლის სკოლის დირექტორმა მთელი ამ რიტუალების ჩვენება მოახერხა ჩვენთვის, რომელიც გადავიღეთ. მელია ტელეფია, ტულეფიასაც ეძახიან ამ რიტუალს, ხეთებიდან გადმოსული რიტუალია, ასე თვლიან ეთნოგრაფები. შესანიშნავი რიტუალებია, რომლების ცეკვაში და მოქმედებაში არის გამჟღავნებული ის, რაც ადამიანობასა და კაცობრიობას, ზოგადად ადამიანებს აცოცხლებდა, ეს იყო ნაყოფიერების, გამრავლების პრინციპი. ზურაბ ქარუმიძე არის უაღრესად განათლებული ადამიანი, რომელსაც შეუძლია წარმოაჩინოს საქართველო იქ, სადაც გნებავთ და თანაც უმაღლეს დონეზე. ის არის კულტურით სავსე ადამიანი და ასეთი ადამიანები ჰაერივით გვჭირდება.

**გიო მგელაძე, მწერალი:**

– ზურა ქარუმიძე არათუ საქართველოს საუკეთესო ელჩი იქნება დიდ ბრიტანეთში, პლანეტის ელჩადაც შეიძლება გაიგზავნოს სხვა პლანეტაზე, ამიტომ მას ყველანაირად მხარს დავუჭერ. ის სტატია არც კი წამიკითხავს, რომელსაც ასეთი სკანდალი მოყვა. ვიღაცის გამონათქვამის გამო ამდენი კარგი ადამიანი გაერთიანდა და თან მიხარია, თან მერიდება. ადამიანებმა ჯერ კითხვა უნდა ისწავლონ, რომ მერე აზრი გამოთქვან, მაგრამ ხომ იცით, ენას ძვალი არ აქვს. პირადად ვარ ზურა ქარუმიძის მხარდამჭერი, თანაც როგორც გავიგე, ზურაბ ქარუმიძის მხარდამჭერებსაც რაღაც უწოდეს და აგერ ვარ, ვისაც უნდა მოვიდეს და გამცეს პასუხი.

**ლანა ღოღობერიძე, რეჟისორი:**

– ზურაბ ქარუმიძის ნაწარმოები ნამდვილად ღრმა და საინტერესოა. რომ წავიკითხე, ვიყავი ამ რომანით შთაგონებული და აღფრთოვანებული. ამ რომანმა უამრავი ფიქრი აღმიძრა, პირველ რიგში სიცოცხლის სიყვარული. დაუკვირდით, როგორ საინტერესოდ არის წარმოჩენილი ქართული ხასიათი და როგორ ხდება მისი გააზრება.

**ხათუნა ხუნდაძე, ხელოვნებათმცოდნე:**

– იცით, რომ კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე ვიყავი წარდგენილი და სწორედ სიტყვის თავისუფლებისთვის მოხდა ჩემი დასჯა. ამ წუთში ჩემს თავზე არ ვსაუბრობ. თუ გვაქვს სიტყვის თავისუფლება, ხელოვანს ნებისმიერი გამოხატვით უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ რაც უნდა ის დახატოს, რითიც უნდა იმის დახატოს, რაც უნდა ის თქვას. ბრალდება მარტო ის კი არ უნდა იყოს, რომ ვუჩივლოთ ვინმეს, ზოგადად, მეტი თავისუფლებაა საჭირო ხელოვნებაში. თუ ამას არ მივაღწევთ, არაფერი გვეშველება. შეიძლება ვინმეს შურით არ მოეწონოს ქარუმიძის ნაწერი და იტყვის, რომ მან იხმარა უწმაწური სიტყვა. ეს არის კატასტროფა, რასაც პირადად 17 წელი ევროპაში ცხოვრების შემდეგ ქართულ ხელოვნებაში ვაწყდები. ეს პირადად ჩემთვის წარმოუდგენელია.

**შორენა შავერდაშვილი, ჟურნალისტი:**

– მიუხედავად იმისა, რომ რატი ამაღლობელმა თქვა, სასამართლოში ჩივილი გაიწელება დროში, არ ვიცით რა შედეგით დასრულდება, შეიძლება მხოლოდ 300-ლარიანი ჯარიმები დაეკისროთო, მგონია, რომ ეს მაინც მნიშვნელოვანი პრეცედენტი იქნება. ჩვენი აღშფოთება არავის აღელვებს, მგონია, რომ პირიქით, ამაყობენ ამით. მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა ვიჩივლოთ და გადავიდეთ შეტევაზე.

## კროსვორდი



**შვეულად**: 1. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 2. ლეო დელიბის ოპერა; 3. ფულის ერთეული უკრაინაში; 4. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 6. უღელტეხილი აჭარაში; 9. მამაცი, გულადი, მარდი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 11. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 15. მთავარი მოედანი ირანისა და შუა-აზიის ქალაქებში; 16. კოლუმბიის დედაქალაქი; 17. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 19. მდინარე კახეთში; 21. თეთრეულის, ტანსაცმლის მოსართავად გამოყენებული სახეებიანი, თხელი, ბადურა ქსოვილი; 22. დოლი გრძელ დისტანციაზე საქართველოში.

**თარაზულად**: 5. ქართველი მოქანდაკე ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. მთიანეთი ევროპაში; 10. მსუბუქი ჟანრის თეატრი; 12. ღვინის დანალექი; 13. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 14. ქართველი მსახიობი მამაკაცი სტალინური პრემიის ლაურეატი; 18. ბაღჩეული ხილი; 20. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 23. „ვეფხისტყაოსნის" გერმანულად მთარგმნელი და გამომცემელი; 24. ეგრისის მთავარი; 25. უბანი ძველ თბილისში; 26. მდინარე ციმბირში; 27. სახელმწიფო ევროპაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### [illegible]

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ღვეზელი; 2. ზვირთი; 3. კაზბეგი; 4. ვეზუვი; 6. მაცარელა; 8. ობლიგო; 11. კუპიდონი; 12. მეტეორი; 16. ბეღგა; 17. სპინი; 18. ვაშლი.

**თარაზულად**: 1. ღვეზელი; 5. ხვიბი; 7. ჰაჟიბი; 9. ნაირობი; 10. ბულიმია; 13. გერნიკა; 14. ლუგელა; 15. პელე; 19. გერგეტი; 20. აპატრიდი; 21. სამთავისი; 22. დიღომი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ჰიმენე; 2. გაუკი; 3. ფრანკი; 4. სალამი; 6. მორიელი; 9. თართი; 11. მაზანდა; 15. სენკევიჩი; 16. ესკიზი; 17. ქაშაგერი; 19. იანვარი; 21. ბალზამი; 22. ტონკინი.

**თარაზულად**: 5. ვიქტორია; 7. ოოლოგია; 8. მლევმე; 10. ჩარხილი; 12. მრუმე; 13. ურანი; 14. ზეთისხილი; 18. ამანი; 20. ასუანი; 23. დოკერი; 24. ლეშა; 25. რუზიზი; 26. კიჩო; 27. იმერეთი.

# „გაზპრომმა“ უკრაინას გაზი გაუძვირა

„გაზპრომის“ ხელმძღვანელის ალექსეი მილერის განცხადებით, 1 აპრილიდან უკრაინას 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირში 385,5 დოლარის გადახდა მოუწევს.

„ბი-ბი-სის“ თანახმად, მილერმა აღნიშნა, რომ უკრაინისათვის ფასდაკლება ამ დღიდან აღარ მოქმედებს.

მარტის დასაწყისში მილერმა განაცხადა, რომ კონცერნი უკრაინისათვის გაზზე ფასის დაკლებას აპრილიდან შეწყვეტდა, რაც უკრაინის დავალიანებას უკავშირდება.

„ამ პირობებში, როდესაც უკრაინა საკუთარ ვალდებულებას არ ასრულებს და არ ასრულებს შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებს, „გაზპრომმა“ გადაწყვიტა აპრილიდან უკრაინას გაზზე დაწესებული ფასდაკლება აღარ გაუგრძელოს“, – აღნიშნა მილერმა.

თავის მხრივ, იტალია რუსულ გაზზე უარს აცხადებს. ქვეყნის გაზისა და ნავთობის კომპანია „ენის“ ხელმძღვანელის პაოლო სკარონის განცხადებით, იტალია გაზით უზრუნველყოფას 2014-15 წლებში უკრაინის ტერიტორიიდან მოწოდებული რუსული გაზის გარეშეც მოახერხებს. ამის შესახებ „როიტერი“ იუწყება.

„ჩვენ ვწუხვართ მომავალი ზამთრის გამო, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ უკრაინის გავლით არ იქნება გაზი მოწოდებული, ჩვენ მაინც გავართმევთ თავს“, – აღნიშნა სკარონიმ.

იტალია, რომელიც მოხმარებული გაზის 90 პროცენტის იმპორტს ახორციელებს, გაზს ძირითადად, რუსეთიდან, ლიბიიდან, ალჟირიდან და ნიდერლანდებიდან იღებს. „გაზპრომის“ მონაცემებით, 2013 წელს იტალიამ რუსეთისგან გაზის შესყიდვა თითქმის გააორმაგა.

# პუტინი საქართველოსა და სომხეთში შეჭრას განიხილავს“

ვლადიმერ პუტინი საქართველოსა და სომხეთში შეჭრას განიხილავს, რათა რუსეთ-ირანს შორის გასასვლელი შექმნას. ამის შესახებ აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის დაზვერვის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, მაიკ როჯერსმა „ფოქს ნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.



მისივე თქმით, აღმოსავლეთ უკრაინის საზღვართან განთავსებული ათობით ათასი რუსი სამხედროს გარდა, რუსეთი შეიარაღებული ძალების მობილიზებას ახდენს საქართველოს სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთის რეგიონში.

„მათ გადააქვთ თავიანთი ტექნიკის ყველაზე საუკეთესო ნაწილი სამხრეთ ოსეთში. ამისთვის არანაირი მიზეზი არ არსებობს. რეალურად საქართველოს არმია არ წარმოადგენს რაიმე საფრთხეს. ეს ნამდვილად შემაშფოთებელია“, – განაცხადა მაიკ როჯერსმა.

ამასთან, სტატიაში აღნიშნულია, რომ რუსეთისგან გასაკვირი არ იქნება ირანთან მჭიდრო ურთიერთობების ძიება და არც პუტინისგან ორ ქვეყანას შორის სავაჭრო მარშრუტის ძიება.

„ორივე ქვეყანა, მართალია სხვადასხვა ხარისხით, შეზღუდულია საერთაშორისო სანქციებით, რომელიც მალე შეავიწროებს რუსეთს ყირიმში შეჭრის გამო“, – ნათქვამია „ფაინენშლ თაიმსის“ სტატიაში.

„ფოქს ნიუსთან“ საუბრისას მაიკ როჯერსმა ასევე განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინი უკან დახევას არ აპირებს. მისივე თქმით, უკრაინის საზღვრებთან მდგომ რუსეთის ჯარებს ყველაფერი აქვთ იმისთვის, რომ უკრაინაში შეიჭრნენ, თუ ამას გადაწყვეტენ.

„უკრაინის საზღვრებთან ჩვენ ათობით ათას სამხედროს ვხედავთ და საუბარია არა მხოლოდ მათ რიცხოვნობაზე, არამედ მათ დანიშნულებასა და კონფიგურაციაზე. რამდენი სამხედრო ერთეულია განთავსებული საზღვარზე და რისი შესაძლებლობა აქვთ მათ. აღმოსავლეთ საზღვარზე მათ დღეისთვის ყველაფერი გააჩნიათ, რათა უკრაინის ტერიტორიაზე შევიდნენ, თუ ასეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული“, – ციტირებს ამერიკული გამოცემა მაიკ როჯერსის სიტყვებს.

შეგახსენებთ, რომ სამხედრო-პოლიტიკური გამოკვლევების ცენტრის ხელმძღვანელის დმიტრი ტიმჩუკის განცხადებით, უკრაინის საზღვრებთან თავმოყრილი რუსული არმიის რიცხოვნობა ბოლო ორი დღის განმავლობაში 4-ჯერ შემცირდა.

„გასული შაბათ-კვირის მთავარი პოზიტივი – უკვე მეორე დღეა საზღვრებთან სიტუაციის მკვეთრ განმუხტვას ვაკვირდებით. რუსი სამხედროების რაოდენობა რუსეთის სასაზღვრო რაიონებში 10 ათასის ფარგლებში რჩება“, – წერს ტიმჩუკი.

„ინტერვენციის საგრძნობი ალბათობა მაინც რჩება. თუ ერთი კვირის წინა რუსეთის შემოჭრის ალბათობა 80% იყო, ახლა ის სადღაც 50%-ის მიდამოებში რჩება“, – წერს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი.

# საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მანუელ ვალსი გახდა



ფრანსუა ოლანდმა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე უკვე ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი მანუელ ვალსი დანიშნა. ფრანგული რადიოსადგური „ეუროპა 1-ის“ ცნობით, ჟან-მარკ ეიროს შემცვლელი ფრანსუა ოლანდმა გუშინ ოფიციალურად დაასახელა.

„მინდა გამოვუცხადო ჩემი მადლიერება ჟან-მარკ ეიროს გაწეული სამუშაოსთვის, მაგრამ დროა დღეს ახალი ეტაპი დავიწყოთ. მანუელ ვალსს დავაკისრე საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელობა. მას გააჩნია ამისთვის ყველა თვისება“, – განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა მოსახლეობისადმი სატელევიზიო მიმართვისას.

51 წლის ვალს საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის ადარებენ, რომელიც გაპრეზიდენტებამდე ასევე შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. სარკოზის მსგავსად, ახალი პრემიერიც უმუშევარი ბოშების კარვების ქალაქიდან გაძევების პოლიტიკას ეწეოდა. ვალსის თქმით, მას არ აწუხებს, როდესაც ყოფილ პრეზიდენტს ადარებენ „თუ საქმე ენერგიულობასა და მებრძოლ სულს ეხება“.

# ეგვიპტის საპრეზიდენტო არჩევნები 26 და 27 მაისს გაიმართება



„როიტერის“ ცნობით, ეგვიპტეში საპრეზიდენტო არჩევნები 26 და 27 მაისს გაიმართება. საჭიროების შემთხვევაში, არჩევნების მეორე ტური 16 და 17 ივნისს ჩატარდება. არჩევნების შედეგები ხმის მიცემიდან ათ დღეში გახდება ცნობილი.

საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაცია 31 მარტს დაიწყო და 20 აპრილამდე გაგრძელდება.

შეგახსენებთ, 2013 წლის ზაფხულში არმიამ მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი გადააყენა. მურსის გადაყენებას აბდულ ფატაჰ ალ-სისი ხელმძღვანელობდა, რომელმაც წინა კვირაში განაცხადა, რომ ეგვიპტის საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას.

ეგვიპტის პრეზიდენტი სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია. მოსახლეობა 6 წლის ვადით ირჩევს.

# ევროკავშირის შავ სიაში“ პუტინის ძაღლიც მოხვდა



„ობსერვერის“ ცნობით, ევროკავშირის „შავი სიის“ პროექტში, რომელიც უკრაინაში ვითარების შემდგომი ესკალაციის შემთხვევაში ამოქმედდება, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ლაბრადორიც არის შესული.

„ობსერვერმა“ ტექსტის გაცნობა შეძლო, სადაც წერია, რომ 14 წლის კონი აქტიურად იღებდა მონაწილეობას „უკრაინის სუვრენული ქვეყნის ტერიტორიაზე რუსული ჯარების განლაგების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში“.

ევროკავშირის სიაში ასზე მეტი რუსი მაღალჩინოსანი, ბიზნესმენი და სამხედრო პირია შესული. ეს „შავი სია“ უკრაინის კრიზისის უფრო გაღრმავების შემთხვევაში ამოქმედდება.

ვლადიმერ პუტინის შავი ლაბრადორი დიდი „ძაღლური გონიერებით“ გამოირჩევა. 13 წლის წინ სერგეი შოიგუს სულ პატარა ლეკვი უჩუქებია პუტინისთვის. დღეს ორივე თვალსაჩინოდ არის შეცვლილი – ლეკვი ზრდასრულ ლაბრადორად ჩამოყალიბდა, შოიგუ – თავდაცვის მინისტრად. პუტინი გულახდილად ამბობს, რომ, როდესაც ის ცუდ ხასიათზეა, ან რაღაც მძიმე პრობლემების წინაშე დგას, იგი ყოველთვის ეთათბირება თავის „კონის“ და მისგან ყოველთვის იღებს საქმიან რჩევას. ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ ცუდ გუნებაზე მყოფი პუტინი შვებას თავის ლაბრადორთან თამაშში, ან ომარ ხაიამის პოეზიის კითხვაში ეძებს.

# ვიქტორია ნულანდი ისეთი ჩიტია, რომელიც ქარიშხლის მოახლოებისას ჩნდება“

რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერ დიმიტრი რაგოზინის განცხადებით, ვიქტორია ნულანდი „ისეთი ჩიტია, რომელიც ქარიშხლის მოახლოებისას ჩნდება“.



ასე გამოეხმაურა როგოზინი „ფეისბუქში“ საკუთარ გვერდზე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ვიქტორია ნულანდის განცხადებას, რომ აშშ მოლდოვას სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით დამატებით 10 მლნ, დოლარს გამოუყოფს.

ამის შესახებ ნულანდმა კიშინიოვში მოლდოვეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ნატალია გერმანთან ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა.

„ჩამოვედი, რათა მოლდოვეთს აშშ-ის მიერ რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა დავუდასტურო. ჩვენ კიშინიოვს სახელმწიფო საზღვრების უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით დამატებით $10 მლნ. გამოვუყოფთ“, – განაცხადა ნულანდმა.

მისივე თქმით, აშშ მოლდოვეთის რესპუბლიკის ყველა რეფორმას დაუჭერს მხარს, რომელიც ევროკავშირთან ინტეგრაციისკენ იქნება მიმართული.

„ამერიკა მოლდოვეთის რესპუბლიკის რეფორმებს ყოველგვარ მხარდაჭერას აღმოუჩენს, რომლებიც ევროკავშირში ინტეგრაციისკენ იქნება მიმართული. გვსურს რესპუბლიკა დამოუკიდებელი, აყვავებული და ევროპული ვიხილოთ“, – განაცხადა ვიქტორია ნულანდმა.

# სარდინიის მოსახლეობა რეფერენდუმის ჩატარებასა და შვეიცარიასთან მიერთებას ითხოვს

იტალიის კუნძულ სარდინიის მოსახლეობა რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს, თუმცა საუბარი არა მხოლოდ დამოუკიდებლობაზე, არამედ კუნძულის შვეიცარიისთვის მიყიდვაზეც მიდის.

„ჩვენ იტალიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემის აღარ გვჯერა. მან საკუთარი არაეფექტურობა დაამტკიცა. ამაში ეჭვი არ გვეპარება. ვითარებაში ცალკეულ პოლიტიკოსებს არ ვადანაშაულებთ, საქმე თავად სისტემაშია“, - განაცხადა აქტივისტთა მოძრაობის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ანრეა კარუზომ.



მისივე თქმით, იტალიიდან გამოყოფა არა მარტო სარდინიას, არამედ ვენეციასაც სურს, სადაც დამოუკიდებლობას მოსახლეობის 85%-მა მისცა ხმა.

„სარდინიაში დამოუკიდებლობის იდეა მუდამ აქტუალური იყო. ჩვენი მიზანი, სუფთა ფურცლიდან ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემის შექმნაა. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ საკუთარ თავს უნდა ვეკუთვნოდეთ“, - აღნიშნა კარუზომ.

ცნობისთვის, დამოუკიდებლობის მოპოვების თემა ევროპის 4 ქვეყანაშია აქტუალური. გარდა იტალიის რეგიონებისა, ქვეყნიდან გამოყოფაზე დიდი ბრიტანეთიდან შოტლანდიას სურს, სადაც სექტემბერში რეფერენდუმი გაიმართება; ბელგიას ფლანდრიის დაკარგვა ემუქრება; ესპანეთში კი კატალონია და ბასკთა ქვეყანა დიდი ხანია დამოუკიდებლობას ითხოვენ.

ამ ფონზე, გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის აზრით, ევროპას მოიცავს „წარმოუდგენელი ქაოსი“, თუ არსებული წესრიგი ყირიმის მსგავსი რეფერენდუმებით კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდება. ამავდროულად, გერმანიის კანცლერმა აღნიშნა, რომ ევროკავშირი კონფლიქტის ესკალაციით დაინტერესებული არ არის. „ჩვენ ძალიან ვისურვებდით, რომ რუსეთმა თამაშის წესები დაიცვას და ჩვენ დაგვიახლოვდეს“, – განაცხადა ანგელა მერკელმა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ



მიხეილ ქუთათელაძის ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი

**ლევან მახვილაძე**

რისთვისაც დიდ მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბპბც უფპლფ7 !@-ლფყ!& ცფფსფვლტ8

## TV პროგრამა

ოთხშაბათი
2 აპრილი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ "**მამაკაცები არ მიდიან**" (ჯ. ლენგი) **17.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **18.00** ტ/სერ. "**ლოლა – ვინ ხარ შენ" ლოლაპ**" **19.15, 04.20** "ჩვენი ეზო" **21.00** ტ/სერ. "**ნიკოლა ლე ფლოკი**" **22.00, 04.50** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი: **პსჟ – ჩელსი** (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" **00.40** მხ/ფ "**უცხოპლანეტელის გაკვეთა**"(ჯ. ქემბელი) **02.20** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) **05.30** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა"

**08.00** "ბრიფინგის დრო" (სამშ. გ/ჩვ) **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა (პ/ტ) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 00.30** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 12.05** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. "**სიყვარული" ცა და მიწა**" **17.50, 19.05** სერ. "**მარგალიტი**" **21.00** სერ. "**სილა**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** EMERGENCY – სასწრაფო დახმარება **00.40** მხ/ფ "**ძმები**"(ნ.პორტმანი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" **11.00** სერ. "**ბრაზილიის გამზირი**"**12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე"**16.00, 17.00** სერ. "**დასასრული**"**18.55** სერ. "**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** "ნანუკას შოუ" **22.40** ჩემპიონთა ლიგა**00.45** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა**02.00** მხ/ფ.**02.30** კურიერის დაიჯესტი**04.00** მხ/ფ. (ტიტ.)

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "რევაზ ლაღიძე" **06.50** მხ/ფ "**20 ათასი ლიე წყალქვეშ**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30**"განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკ./ფ. "**წერილი ნაძვებს**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" I ნაწ. **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი -ელისო ვირსალაძე **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ "**სიბრძნე სიცრუისა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "თვენი" მადლმოსილი ოჯახი - კარბელაშვილები **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო **0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "ყოჩაღი ბიჭები" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** (გამ) **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.)**14.00** ფარული კამერა **14.30, 1.45, 4.30** გადაცემა "პულსი"(გამ.) **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhdbs

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


2
aprili

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7491 |
| ევრო | 2.4138 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2.892 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9341 |

## ამინდის პროგნოზი 2 აპრილისთვის





# 18 მარტიდან

## დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია“ ახალ თაობასთან“ ერთად




## რას ნანობს გურამ ოდიშარია?

ეკა ირემაშვილი



**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია გულწრფელად ნანობს, რომ ვარშავაში ყოფნისას გრიგოლ ფერაძის ხსოვნას საკადრისი პატივი ვერ მიაგო:**

„ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, შარშან ვარშავაში ორჯერ ვიყავი და ერთხელაც ვერ მოვინახულე ვერც ის უნივერსიტეტი, სადაც გრიგოლ ფერაძე მოღვაწეობდა და ვერც ის ეკლესია, სადაც ლოცულობდა. არ ვიცი, რა დამემართა, რამ დამავიწყა და დამაბრკოლა, მაგრამ ვერ მივაღწიე ჩვენი დიდი თანამემამულის ნაკვალევამდე, ვისზეც წლების წინ წერილებს ვწერდი. ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა გრიგოლ ფერაძემ მეორე მსოფლიო ომის დროს გაზის კამერაში ხუთშვილიანი ებრაელი კოლეგის ნაცვლად შეაბიჯა და ასე იხსნა ადამიანი, ანუ, როგორც თორაში წერია, იხსნა კაცობრიობა. არსებობს იმ დიალოგის ჩანაწერიც, რომელიც გრიგოლსა და საკონცენტრაციო ბანაკის გერმანელ სამხედროებს შორის გაიმართა, რომელიღაც პედანტ გერმანელს ჩაუწერია გრიგოლ ფერაძის დაღუპვის შემდეგ. ქართველი პროფესორი ფაშისტებს უმტკიცებს, რომ მის ებრაელ კოლეგას ხუთი შვილი ჰყავს, ხოლო თავად უცოლშვილოა და სამართლიანი იქნება, ებრაელი პროფესორის ნაცვლად გაზის კამერაში ის მოაკვდინონ. ფაშისტებს აოცებთ გრიგოლის საქციელი, თუმცა ქართველი საბოლოოდ დააჯერებს, ებრაელ პროფესორს გაზის კამერასთან მდგარი რიგიდან გამოიყვანენ და მის ნაცვლად ქართველ გრიგოლ ფერაძეს დააყენებენ. ასე აჩუქა გრიგოლ ფერაძემ კოლეგას სიცოცხლე, საკუთარი სიცოცხლის ფასად. გადის დრო და ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით გრიგოლ ფერაძეზე, არც გვახსოვს. მის სახელს კი სათუთად ინახავენ ვარშავის უნივერსიტეტისა და იან კლემაქსის სახელობის ეკლესიის კედლებზე მიკრული მარმარილოს დაფები. იშვიათად ვიხსენებთ გია აბესაძის ზნეობრივი გმირობის ამბავსაც, იოსებ ჟორდანიას, მიხეილ თამარაშვილს, საბა კლდიაშვილს, რომლებიც ადამიანის გადარჩენას შეეწირნენ. არც ცოტნე დადიანს, არც სხვებს. ვერა და ვერ ვირწმუნეთ, ვერა და ვერ დავიჯერეთ გია აბესაძის თავდადება. არადა, თბილისში, სამოქალაქო ომის დაწყებამდე, ჩვენი აბობოქრებული ურთიერთსიძულვილის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მან თავი დაიწვა. მანამდე კი წერილი დაგვიტოვა, რითაც გვევედრებოდა, ასე ნუ შეიძულებთ, ასე ნუ გაწირავთ ერთმანეთსო. ჩვენ კი მის საქციელში მიზეზთა მიზეზების ძიება დავიწყეთ, არ მივიღეთ მისი ზვარაკი. გიაში დავიწყეთ მიზეზების ძებნა, საკუთარ თავში კი არა, რაღაც დაემართა, რაღაც პრობლემა ჰქონდა, თორემ თავს რატომ დაიწვავდაო. იქნებ თავად, სწორედ ამიტომაც გვაქვს ამდენი პრობლემა, რომ ერთმანეთის ნდობა, რწმენა, სიყვარული და პატივისცემა გვაკლია. შვილებს ზნეობრივი გმირების ცხოვრების მაგალითებზე უნდა ვზრდიდეთ, მაგრამ მათზე თითქმის არაფერი ვიცით. კალენდრებში უნდა შეგვქონდეს მათი დაბადების დღეები, ვქმნიდეთ მათი სახელობის საზოგადოებებს და გაზეთიდან გაზეთს, წიგნიდან წიგნს, ტელევიზიიდან ტელევიზიას უნდა გადაეცემოდეს მათი ამბები. და მარად გვერდით უნდა გვყავდნენ ისინი, მით უმეტეს — მძიმე პერიოდებში. ერთხელ მეგობრის შვილს ვუყვებოდი მათ შესახებ. გაოცებული მისმენდა. ბოლოს მკითხა, კი მაგრამ, იყვნენ ისინი საერთოდ თუ ჩვენ გამოვიგონეთო?“ — აცხადებს კულტურის მინისტრი.

## გუჯა ბურდული იუბილარია

ეკა ირემაშვილი

ქართული კინოს ცნობილი მსახიობი გუჯა ბურდული იუბილარია. კინოს სახლში დაიგეგმა სპეციალური საღამო, რომელიც გუჯა ბურდულის 73-ე დაბადების დღესთან ერთად მის კინოში მოღვაწეობის 40 წლის იუბილესაც მიეძღვნა.



მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის თეატრალური სახელოსნოს ნორჩმა მსახიობებმა წარმოაჩინეს ის ფილმები, რომლებმაც საერთაშორისო კინო ფესტივალებზე ელგუჯა ბურდულს და ქართულ ფილმს მსოფლიო აღიარება მოუპოვეს. გუჯა ბურდული თანამშრომლობდა ესპანეთის, გერმანიის, კუბის, უნგრეთის, ირანის, უკრაინის, რუსეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის კინო სტუდიებთან.

„გუჯა ბურდული — 40 წელი კინოში“ — ასე ეწოდებოდა საღამოს, რომელშიც მსახიობები, მომღერლები, მწერლები, ქორეოგრაფები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მხატვრული კითხვის წრის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ.

— 40 წლის განმავლობაში ოთხმოცზე მეტ ფილმში მაქვს ნათამაშები, თუმცა ფილმებში მონაწილეობის მისაღებად ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში უფრო ხშირად მიწვევდნენ, — განაცხადა იუბილარმა.

ელგუჯა ბურდულის მონაწილეობით გადაღებული ფილმები არაერთი საერთაშორისო თუ საკავშირო ფესტივალების გამარჯვებულია. საუკეთესო მამაკაცის როლისთვის თავად ელგუჯა ბურდულიც არაერთხელ გახდა სხვადასხვა კინოფესტივალის ლაურეატი და გამარჯვებული.

73 წლის კინომსახიობს ახლახან მწერალთა კავშირმა „ხელოვნების რაინდის“ ტიტული მიანიჭა. მსახიობმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი დაამთავრა, პარალელურად თბილისის ზღვაზე მაშველად მუშაობდა. ის საქართველოს სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრი იყო. მას უკვე 40 წელია აქტიურად იღებენ ფილმებში. „საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავის“ აღნიშვნაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის იგი დაჯილდოებულია საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელით. არის საქართველოს და რუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის ნიკა-ს წევრი. გუჯა ბურდულისთვის გამორჩეულია ფილმები „ბეღურების გადაფრენა“, „სვანი“, „უებრო სიყვარული“, „ფოსტალიონი“, „ანთიმოზ ივერიელი“, „27 დაკარგული კოცნა“, „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“, „მოკვეთილი“ და „უძინართა მზე“, რომლებმაც მას წარმატება და აღიარება მოუტანა.

როგორც მსახიობმა განაცხადა, ამჟამად მას ოთხ ფილმში იღებენ, მათ შორის ორი უცხოური ფილმია.

**ინესა აბესაძე, გუჯა ბურდულის მეუღლე:**

— ვეცადეთ, რაც შეიძლება ლამაზად და ორიგინალურად გაგვეკეთებინა ეს საღამო. კინოს სახლში გადავწყვიტეთ გუჯის საღამოს ჩატარება. 40 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გუჯი კინოშია. გარდა ამისა, პირველ აპრილს არის მისი დაბადების დღე. ამიტომ შევარჩიეთ პირველი აპრილი, პირველი საათი და დავგეგმეთ საღამო კინემატოგრაფისტთა კავშირმა, კინოსტუდიამ და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ ანუ ჩვენი სასახლის თეატრალურმა სახელოსნომ. მოვაწყვეთ ღონისძიება „40 წელი კინოში — დიალოგი გუჯა ბურდულთან“. გადავწყვიტეთ, გაგვეხსენებინა ის ფილმები, რომლებმაც საერთაშორისო კინოფესტივალებზე მოუტანეს საქართველოს სახელი და პოპულარობა.

***— მონაწილეები როგორ შეარჩიეთ?***

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ნინო სალუქვაძემ მსოფლიო თასზე ვერცხლი მოიპოვა

ამერიკის ქალაქ ფორტ ბენინგში, სპორტული პისტოლეტიდან სროლაში დასრულებულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში, ნინო სალუქვაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა, რითაც მსოფლიო თასის სუპერფინალში გამოსვლის უფლება მიიღო.

ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა საკვალიფიკაციო ეტაპზე არცთუ ისე კარგად იასპარეზა და 581 ქულით ნახევარფინალში ბოლო, მერვე ადგილით შევიდა.

ნახევარფინალში ნინო სალუქვაძემ კონცენტრაცია მოახერხა და 17 ქულით ფინალში სროლის უფლებაც მოიპოვა, სადაც გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდა.

ფინალში შვეიცარიელ ჰაიდი დიჩელმი-გერბერთან დაპირისპირებისას, პირველი ოთხი სერიის შემდეგ ანგარიში 4:4 იყო, შემდეგ კი უკვე შვეიცარიელმა იყოჩაღა და 8:4 იმარჯვა.

ამრიგად, ფორტ ბენინგის მსოფლიო თასის გამარჯვებული შვეიცარიელი ჰაიდი დიჩელმი-გერბერი გახდა, ვერ-



ცხლის მედალი ნინო სალუქვაძემ, ხოლო ბრინჯაო ჩინელმა ჯინჯინ ჩანმა მოიპოვა.

მ. ჟ.

## hჳxყცდxჳცბ ფ



**შვეულად**: 1. ქალაქი იტალიაში, სადაც ყოველწლიურად იმართება საოპერო მომღერლების საერთაშორისო კონკურსი; 2. ფირმის, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ექსპერტი; 3. პოპულარული, უკრაინული მინერალური წყალი; 4. მთიანეთი ევროპაში; 6. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 8. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ჩქარტემპიანი კუბური ცეკვა; 12. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 16. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 17. ქიშმიშის ძველი ქართული სახელწოდება; 18. მეფეთა რეზიდენცია პარიზში.

**თარაზულად**: 1. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად; 5. მინერალური წყალი სამეგრელოში; 7. მარგალიტის ყელსაბამი; 9. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 10. გერმანიის კანცლერი; 13. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 14. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 15. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 19. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული გიგანტური წიწვოვანი ხე; 20. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმი ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში; 21. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 22. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე აგური.

***შეადგინა თ.კოპალეიშვილმა***

## fcnhjghjuyjpb

2 აპრილისთვის

·ღტჯფვ უფბსღფჟბცობყცს=

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაქვთ. **ქალწული** — ახალი საქმე გაამართლებს, იქტიურეთ. **სასწორი** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ღრიანკალი** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — ბედი გწყალობთ, ყველაფერი მშვენივრად იქნება. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი წესრიგშია. **თევზები** — გზიდან ფულს მიიღებთ, საჩუქრებსაც გამოგიგზავნიან.

უბცეჰღტ,ს ,ტღყბტჰ ღქტც=